ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ვალერი არღუთაშვილი

ტურიზმის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების წინააღმდეგობები შიდა ქართლის რეგიონში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გულნაზ ერქომაიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2016

შინაარსი

შესავალი ---------- 3

თავი I. ტურიზმის განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში

1.1 ტურიზმის განვითარების საერთაშორისო ტენდენციები----------10

1.2. ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაში------23

1.3. ადგილობრივი ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა----------36

თავი II. ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში

2.1. ტურიზმის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე და მისი შეფასება----------63

2.2. საქართველოში ტურიზმის განვითარების მამოძრავებელი ძალების გამოვლენა და მათზე ზემოქმედება----------95

2.3.ტურიზმის განვითარების პოტენციალი საქართველოში და მისი განსაზღვრა--101

თავი III. შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგია

3.1. შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების არსებული მდგომარეობა--110

3.2. შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალი----------131

3.3. შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსების გამოვლენა და მისი რაციონალური გამოყენება----------149

დასკვნები და რეკომენდაციები----------186

გამოყენებული ლიტერატურა----------188

დანართი ----------195

შესავალი

თემის აქტუალურობა: მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიო მასშტაბით. თანამედროვე პირობებში საგრძნობლად გაიზარდა ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისათვის. რაც განპირობებულია ინდუსტრიის დადებითი ეკონომიკური ეფექტებით, როგორიცაა, ადგილობრივი რეზიდენტების შემოსავლების ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, გადასახადების გენერირება, ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება, რაც სტიმულს აძლევს ასევე საქონლისა და მომსახურების წარმოებას სხვა მომიჯნავე სექტორებში.

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (World Travel & Tourism Council) მონაცემებით, ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს ინდუსტრიას თითქმის ყველა ეკონომიკური მაჩვენებლებით. 2012 წელს პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიო მთლიან შიგა პროდუქტში შეადგინა 2,056.6 მილიარდი აშშ დოლარი, რაც შეადგენს მსოფლიო მშპ-ს 2.9%-ს. ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა 2013-2014 წლის მონაცემების მიხედვით. 2014 წელს შეადგინა 2,364 მილიარდი აშშ დოლარი, რაც შეადგენს მშპ-ის 2.9%-ს. იგი მოიცავს ეკონომიკურ აქტივობებს განხორციელებულს სასტუმროებში, ტურისტულ სააგენტოებში, ავიაკომპანიებში და სხვა მოგზაურთა ტრანსპორტირების მომსახურებაში, რესტორნებში და ა.შ.[1]

სწრაფად ცვალებად გარემო პირობებში აქტუალური გახდა ტურიზმის დაგეგმვის და მდგრადი განვითარების საკითხები, რომელიც გულისხმობს, როგორც ეკონომიკური სარგებლის ზრდას, ასევე გარემოს დაცვის, კულტურული ფასეულობების შენარჩუნების, ნეგატიური ეფექტების შეზღუდვის თვალსაზრისით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას.

საქართველოს ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინება, როგორიცაა: ტურისტული ატრაქციები და აქტივობები, განთავსების საშუალებები, ტრანსპორტი, სერვისი, ინფრასტრუქტურა და ინსტიტუციური ელემენტები. აღნიშნული საკითხების გაანალიზება მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული და ლოკალური გავითარების თვალსაზრისით.

[1] www.wttc.org

თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმი განიხილება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც პირდაპირ და ირიბ ზეგავლენას ახდენს მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურაზე. თუმცა, საქართველო რომელიც ფლობს მდიდარ ტურისტულ რესურსებს, ჯერ კიდევ ვერ მიაღწია განვითარების იმ დონეს, რომელიც თავისი პოტენციური შესაძლებლობების ადექვატურია. ტურისტული ობიექტები ჯერ კიდევ არამოთხოვნადია ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო. ასევე, არასრულყოფილია ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი, ტურისტულ ბაზრებზე კერძო ინვესტიციებისათვის მოტივაციისა და რეგიონების ტურისტული კომპლექსის ეკონომიკური ანალიზის ეფექტიანი მეთოდების არსებობა [58].

რეგიონული ტურიზმის განვითარების პრობლემის შესახებ არსებობს სხვადასხვა სახის კვლევები და პუბლიკაციები, სადაც საკმაოდაა დამუშავებული რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ რეგიონებში ტურიზმის განვითარების, მარეგულირებელი მექანიზმების სრულყოფის, არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური ხედვები და რეკომენდაციები.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანს წარმოადგენს შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ძირითადი ორიენტირების განსაზღვრა, ასევე რეგიონის განვითარების სტრატეგიული მოდელის შემუშავება. ტურიზმის ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გამოკვლევის საფუძველზე რეგიონული ტურიზმის განვითარების ეფექტიანობისა და რეგულირების სრულყოფის მექანიზმის შეფასება ეკონომიკაში. სადისერტაციო ნაშრომის მიზანმა განსაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ტურიზმის განვითარების საერთაშორისო ტენდენციების შესწავლა;
- ტურიზმის როლის და მნიშვნელობის შეფასება ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაში;
- შიგა ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა;

- ტურიზმის ზეგავლენის შეფასება საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე;

- საქართველოში ტურიზმის განვითარების პოტენციალისა და ძირითადი მიმართულებების გამოვლენის საფუძველზე მისი სტიმულირების მექანიზმის განსაზღვრა;
- შიდა ქართლის ტურისტული ბაზრის კვლევის შედეგად შიდა ქართლში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსების გამოვლენა და მათი რაციონალური გამოყენების გზების დადგენა;

კვლევის საგანი და ობიექტი – ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელების მექანიზმის სრულყოფა შიდა ქართლის რეგიონში. კვლევის ობიექტია ტურიზმის განვითარების რაციონალური სტრატეგიის ფორმირება, მისი წინააღმდეგობების გამოვლენა და დაძლევის ეფექტიანი გზების დადგენა.

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები – ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია, ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, რეგრესიული ანალიზის, სტატისტიკური, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ტექნიკა. საკითხების სიღრმისეულად გაანალიზებისათვის ნაშრომში გამოყენებულია სისტემური და სიტუაციური მიდგომები, ისტორიული და პრაქტიკულ გამოცდილებათა ანალიზი, პოზიტიური და ნორმატიული დებულებების ანალიზის მეთოდები.

კვლევისათვის გამოყენებულ მონაცემთა ბაზას წარმოადგენს: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკის, მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები. შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული მოსახლეობის მარკეტინგული გამოკვლევების შედეგები და თემატური ინტერნეტ – რესურსები. აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებში გამოქვეყნებული ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე

1. ნაშრომი არის თეორიისა და პრაქტიკის, საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების სინთეზი. ამასთან შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების წინააღმდეგობების კვლევა თავად წარმოადგენს სიახლეს;
2. ტურიზმის განვითარების საერთაშორისო ტენდენციების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საქართველოს და მისი რეგიონების სტრატეგიულ განვითარებაში;
3. დადგენილია რეგიონული ტურიზმის განვითარების რაციონალური პოლიტიკის ფორმირებისა და მისი ეფექტიანი განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნის გზები;
4. გამოვლენილია საქართველოში ტურიზმის განვითარების მამოძრავებელი ძალები და შეფასებულია მისი გავლენა საქართველოს და მისი რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე;
5. განსაზღვრულია ტურიზმის განვითარების პოტენციალი მთლიანად საქართველოში და მის რეგიონებში, კონკრეტულად კი, **პრობითი** მოდელის გამოყენების საფუძველზე გაანალიზებულია შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია შიდა ქართლის რეგიონის ტურისტული პოტენციალი, გამოვლენილია რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსები და მისი რაციონალური გამოყენების გზები.
6. ტურიზმის სექტორის მართვის სახელმწიფო და რეგიონული პოლიტიკის დონეზე დასაბუთებულია თუ რა პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად პოლიტიკის განხორციელებას და რა მიმართულებებზე უნდა იქნას აღებული ორიენტაცია ეკონომიკის, შრომის ბაზრის, სოციალური განვითარების და გარემოს მდგრადობის შეფასებისას;
7. ტურიზმის განვითარების პრობლემები დაკონკრეტებულია, როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის დონეზე, ასევე მიკროეკონომიკურ, საწარმოების მართვის დონეზე და გაკეთებული მნიშვნელოვანი დასკვნები ამ

პრობლემების რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

- მისი გამოყენება შესაძლებელია სალექციო კურსში – "რეგიონული განვითარება და ტურიზმი", როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურზე;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ტურიზმის განვითარების შესახებ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების მისაღებად;
- რეგიონების მიერ საკუთარი ტურისტული პოტენციალის განსაზღვრისა და მისთვის საჭირო რესურსების გამოვლენისა და რაციონალური გამოყენებისათვის;
- ტურიზმის სფეროში დამწყები მეწარმეებისათვის ბიზნეს გეგმის შედგენისა და მისი განხორციელებისათვის რეკომენდაციების გასაწევად მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდისათვის.

თავი I. ტურიზმის განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში

1.1. ტურიზმის განვითარების საერთაშორისო ტენდენციები

ტურიზმი დღევანდელი სახით, წარმოადგენს მე-20 საუკუნის ფენომენს. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ მასობრივი ტურიზმის შესახებ მსჯელობა დაიწყო ინგლისში ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში, საშუალო კლასის ჩამოყალიბებასა და შედარებით იაფი გადაადგილების საშუალებების განვითარებასთან ერთად. კომერციული ავიახაზების ინდუსტრიის შექმნამ, რომელიც მოჰყვა მეორე მსოფლიო ომს და 50-იან წლებში რეაქტიული თვითმფრინავების წარმოების განვითარებას, გამოიწვია საერთაშორისო მოგზაურობის სწრაფი ზრდა და ექსპანსია. ამ ზრდას მოჰყვა ახალი ინდუსტრიის - ტურიზმის განვითარება, რომელსაც განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ადრეულ საუკუნეებში ხალხი მოგზაურობდა ვაჭრობის მიზნით, რელიგიური რწმენის გამო, ეკონომიკური სარგებლის მიღების, ომის, მიგრაციისა და სხვა ანალოგიური მოტივაციებით. რომის იმპერიის ხანაში შეძლებული არისტოკრატები და მმართველი წრეები ასევე მოგზაურობდნენ სიამოვნების მისაღებად და გასართობად. პომპეასა და ჰერკულანუმში მდებარე ზღვისპირა კურორტები საშუალებას აძლევდა რომაელებს გასცლოდნენ რომის ცხელ ზაფხულს და თავი შეეფარებიათ თავიანთი საზაფხულო ვილებისათვის. მოგზაურობა, სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცივილიზაციების განვითარებაში. [14; გვ.7-8].

დღეისათვის მოგზაურობამ და ტურიზმმა, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მნიშვნელობა შეიძინა და განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში გახდა ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკური სექტორი.

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (World Travel & Tourism Council) მონაცემებით, მოგზაურობა და ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს ინდუსტრიას თითქმის ყველა ეკონომიკური მაჩვენებლებით. ტურიზმი განვითარდა, როგორც მსოფლიოს მნიშვნელოვანი სოციალურ–ეკონომიკური სექტორი სტაბილურად იზრდება 4-5%–ით წლიურად. ადგილობრივი და საერთაშორისო

ტურიზმი აღიარებულია, როგორც მსოფლიოს „უდიდესი ინდუსტრია“. 1995 წელს ტურიზმმა შექმნა 3,4 ტრილიონი დოლარის მთლიანი შიგა პროდუქტი, რაც შეადგენდა მსოფლიო მშპ-ის 10,9%–ს. დასაქმებული იყო 22 მილიონი ადამიანი და განახორციელა 637 მილიარდი დოლარის სახელმწიფო შენატანები გადასახადების სახით. ასევე იცვლება რეგიონებით დაინტერესების მსოფლიო დინამიკა (იხ. დიაგრამა 1.1.).[2]

დიაგრამა1.1



წყარო: www. unwto.org

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრიის პირდაპირი კონტრიბუცია მთლიან შიგა პროდუქტში 2011 წელს იყო 1 972,8 მილიარდი აშშ დოლარი, რაც შეადგენს მსოფლიო მთლიანი შიგა პროდუქტის 2,8%–ს. 2012 წელს პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიო მთლიან შიგა პროდუქტში შეადგინა 2,056.6 მილიარდი აშშ დოლარი, რაც შეადგენს მსოფლიო მშპ-ს 2.9%-ს. ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა 2013-2014 წლის

[2] www.wttc.org

მონაცემების მიხედვით. 2014 წელს შეადგინა 2,364 მილიარდი აშშ დოლარი, რაც შეადგენს მშპ-ის 2.9%-ს. იგი მოიცავს ეკონომიკურ აქტივობებს, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა ტურისტულ საწარმოებში, კერძოდ, სასტუმროებში, ტურისტულ სააგენტოებში, ავიაკომპანიებში და სხვა მოგზაურთა ტრანსპორტირების მომსახურებაში, რესტორნებში და ა.შ.

2023 წლისათვის მოსალოდნელია მოგზაურობისა და ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუციის ზრდა მთლიან შიგა პროდუქტში 4.4%-ით, რაც შეადგენს 3,249.2 მილიარდ აშშ დოლარს (მშპ-ს 3.1%).



წყარო: www.wttc.org

მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიანმა კონტრიბუციამ მსოფლიო მთლიან შიგა პროდუქტში 2012 წელს შეადგინა 7,083 მილიარდი აშშ დოლარი, ინვესტიციების, მიწოდების ჯაჭვის და შემოსავლების გავლენების ჩათვლით. ხოლო 2013 წელს 7,316 მილიარდი აშშ დოლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ზრდა 3,2-%-ია. 2014 წლის მონაცემებით მისი წილი მშპ-ში 9.8%-ია (7,580 მლრდ). WTTC პროგნოზით 2022 წლისთვის ტურიზმისა და მოგზაურობის მთლიანი კონტრიბუცია განაგრძობს ზრდას.[3]

[3]www.wttc.org

დიაგრამა 1.3 მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიანი კონტრიბუცია მსოფლიო მშპ-ში. (მლრდ აშშ დოლარი)



წყარო: www.wttc.org

2013 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიამ მოახდინა 100,894,000 პირდაპირი სამუშაო ადგილის გენერირება (მთლიანი დასაქმების 3.4%). აღნიშნული მოიცავს დასაქმებას განხორციელებულს სასტუმროებში, ტურისტულ სააგენტოებში, ავიაკომპანიებში და სხვა მოგზაურთა ტრანსპორტირების მომსახურებაში, რესტორნებში და ა.შ.

იმავე წლის მონაცემებით მოგზაურობისა და ტურიზმის დასაქმების მთლიანმა მაჩვენებელმა (არაპირდაპირი ეფექტების გათვალისწინებით) შეადგინა 270,723,000 სამუშაო ადგილი, მთლიანი დასაქმების 8.9.%. 2014 წლის მონაცემების მიხედვით ზრდის დინამიკა შენარჩუნდა როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ დასაქმებულთა მაჩვენებლებში.

WTTC - ის ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ 2022 წლისათვის ტურიზმისა და მოგზაურობის სექტორში დასაქმების მთლიანი კონტრიბუცია გაიზრდებოდა 120 470 000 სამუშაო ადგილამდე, ანუ 1,9 %–ით ათი წლის განმავლობაში თუმცა

დღეისათვის ტურიზმისა და მასპინლობის ინდუსტრიის მთლიანი კონტრიბუცია დასაქმებაში 2014 წლისათვის შეადგენს 276,845.

დიაგრამა 1.4 მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიანი კონტრიბუცია დასაქმებაში (მლნ)



წყარო: www.wttc.org

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ და ხელისუფლებამ ადეკვატურად აღიქვას ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, რათა სწორად დაიგეგმოს ტურიზმის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. აუცილებელია, რომ იგი შეესაბამებოდეს თანამედროვე ტენდენციებს და ტურიზმის მდგრადი განვითარების მოთხოვნებს.

ტურიზმის თვისებრივი ანალიზიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- მეტ ტურისტს სურს მიიღოს მონაწილეობა რეკრეაციაში, სპორტში, თავგადასავლებში, შეისწავლოს ისტორია, კულტურა, ბუნება, ველური გარემო. ტურისტი არის ფიზიკურად და ინტელექტუალურად მეტად აქტიური, ვიდრე ეს იყო წინათ;

- მეტ ტურისტს სურს მისდიოს თავის სპეციფიკურ ინტერესს და ჰობის. არსებობს მრავალი სპეციფიკური ინტერესი დაფუძნებული ბუნებაზე და ველურ გარემოზე, ისტორიულ სანახაობაზე, აინტერესებთ კულტურული ძეგლები, ეკონომიკური აქტივობები, და აქვთ მრავალფეროვანი პროფესიული ინტერესები;
- „სიძველეებთან შეხება“, ბუნების, კულტურული და სათავგადასავლო ტურიზმი არის მუდმივად განვითარებადი მიმართულება ტურიზმში. ხოლო ტურიზმის ერთ-ერთი უძველესი მიმართულება - რელიგიური მიზნებით მოგზაურობა და მომლოცველობა - არც XXI საუკუნეში არ კარგავს თავის მნიშვნელობას;
- ახალ ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნა პერმანენტულად იზრდება. რაც იძლევა შესაძლებლობებს შეიქმნას ახალი, მიმზიდველი დანიშნულების ადგილები ტურისტებისთვის და გაუმჯობესდეს უკვე არსებული ატრაქციები [22, გვ.19].
- ტურისტის ინტერესების სფეროშია გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, შესაბამისად, მოთხოვნადია გამაჯანსაღებელი კურორტები, აბაზანები, სპა, ასევე, მედიცინის სხვა საშუალებები;
- ასევე ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ მოკლევადიან, მაგრამ ხშირ მოგზაურობას, რაც იწვევს ტურისტული დასვენების ინტესიფიკაციას და მის გაჯერებას ექსკურსიებით, შეხვედრებით, გასეირნებებით;
- იზრდება სოციალურად დაუცველი ადამიანებისა და უნარ–შეზღუდულების დაინტერესება ტურისტული პროდუქტებით;
- თანამედროვე ტურისტი არის მეტად გამოცდილი, დახვეწილი, გემოვნებიანი და მომთხოვნი, მათ იზიდავთ ატრაქციები მომსახურების მაღალი ხარისხით;
- ბევრი ტურისტი მოითხოვს კარგ დიზაინს, ეკოლოგიურად სუფთა და ნაკლებად დაბინძურებულ ტურისტულ ობიექტებს, უარყოფს ეკლოგიური და სოციალური პრობლემების გამომწვევ ცუდად დაგეგმილ ატრაქციებს; [30]
- ტურისტული ობიექტების უმეტესობა არის ადაპტირებული და დაგეგმილი მაღალი ხარისხის მომსახურებისთვის და თავს არიდებს ეკოლოგიურ და

სოციალურ პრობლემებს, ასევე მიმართულია ეკონომიკური სარგებლის ოპტიმიზაციისკენ;

- მიმდინარეობს ძველი ტურისტული კურორტების მოდერნიზება და გაახლება, რათა უპასუხოს თანამედროვე მოთხოვებს. ეს კი გულისხმობს რაციონალურად დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას;
- მზარდია ტურიზმის სექტორში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა მომარაგების სისტემა, რეზერვაციის სფერო, ინტერნეტ–მარკეტინგი. ინტერნეტი ხდება მნიშვნელოვანი საინფორმაციო და მარკეტინგული იარაღი [91, გვ.19-20].

მსოფლიოში მნიშვნელოვანი ტენდენციაა ტურიზმის განვითარება იმ ადგილებში სადაც, სურთ შეინარჩუნონ ბუნებრივი გარემო, ისტორიული ადგილები და კულტურული ტრადიციები. ეკოტურიზმი და კულტურული ტურიზმი ხშირ შემთხვევაში არის განვითარებული ისეთ ადგილებში, სადაც სასურველია ობიექტების კონსერვაცია, და არ არის საკმარისი რესურსები ამისათვის. აქ ფინანსური რესურსების შევსება ხდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიდან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიდგომაა, შეზღუდული რესურსების პირობებში, კონსერვაციის პროგრამების დასანერგად.

აქვე აღსანიშნავია, რომ ტურიზმის პროდუქტების და მომსახურების მიწოდება ხდება კერძო სექტორის მიერ, მაგრამ ეს ხორციელდება მთავრობის მიერ განსაზღვრულ ჩარჩოში და პირობებში. ესეიგი პასუხისმგებლობის განაწილება უნდა მოხდეს ცენტრალურ, რეგიონულ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და კერძო სექტორის მენეჯმენტის მიერ. რათა თანხვედრაში იყოს ეროვნული, რეგიონული, და საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და სოციალურ–ეკონომიკური მიზნები. ზოგიერთ ადგილებში, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული სასტუმროები ახლა პრივატიზებულია, როგორც ეროვნული პოლიტიკის ნაწილი. თუმცა, ზოგიერთ ახლად განვითარებად ტურისტულ ზონაში, სადაც რთულია მიმდინარე ეტაპზე კერძო ინვესტიციის მოზიდვა მთავრობა შეიძლება გახდეს პირველი განმავითარებელი და მხოლოდ შემდეგ ახდენს კერძო სექტორისათვის მიმზიდველი წილის გასხვისებას [17].

ტურისტული მოთხოვნის ტენდენციების შესწავლისას ირკვევა, რომ ტურიზმი განსაკუთრებით ვითარდება განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყნებში. ტურიზმის განვითარებისკენ სწრაფვას იწვევს ის პოზიტიური გავლენები, რასაც ტურიზმი ახდენს სოციალურ–ეკონომიკურ და რეგიონულ განვითარებაზე. ტურიზმის სფეროში განხორციელებული აქტივობები, ნათლად ვლინდება ტურიზმის სექტორის მრავალრიცხოვან დადებით ეფექტებში, მათ შორის აღსანიშნავია:

1. მოსახლეობის დასახლება და დამაგრება;
2. ცხოვრების დონის, ხარისხის გაუმჯობესება;
3. საწარმოო ძალების განვითარება და განახლება;
4. კულტურათა გაცვლა;
5. კავშირების განვითარება უცხო ქვეყნებთან, ბიზნეს–ურთიერთობების ჩამოყალიბება;
6. მრეწველობის განვითარება;
7. რეკრეაციული ცენტრების განვითარება;
8. ცალკეული რაიონების განვითარება;
9. სხვა დარგების განვითარების სტიმულირება (მულტიპლიკაციური ეფექტი);
10. რეგიონული განვითარების ფაქტორი;
11. ეკონომიკური ინტეგრაციის და გლობალიზაციის სტიმულირება [11, გვ.34-35].

მიუხედავად შთამბეჭდავი ეკონომიკური მონაცემებისა, მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ამ ინდუსტრიის მრავალფეროვნება და ფრაგმენტაცია, რომელიც შეუმჩნეველს ხდის ეკონომიკაზე მის ზეგავლენას და ართულებს სტატისტიკური მონაცემების რეალისტურობას [92]. მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მოიცავს სასტუმროებს, მოტელებს, განთავსების სხვა საშუალებებს; რესტორნებს და კვების სხვა მომსახურებებს; სატრანსპორტო მომსახურებასა და საშუალებებს; ატრაქციებს, გართობისა და დასვენების ობიექტებს; სუვენირებისა და სხვა საწარმოთა დიდ რაოდენობას. იმის გამო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურებით სარგებლობენ ადგილობრივი რეზიდენტებიც, ვიზიტორთა დანახარჯები შესაძლოა ადვილად იქნეს გადაჭარბებულად შეფასებული, ან დაკნინებული [42, გვ.328].

მეისი (Meis, 1992) აღნიშნავს, რომ ტურიზმის ინდუსტრია მოიცავს კონცეფციებს, რომლებიც ჯერ კიდევ რჩება ამორფული, როგორც ანალიტიკოსებისათვის, ისე გადაწყვეტილების მიმღებთათვის. უფრო მეტიც, ეს პრობლემა ქმნის სირთულეს ინდუსტრიის სანდო და სრული საინფორმაციო ბაზის შექმნაში, რათა ზუსტად შეფასდეს ტურიზმის შენატანი რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკაში. ამავე დროს მრავალფეროვანი ბუნება აქცევს მოგზაურობასა და ტურიზმს იდეალურ მამოძრავებელ ძალად ეკონომიკური განვითარებისათვის ბევრ ქვეყანაში, რეგიონსა და საზოგადოებაში. ფაქტიურად, ტურიზმი იქცა უდიდეს პროდუქტად საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის. მაგალითად: ტურიზმი არის შემოსავლის უდიდესი წყარო საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში და კარიბის ქვეყნების უმეტესობაში; ხოლო, ტურიზმის ინდუსტრია - ნომერი პირველი დამსაქმებელია ავსტრალიაში, ბრაზილიაში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჰონ-კონგში, იტალიაში, იაპონიაში, სინგაპურში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში [14, გვ.11]

ქვეყნების, რეგიონების განვითარებაში ტურიზმის სოციალურ–ეკონომიკური როლის შეფასების მიზნით 2012 წლის 21-26 აპრილს, კატარში ჩატარდა გაეროს კონფერენცია "ვაჭრობა და განვითარება" (UNCTAD - XIII), სადაც UNTAD –ის გენერალური მდივანი სუპაჩეი პანიჩპაკდი (Supachai Panichpakdi) აცხადებდა, რომ ტურიზმისა და ქვეყნების განვითარების პარამეტრებს შორის დადებითი კორელაცია უფრო მეტად თვალშისაცემი ხდება წლიდან წლამდე. ორივე მიმართულებით გაუმჯობესების მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ უკეთესი პოლიტიკით, იმ სამინისტროებსა და დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობის კოორდინირებით, რომლებიც აყალიბებენ ტურიზმის განვითარებისათვის სათანადო ბიზნესგარემოს. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სექტორი დღეისათვის განვითარებადი ქვეყნების მთლიანი შიგა პროდუქტის 50%-ს შეადგენს. UNTAD –ის აღმასრულებელმა დირექტორმა კონკურენციის, საგარეო ურთიერთობების და პარტნიორობის დარგში მარსიო ფავილამ (Marcio Favilla) აღნიშნა, რომ ტურიზმს თავისი მნიშვნელოვანი ადგილი აქვს „მწვანე" განვითარებაში და მომდევნო დეკადებში ის უფრო მძლავრ

სიტყვას იტყვის ასევე მდგრადი პლანეტის, ზრდადი ეკონომიკის და ყველასათვის უკეთესი ცხოვრების შექმნაში.[4]

როგორც ვნახეთ, ტურიზმი ხდება ერთ–ერთი ძირითადი სოციალურ–ეკონომიკური სექტორი სამყაროში, მნიშვნელოვანი სეგმენტი მსოფლიო ვაჭრობაში. შიდა ტურიზმი ეკონომიკური როლის მხრივ შეფასებულია ათჯერ უფრო მეტად, ვიდრე საერთაშორისო ტურიზმი. საერთაშორისო და შიდა ტურიზმი არის მნიშვნელოვანი და სწრაფად მზარდი განვითარებად ქვეყნებში, ისინი აძლიერებენ რეგიონს და შედეგდ ძლიერდება თვითონ სექტორიც [57]. ტურიზმი მოიცავს დასვენებას და ბიზნეს-მოგზაურობებს, ასევე, მოგზაურობას სხვა მიზნებით. დაგეგმვა უნდა შეეხოს ყველა ობიექტს და მომსახურებას, რომელზეც არსებობს მოთხოვნა და რაშიც იხარჯება ფული ლოკალურ გარემოში [81].

თითოეულ ტურისტულ ცენტრსა და ტერიტორიას აქვს ის რესურსი, რომელიც განხილულ უნდა იქნას როგორც ტურიზმის ძირითადი სახეობა და მიმართულება და ადგილობრივ დონეზე გათვალისწინებულ იქნას დარგის სტრატეგიულ დაგეგმვაში. ძირითადი ტენდენცია არის ის, რომ მეტ ტურისტს სურს მიიღოს მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში, სათავგადასავლო ტურიზმში, ვიზიტებისას აინტერესებთ რეკრეაცია, ისტორიის შესწავლა, კულტურისა და ბუნებრივი გარემოს გაცნობა. სპეციალური ინტერესები და სათავგადასავლო ტურიზმი სწრაფად ფართოვდება, როგორც ტურიზმის სხვა სპეციალიზებული ფორმები, როგორიცაა კულტურული, შემეცნებითი, სამედიცინო და რელიგიური ტურიზმი. ეკოტურიზმი ხდება ძალიან პოპულარული. მრავალი ტურისტი ინტერესდება ახალი „დანიშნულების ადგილით“ და ახალი ტურისტული პროდუქტებით, რომლებიც კარგად არის დაგეგმილი და არ ქმნის ეკოლოგიურ ან სოციალურ პრობლემებს. ასევე, სულ უფრო ფართოვდება ბიზნეს მოგზაურობა, კონფერენციები და შეხვედრები [11, გვ.33].

ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია - აქტუალურია სექტორის მდგრადი განვითარების შენარჩუნება. მდგრადი განვითარების კონცეფცია და მდგრადი ტურიზმი გაერთიანებული ერების, WTO–ს და მრავალი ეროვნული და ადგილობრივი მთავრობის ყურადღების ცენტრშია. 1992 წელს მსოფლიო სამიტზე

[4] www.unwto.org

მიღებულ იქნა 21–ე კონვენცია, მოგზაურობის და ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარებისათვის. WTO–ს მიხედვით მდგრადი ტურიზმის როლი ნიშნავს: „მდგრადი ტურიზმის განვითარებას, რომელიც თანხვედრაშია თანამედროვე ტურისტის მოთხოვნებთან მასპინძლობის რეგიონებში, ასევე იცავს და აძლიერებს შესაძლებლობებს მომავლისათვის. ის მართავს ყველა რესურსს და ამ გზით აკმაყოფილებს ეკონომიკურ, სოციალურ, ესთეტიკურ მოთხოვნილებებს და მხარს უჭერს კულტურათა ინტეგრაციას, მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პროცესებს, ბიომრავალფეროვნებას და ცხოვრების მხარდაჭერის სისტემებს“. კონვენციაში ხაზგასმულია, რომ მდგრადი ტურიზმი ნიშნავს ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული რესურსების განვითარებას ხანგრძლივი მოხმარებისთვის მომავალში, ისევე როგორც დღეს. ფაქტობრივად, ტურიზმი ზრდის შემოსავლის მიღების რესურსებს. მდგრადი ტურიზმის განვითარებით იზღუდება გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა და სოციალურ-კულტურული პრობლემები, იზრდება გარემოსდაცვითი და ტურისტის კმაყოფილების დონე და ხარისხი. შესაბამისად ტურიზმი, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი აუმჯობესებს საზოგადოების ცხოვრების დონეს [50, გვ.35-45].

მდგრადი ტურიზმის განვითარების ძირითადი პრინციპების ჩარჩოებში შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

- ბუნებრივი, ისტორიული, და სხვა ტურისტული რესურსები კონსერვირდება ხანგრძლივი გამოყენებისთვის მომავალში, მაშინ როცა დღესაც მოაქვს სარგებელი თანამედროვე საზოგადოებისთვის. მდგრადი განვითარებისეული მიდგომა არის მნიშვნელოვანი ტურიზმში, რადგან ეს სექტორი დამოკიდებულია ძირითადად ტურისტების მოზიდვაზე და აქტივობებზე, ეს კი მჭიდრო კავშირშია არეალის ბუნებრივ გარემოსთან, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობასთან. თუ ეს რესურსები დეგრადირდება, ან ინგრევა, მაშინ ტურიზმიც ვერ განვითარდება. ასევე რესურსების კონსერვაცია შესაძლოა გაიზარდოს ტურიზმის ზრდასთან ერთად. კულტურული ტრადიციების და ეთნიკური იდენტობის სასურველი ასპექტების შენარჩუნება არის მნიშვნელოვანი ელემენტი არეალის კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში. ტურისტული რესურსების კონსერვაციას შეუძლია დაეხმაროს

რეზიდენტებს, რათა მათ ღრმად გააცნობიერონ თავიაანთი მემკვიდრეობა და მხარი დაუჭირონ მის შენარჩუნებას;

- ტურიზმის განვითარება არის დაგეგმილი და მართული, ისე რომ არ ქმნის სერიოზულ ეკოლოგიურ და სოციო–კულტურულ პრობლემებს ტურისტულ არეალში. გარემოს დაგეგმვის მხარდაჭერა, შესაძლებლობების შენარჩუნება და სიმძლავრეების ანალიზი არის მნიშვნელოვანი საშუალება გარემოსდაცვითი და სოციო–კულტურული პრობლემების პრევენციისთვის, რომელიც შეიძლება ტურიზმმა გამოიწვიოს. მათი დაცვა კი ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს;
- ტურიზმის არეალის ზოგადი გარემოს ხარისხი შენარჩუნებულია და გაუმჯობესებული, სადაც ეს საჭიროა. ბევრ ტურისტს სურს იმოგზაუროს მიმზიდველ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. ტურიზმს შეუძლია უზრუნველყოს და გააუმჯობესოს გარემოს ხარისხი. რეზიდენტებისათვისაც ეს ძალიან მნიშვნელოვანია;
- ტურისტის დაკმაყოფილების მაღალი ხარისხი უზრუნველყოფს ტურისტული რეგიონისა თუ ატრაქციის პოპულარობას და კონკურენტუნარიანობას. ატრაქცია საჭიროებს მუდმივ განახლებას, რათა შეინარჩუნოს მდგრადობა და იყოს კონკურენტუნარიანი;
- ტურიზმიდან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს მას ახასიათებს მულტიპლიკატორული ეფექტი. ასევე აღნიშნული ხელს უწყობს სხვა დარგების განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი ტურისტული პროექტების წარმოება მნიშვნელოვანი საშუალებაა, ლოკალური რეზიდენტებისთვის ეკონომიკური შემოსავლებისა და სექტორის განვითარებისათვის [47, გვ. 238-239].

ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპები განაპირობებს მის პოლიტიკურად მოთხოვნადობას. 21–ე კონვენცია ქმნის დამცავ ფარს პლანეტის მდგრადი მომავლისთვის. ის დანერგილი და აღიარებულია 182 ქვეყნის მთავრობის მიერ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, მოგზაურობის და ტურიზმის მსოფლიო საბჭო, გაერო რეკომენდაციას აძლევს ქვეყნების მთავრობებსა და ტურიზმის

სფეროში მოღვაწე ყველა სუბიექტს დაიცვას კონვენციით გათვალისწინებული პრინციპები, კერძოდ:

- მთავრობა და სექტორში ჩართული ყველა ობიექტი უნდა ემსახურებოდეს ტურიზმის მდგრად განვითარებას;
- კომპანიებმა, სისტემის და პროცედურების ჩამოყალიბებისას უნდა შექმნან მდგრადი განვითარების პირობები, როგორც ერთიანი მენეჯმენტის ფუნქციური ნაწილი და განახორციელონ ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები [65].

მდგრადი ტურიზმი შესაძლებელია განვითარდეს ტურიზმის სექტორის ზედმიწევნით დაგეგმვით და მენეჯმენტით. ტურიზმის დაგეგმვის დონეებია:

- საერთაშორისო დონე;
- ეროვნული დონე;
- რეგიონული დონე;
- ლოკალური სათემო დონე;
- სანახაობის დაგეგმვის დონე;
- არქიტექტურული, ლანდშაფტირების და ინჟინერინგის დიზაინის დონე [47, გვ. 240].

ტურიზმის დაგეგმვა და მართვა კოორდინირებული უნდა იყოს ყველა დონეზე. მართალია, მნიშვნელოვანია, ლოკალური და რეგიონული აქცენტები, მაგრამ ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ პოლიტიკას და გეგმებს [96].

1.2. ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაში

ტურიზმი სასარგებლოცაა და საზიანოც გარემოსთვის. კარგად დაგეგმილი, განვითარებული და მართული ტურიზმი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, შემოსავლებს და ახალ შესაძლებლობებს ადგილობრივი მეწარმეებისთვის, რათა ჩამოაყალიბონ ტურისტული საწარმოები. ეს ყველაფერი აუმჯობესებს რეზიდენტების ცხოვრების სტანდარტებს. ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა ანვითარებს ინფრასტრუქტურას, რომელიც გამოიყენება რეზიდენტების მიერ. ტურიზმს შეუძლია ასტიმულიროს სხვა ეკონომიკური აქტივობები, სექტორები, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ხელოსნობა. ტურიზმი ასევე ხელს უწყობს ახალი დარგების წარმოშობას, ასტიმულირებს კულტურათაშორის გაცვლით ურთიერთობებს, ინფრასტრუქტურის, ასევე კომუნალური მომსახურების ობიექტებისა და სამსახურების მოდერნიზაციას, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც ადგილობრივი მოქალაქეების, ასევე ტურისტების მიერ. ტურიზმი ხელს უწყობს ტურისტული არეალის, კერძოდ, ბუნებრივი გარემოს, არქეოლოგიური, ისტორიული მხარეების, ხელოსნობის, კულტურული ტრადიციების კონსერვაციას, ეკოლოგიის ხარისხის გაუმჯობესებას, რადგან ეს არის ატრაქცია ტურისტისთვის [90, გვ.27-29].

თუ ტურიზმი კარგად არ არის დაგეგმილი, მართული და განვითარებული, შეუძლია გამოიწვიოს ჭარბი დასახლება, გარემოს დაბინძურება და სხვა ეკოლოგიური პრობლემები. ტურისტების მხრიდან ბუნებრივი კონსერვირებული გარემოს და ისტორიული ტერიტორიების არაკონტროლირებადმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი მდგომარეობის გაუარესება. კულტურული ტრადიციების ზედმეტმა კომერციალიზებამ შეიძლება შედეგად მოგვცეს არეალის კულტურული მემკვიდრეობის დეგრადირება. საბოლოო ჯამში იკარგება ეკონომიკური სარგებელი, თუ არ გაკონტროლდება ტურიზმის განვითარება. ასე, რომ ფრთხილი დაგეგმვით, განვითარებით და მენეჯმენტით ტურიზმიდან სარგებლის მაქსიმიზება და პრობლემების მინიმიზება შესაძლებელია, თუმცა გარკვეული კომპრომისები გარდაუვალია [43].

ტურისტული სისტემა უნდა იქნეს გაგებული, როგორც დაგეგმილი ტურიზმი. ეს სისტემა არის ინტეგრირებული და დაფუძნებული მოთხოვნა მიწოდების

ფაქტორებზე. მოთხოვნის ფაქტორებია საერთაშორისო და შიდა ტურისტები. მიწოდების კომპონენტებია ტურისტული ატრაქციები და აქტივობები, განთავსების ადგილები და სხვა ტურისტული მომსახურება და სერვისი, ტრანსპორტირება, სხვა ინფასტრუქტურა. მიწოდების მხარე ცნობილია, როგორც ტურისტული პროდუქტი. ტურიზმი და გარემო არის ერთმანეთთან ახლოს დაკავშირებული. მდგრადი ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია გარემო რესურსების ხელშეწყობაზე ტურიზმისთვის. მდგრადი ტურიზმის განვითარებაში პარტნიორები არიან ტურიზმის ინდუსტრია, გარემოს დამცველები და ადგილობრივი საზოგადოება [14, გვ. 320].

ყოველმა ლოკალურმა გარემომ, რომელიც მოიცავს განვითარებად და გაფართოებად ტურიზმს, ფრთხილად უნდა შეაფასოს თავისი რესურსები ტურიზმისთვის. არსებული და პოტენციური ტურისტული ატრაქციების და აქტივობების შეფასებისთვის რესურსები დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოსთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან და სპეციალიზებულია თვისებებით, როგორიცაა: ეკონომიკური აქტივობები, ურბანული ადგილები, სოფლის გარემო, ჯანმრთელობა და მედიკამენტები, რელიგიური მიმართულებები, ტურისტული შესაძლებლობების და მომსახურების არსებული განვითარება. ტრანსპორტირება და სხვა ინფრასტრუქტურა და ტრენირებული სამუშაო ძალა. დამატებით, სხვა მოქმედი ფაქტორი ტურიზმის განვითარებაზე, რომელიც უნდა შეფასდეს არის ტურისტული ბაზრები, ფასები და ტურისტული არეალის კეთილმოწყობა, კონკურენტი დანიშნულების ადგილები, საზოგადოების მგრძნობელობა ტურიზმის განვითარებაზე, საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობა, არეალის დაცულობა და პოლიტიკური სტაბილურობა.[5]

ტურიზმის სარგებელი და პრობლემები ადგილობრივი საზოგადოებისთვის - ტურიზმს შეუძლია მოიტანოს მნიშვნელოვანი სარგებელი ადგილობრივი საზოგადოებისათვის. იგი მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც უნდა მოიტანოს ტურიზმმა არის ახალი სამუშაო ადგილები; ტურიზმი სამუშაო ადგილებს ძირითადად ქმნის ახალგაზრდებისთვის, ქალებისთვის, ადგილობრივ უმცირესობათა ჯგუფებისთვის. ტურიზმი დასაქმებას ახორციელებს არა მხოლოდ პირდაპირ,

[5] www.unwto.org

სასტუმროებში, რესტორნებში, და სხვა ტურისტულ საწარმოებში, ასევე სხვა მიწოდების სექტორში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და მრეწველობა. ეკონომიკურად დეპრესიულ არეალში სამუშაო ადგილები, რომელსაც ქმნის ტურიზმი, შესაძლოა შემცირდეს ახალგაზრდების ემიგრაციის შედეგად და ეძებონ სამუშაო სხვაგან;

- ტურიზმის განვითარებას შეუძლია ასტიმულიროს ადგილობრივი ტურისტული საწარმოები, ეს ქმნის შესაძლებლობებს ადგილობრივი ინვესტირებისათვის, ახალ სამუშაო ადგილებს, სარგებელს, შემოსავლებს და ა.შ. უფრო ზოგადად კი მეწარმეობის განვითარება, რომელიც შესაძლოა არ არსებულიყო ამ ადგილზე მანამდე;
- გაზრდილი შემოსავლები იქმნება ახალი სამუშაო ადგილებისგან და ტურისტული მეწარმეობისგან. ეს კი აუმჯობესებს ადგილობრივი ცხოვრების სტანდარტებს. თუ კომერციული მეწარმეობა არის ადგილობრივთა მფლობელობაში და მმართველობაში, სარგებელი, რომელსაც ისინი ქმნიან ისევ იმავე ტერიტორიაზე რჩება;
- ტურიზმი ქმნის ადგილობრივ საგადასახადო შემოსავლებს, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს კომუნალური პირობების, მომსახურების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, როგორიცაა სკოლები, სამედიცინო კლინიკები, ბიბლიოთეკები, პარკები, რეკრეაციული რესურსები და გზები;
- ტურიზმში დასაქმებულები სწავლობენ ახალ უნარ–ჩვევებს და ტექნოლოგიებს, როგორიცაა კომპიუტერის გამოყენება, კლიენტების მომსახურება, ეს კი ხელს უწყობს ადგილობრივი ადამიანური რესურსების განვითარებას, რაც ტრანსფერირებადია სხვა ეკონომიკურ აქტივობებშიც;
- ტურიზმს შეუძლია შექმნას ახალი ბაზრები ადგილობრივი პროდუქციისთვის, როგორიცაა აგრარული, მეთევზეობის, ხელოვნების, ხელნაკეთობების, სამრეწველო პროდუქციის, ამასთანავე ასტიმულირებს სხვა ადგილობრივ ეკონომიკურ მიმართულებებს. ტურისტული შესაძლებლობების განვითარებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ადგილობრივ მშენებლობებს;
- ტურიზმი ასტიმულირებს და აუმჯობესებს საცალო გაყიდვებს, რეკრეაციას, კულტურულ რესურსებს, კერძოდ, სპეციალიზებულ მაღაზიებს, სავაჭრო

უბნებს, პარკებს, რეკრეაციას, კულტურულ ცენტრებს, თეატრებს, რომლის გამოყენება შეუძლიათ, როგორც ადგილობრივ რეზიდენტებს, ასევე ტურისტებს. ტურიზმი ეხმარება კულტურული შესაძლებლობების და აქტივობების დაფინანსებას, როგორიცაა თეატრალური წარმოდგენები, რომლის შენახვაც რთულია ტურიზმის გარეშე;

- ტურისტული ტერიტორიის გარემოს ხარისხი შესაძლოა გაუმჯობესდეს, როგორც ტურიზმის შედეგი, რადგან ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ მიმზიდველ, დაუბინძურებელ ადგილებში ვიზიტს. მიწის გამოყენება და ტრანსპორტირებაზე ზრუნვა შესაძლოა გაუმჯობესდეს, რადგან ტურიზმი ხელს უწყობს ზოგიერთი ადგილების ხელახალ განვითარებას;
- ტურიზმი აუმჯობესებს გარემოსდაცვითი კულტურული იდენტურობის გაცნობიერებას, რეზიდენტების მხრიდან, როცა ისინი ხედავენ, რომ ტურისტი დადებით ემოციებს გამოხატავს ლოკალურ გარემოზე, კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე. ხშირად რეზიდენტები ავითარებენ და უახლდებათ სიამაყის გრძნობა თავიანთი მემკვიდრეობის გამო, როცა ხედავენ რომ ტურისტები ჯეროვნად აფასებენ მათ, შესაბამისად, ტურიზმი ასტიმულირებს კულტურული მემკვიდრეობის ამა თუ იმ ასპექტის გამოცოცხლებას, რომელიც სხვა მხრივ იკარგება თანამედროვე განვითარების კვალდაკვალ [21, გვ.120-127; 90, გვ.28-29].

სქემა 1. 1. ასახავს ტურიზმის ეკონომიკური სარგებლის ნაკადებს ლოკალურ გარემოზე. როგორც დიაგრამაზე არის აღნიშნული, ეკონომიკური სარგებელი იზღუდება, როცა პროდუქციის მომარაგება ხდება გარე არეალიდან. ადგილობრივად წარმოებული საქონელის და მომსახურების გამოყენება კი იძლევა სარგებლის ზრდის საშუალებას ადგილობრივ ეკონომიკაში. დიაგრამა ასევე გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ატრაქცია, შესაძლებლობები და სერვისები – პარკები, სპორტული ცენტრები, თეატრები, მაღაზიები, ხელოვნების და ხელოსნობის გალერეები – განვითარებული ტურიზმისთვის, შესაძლებელია გამოიყენონ მნახველებმა.

ტურიზმი და საზოგადოება სქემა 1.1



წყარო: WTO, Guide for Local Authorities on Development Local Tourism, p.30

არასწორად დაგეგმილმა და განვითარებულმა ტურიზმმა შეიძლება გამოიწვიოს შემდეგი პრობლემები ადგილობრივ გარემოში:

- ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის სიჭარბე ქუჩებში, პარკირების პრობლემები, ხმაური, რაც არაკონტროლირებული ტურიზმის შედეგია;
- ჰაერის დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს ტურისტების და მათი გადამყვანი ოპერატორების სატრანსპორტო საშუალებების სიჭარბემ. აქ მნიშვნელობა აქვს ამ საშუალებების კონსტრუქციას, თვისებრიობას;
- ტურისტული არეალი შესაძლოა გახდეს არამიმზიდველი, რაც შეიძლება გამოიწვიოს ტურისტული პროდუქტის შეუფერებელმა დიზაინმა, უშნო რეკლამებმა და დანაგვიანებამ ტურისტების მხრიდან;
- მნიშვნელოვანი ტურისტული ატრაქციები, როგორიცაა მუზეუმები, თეატრები, პარკები შესაძლოა იმდენად ჭარბად იყოს გამოყენებული, რომ ადგილობრივ რეზიდენტებს არ ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა, ეს იწვევს ტურისტების მიმართ აგრესიას ადგილობრივების მხრიდან;
- ნაციონალური პარკების, არქეოლოგიური, ისტორიული მხარეების არაკონტროლირებადმა გამოყენებამ ტურისტების მხრიდან - შესაძლოა

გამოიწვიოს მათი დაზიანება, მაგალითად, ველური გარემოს ხშირი მონახულება ხელს უშლის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ბუნებრივ განვითარებას. ასევე შესაძლოა გაუარესდეს ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების მდგომარეობა;

- შესაძლოა გამოიწვიოს კულტურული მემკვიდრეობის, ხელოსნობის, ხელოვნების დეგრადირება, დაიკარგოს კულტურული იდენტურობა, თუ ის იქნება კომერციალიზებული და მოდიფიცირებული, ასევე დაიკარგოს ტრადიციები, ლოკალური კულტურული ფასეულობები;
- ეკონომიკური სარგებლის მიღება, ადგილობრივი საზოგადოებისთვის და რეზიდენტებისთვის შესაძლოა შეიზღუდოს, თუ ადამიანური რესურსები კონკრეტული არეალის გარედან იქნება დასაქმებული დანიშნულების ადგილზე. ხშირად ხდება, რომ არაადგილობრივი პირი არის ტურისტული ობიექტის მესაკუთრე. ასევე ეკონომიკური დანაკარგია, როცა მეტი წილი ტურიზმში გამოყენებული საქონლისა არის იმპორტირებული გარედან. თუმცა ეს შესაძლებელია აუცილებელიც იყოს ადგილზე არარსებობის გამო.

დაგეგმვას, გეგმების მუდმივ დანერგვას და ეფექტიან მენეჯმენტს შეუძლია სარგებლის მაქსიმიზება და პრობლემების მინიმიზება. თუმცა დანაკარგები არის გარდაუვალი, მათ შორის ტურიზმშიც. საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, როგორ შეუძლია გაზარდოს სარგებელი, შეამციროს პრობლემები, მოელოდეს დანაკარგებს, სარგებელს და პრობლემებსაც ტურიზმის განვითარებისგან [90, გვ.29-31].

ტურიზმის ფუნქციონალური სისტემა დაფუძნებულია მიწოდება–მოთხოვნის ფაქტორებზე, როგორც არის სქემა 1.2–ში [90,გვ.32]. მოთხოვნის ფაქტორები მოიცავს პოტენციურ ტურისტულ ბაზრებს, შიდას და საერთაშორისოს. მიწოდების ფაქტორები წარმოდგენილია ატრაქციებით, ტრანსპორტირებით, სიმძლავრეებით, მომსახურებით და ტურიზმის მიწოდებით.

ტურიზმის ფუნქციონალური სისტემა სქემა 1. 2.



წყარო: Vacationscape. Clare Gunn. Washington, DC: Taylor & Francis. 1997.p.32

განთავსების საშუალებები, მოგზაურობისა და მომსახურების მრავალი სახეობა, ატრაქციები და სხვა მიმართულებები ტიპურად მოიცავს ტურიზმის კომერციულ, კერძო სექტორს, მათ ერთობლიობაში უწოდებენ ტურიზმის ინდუსტრიას. ტურისტების მოლოდინების და შთაბეჭდილებების უზრუნველსაყოფად, საჭიროა ინვესტიციების განხორციელება ტურისტულ სამეწარემო საქმიანობაში, სადაც ოპერაციების ეფექტიანობით, ინოვაციების დანერგვით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით უნდა მოხდეს თანამედროვე ტურისტული პროდუქტების ფორმირება, რომელიც პასუხობს ტურისტების მოლოდინს [42, გვ.12-20].

ტურისტული ატრაქციების მრავალი სახეობა, როგორიცაა პარკები, არქეოლოგიური და ისტორიული ტერიტორიები ხშირად გვხვდება სამთავრობო სააგენტოების მფლობელობაში, მათი მმართველობის ქვეშ. მიღებული შემოსავლებით ხდება ოპერაციული ხარჯების დაფარვა და ამ ადგილების განვითარება. ტრანსპორტი და სხვა ინფრასტრუქტურა არის ტიპურად მთავრობის ან კერძო და სახელმწიფო სექტორის შერეული კორპორაციების მფლობელობის და მმართველობის ქვეშ [42, გვ.213-220].

ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი და ტურიზმის სისტემის სხვა ინსტიტუციური ელემენტები ასევე არის ტიპურად მთავრობის, ან შერეულად

კერძო და სახელმწიფო სექტორის ერთობლივი პასუხისმგებლობის ქვეშ. მთავრობის მხრიდან ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და მისი კოორდინირება არის მნიშვნელოვანი, რათა მიღებული იქნეს მრავალფეროვანი ტურისტული ობიექტები და ეკონომიკური სარგებელი საზოგადოების მხრიდან სერიოზული, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციოკულტურული პრობლემების შექმნის გარეშე [74].

ტურიზმის სექტორის წარმატებული განვითარება კონკრეტულ ტერიტორიაზე, მოითხოვს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნას და ტურისტული ბაზრის განვითარებას. უნდა შეიქმნას პროდუქტი, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ტურისტის მოთხოვნილებათა და მოლოდინის დაკმაყოფილებას. მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება მისი სიჭარბე, რათა არ შეუქმნას ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები ადგილობრივ საზოგადოებას. ტურისტული ბაზარი და ტურიზმის პროდუქცია უნდა მოექცეს ეთიკურ ჩარჩოში, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადი, დაბალანსებული ტურიზმის განვითარებას და მოახდენს საზოგადოებრივი სარგებლის ოპტიმიზაციას. გარემო და ტურიზმი მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან. გარემო არსებობს მრავალი ატრაქციას ტურისტებისთვის ხოლო ტურიზმის განვითარებას შეუძლია ჰქონდეს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენა გარემოზე. მდგრადი ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია ეკო რესურსების დაცვაზე ეფექტიან გამოყენებაზე [47, გვ. 11-13].

მდგრადი ტურიზმის განვითარების ლობისტები არიან ტურიზმის ინდუსტრია – ტურიზმის კომერციული საწარმოების მესაკუთრეები და მენეჯერები; გარემოს დამცველები იცავენ გარემოს კონსერვაციას და საზოგადოება – რეზიდენტები, საზოგადოებრივი ჯგუფები.

სქემა 1.3. პარტნიორებს შორის ინტერაქციის ილუსტრაციაა, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. აგრეთვე მიღწეულ უნდა იქნეს ტურისტული რესურსების კონსერვაციის პირობებში გონივრული სარგებელის ზღვარი ტურისტებისთვის და ტურიზმის ინდუსტრიისთვის.

ტურიზმის ინდუსტრია, გარემო და საზოგადოება. სქემა 1.3.



წყარო: WTO, Guide for Local Authorities on Development Local Tourism, p.34

ყველა ზემოთ აღნიშნულ პარტნიორს შორის კოოპერირება არის მნიშვნელოვანი წინაპირობა მდგრადი ტურიზმის განვითარების მისაღწევად, რომელიც აუმჯობესებს ადგილობრივი რეზიდენტების ცხოვრების ხარისხს. ასევე აუცილებელია კოოპერირება სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს შორის.

ყოველი ადგილობრივი არეალი, ან საზოგადოება, რომელიც ჩართულია ტურიზმის განვითარებაში, ან აფართოებს არსებული ტურიზმის სექტორს, ვალდებულია მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს რესურსები ტურიზმისთვის. ეს შეფასება აუცილებელია ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების პოტენციალის დასადგენად, თუ რომელია ტურიზმის მეტად შესაფერისი მიმართულება, რომელიც უნდა განვითარდეს. თუ დადგინდა, რომ არსებობს განვითარების პოტენციალი, შესრულებული სამუშაო ქმნის საფუძველს შედგეს ტურიზმის განვითარების დეტალური გეგმა.

ტურისტული რესურსების სახეების შეფასების ობიექტებია: ატრაქციები და აქტივობები, დაკავშირებული ბუნებრივ გარემოსთან, რომელსაც შეუძლია შექმნას ზღვისპირა და საზღვაო ტურიზმის შესაძლებლობები, საწყლოსნო სპორტის სახეობები, სათხილამურო ტურიზმი, ველური გარემოს ბუნება და ეკოტურიზმი, მოგზაურობა, მეთევზეობა და ნადირობა, სპეციალური ბუნებრივი სანახაობები,

როგორიცაა ჩანჩქერი, გამოქვაბულები, სათავგადასავლო ტურიზმი, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, ნაოსნობა და სპეციალური ინტერესების ტურიზმი, დაკავშირებული ტურისტების სპეციფიკურ ინტერესებთან, ფრინველების დაკვირვება, ველური ორქიდეების ტური, ასევე არეალის კლიმატიც კი შესაძლოა შეფასდეს, როგორც სანახავი ატრაქცია. როგორც წესი განიხილება ტურისტული შესაძლებლობების ყველა მიმართულება:

- ატრაქცია და აქტივობები დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან, არქეოლოგიური ადგილები, ისტორიული შენობები, მონუმენტები, სპეციალური ისტორიული სანახაობები, როგორიცაა ხიდები, ინდუსტრიული მხარეები, ისტორიული ღონისძიებების გაცოცხლება და ცხოვრების სტილი ქმნიან შესაძლებლობებს ვიზიტორებისთვის;
- კულტურული მემკვიდრეობის სხვა ასპექტები: ცეკვა, სიმღერა, ტრადიციული ჩაცმულობა, კერძები, ტრადიციული არქიტექტურა და სოფლები, ხელოვნება ქმნის შესაძლებლობებს წარდგენის ორგანიზებისთვის, როგორიცაა ხელოსნობის ნიმუშების და სპეციალური ნიმუშების ბაზრობები და ფესტივალები, წარმოება და გაყიდვები, სოფლის ტურები და სოფლის ტურიზმის განვითარება;
- ატრაქციები და აქტივობები, რომლებიც კავშირშია ეკონომიკურ აქტივობებთან, შესაძლებელია გამოყენებული იქნას ფერმების და პლანტაციების, ხელოსნების და თანამედროვე ქარხნების დათვალიერების ტურები;
- ატრაქციები და აქტივობები დაკავშირებულია ურბანულ ტერიტორიებთან (ურბანული ტურიზმი) და ქმნის სანახაობების კომბინაციას, როგორიცაა ისტორიული ადგილები, მუზეუმები, საინტერესო არქიტექტურული სტილის მქონე შენობები, მონუმენტები, თეატრალური წარმოდგენები, ღამის კლუბები და ძირითადი სპორტული სანახაობები, სადილობა რესტორანში და შოპინგი. მრავალი ურბანული ადგილი და კურორტი ვარგისია კონფერენციის მოსაწყობად;
- ატრაქციები და აქტივობები დაკავშირებული სოფლის ლანდშაფტთან და ცხოვრების სტილთან ქმნის შესაძლებლობას სოფლის ტურიზმის

განვითარებისთვის. ფერმაში დარჩენა, პლანტაციები და მონაწილეობა აქტივობებში, რომელიც ასოცირდება ამ ადგილებთან, ნადირობა, ფეხით მოსიარულეთა ტურიზმი;

- ატრაქციები და აქტივობები დაკავშირებული ჯანმრთელობასთან, დასვენებასთან, მედიკამენტურ ან მინერალებით მკურნალობასთან. გარკვეულ ჯგუფებში აგრეთვე პოპულარულია მედიკამენტოზური მკურნალობის უარყოფა და დაინტერესება მთის კლიმატით. თანამედროვე, ტრადიციული და ბუნებრივი სამედიცინო მკურნალობა ქმნის შესაძლებლობებს გამაჯანსაღებელი კურორტებისთვის და ბუნებრივი სამკურნალო საშუალებების წარმოებისთვის;
- ფასდება სპეციალიზებული ატრაქციების განვითარების შესაძლებლობები, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ და საგანმანათლებლო ინსტიტუციებს, სპორტული ტურიზმის შესაძლებლობას და შესაბამის ღონისძიებებს, აზარტულ თამაშებს, რელიგიურ ადგილებს, თუ სხვადასხვა მუსიკალურ მიმდინარეობებს და ა.შ.;
- ტურიზმის სხვა ფორმებთან დაკავშირებული რესურსები მოიცავს: მნიშვნელოვან რელიგიურ რიტუალებს, რომელიც ატრაქციაა პილიგრიმებისთვის. ასევე ნოსტალგიურ ტურიზმს. ადამიანები ხშირად ბრუნდებიან რელიგიურ ან ტრადიციულ დღესასწაულებზე, იმ ადგილებში, სადაც გაუტარებიათ ბავშვობა, მოინახულებენ მშობლიურ მხარეს, ან სადაც სწავლობდნენ, იბრძოდნენ და ა.შ.;
- გარემოს ხარისხი ხშირად ქმნის ტურისტებისათვის დასვენების მოტივაციას, მას განსაზღვრავს: ჰაერის დონე, წყლის ხარისხი, დაბინძურებისგან დაცული პარკები, რეკრეაცია, მიმზიდველი შენობები, ღია ადგილები, სავაჭრო ცენტრები, ქუჩები ღამის განათებებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობა, კრიმინალის დაბალი დონე და სხვა ელემენტები;
- ტურიზმის მიმზიდველობას განაპირობებს სასტუმროები და სხვა განთავსების ადგილები, რესტორნები, ტურები და მოგზაურობის სერვისები, ტურისტების საინფორმაციო მომსახურება, შოპინგი ტურისტული შესაძლებლობების და მომსახურების სხვა სახეები;
- ხშირად მოძველებული სასტუმროების რესტავრირება ხდება, რათა უპასუხოს

ტურისტის მოთხოვნებს. ისტორიული სასტუმროები წარმატებულად გადაკეთდება ტურისტების განთავსების ადგილად;

- მნიშვნელოვანია არეალის ტრანსპორტის არსებული მდგომარეობა და სხვა ინფრასტრუქტურაც, როგორიცაა წყლის მიწოდება, ელექტრო ენერგიის მიწოდება ნარჩენების მართვა და ტელეკომუნიკაცია;
- აუცილებელია შეფასდეს კვალიფიციური ან ტრენირებული მუშაკების სარგებლიანობა ტურიზმის ყველა ასპექტში. ხშირად ტურიზმის განვითარების მიზეზი არის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიღწევა. მაგრამ ტრენირება არის ჩვეულებრივ აუცილებელი, რათა შეიქმნას ტურიზმის სექტორისთვის კვალიფიცირებული პერსონალი [90].

ზემოთ ჩამოთვლილი რესურსების ტიპების გარდა უნდა შეფასდეს სხვა ფაქტორებიც, კერძოდ:

- არსებული ტურისტული ბაზრები, ძირითადი საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტული ბაზრების პოტენციალი, მათი ინტერესები ატრაქციების მიმართ;
- პოტენციური ტურისტული ბაზრების ატრაქციების, ტურისტთა მოგზაურობის და განთავსების ფასები. ტურისტი დანიშნულების ადგილს ხშირად ირჩევს მოგზაურობის ფასის და ხელსაყრელი ფაქტორების შედარებით, ისევე როგორც ატრაქციის ხარისხის, შესაძლებლობების და სერვისის მიხედვით;
- ტურისტული არეალის პოტენციური და არსებული კომფორტაბელურობა სხვა ეკონომიკური აქტივობების პარალელურად;
- რეკომენდაციები არეალისთვის არსებულ ნაციონალური და რეგიონული ტურიზმის განვითარების პოლიტიკაში და გეგმაში [83];
- ზოგადად საზოგადოების სენტიმენტები იმის შესახებ, რომ ტურიზმი შესაძლოა განვითარდეს, მისი სარგებლიანობის და შესაძლო პრობლემების განხილვებზე დაფუძნებით;
- არსებული ადგილობრივი მთავრობა და კერძო სექტორის ორგანიზებული სტრუქტურები ტურიზმის განვითარებისათვის. ზოგი არსებული რეგულაცია დაკავშირებული ტურიზმთან, რაც განაპირობებს ადგილობრივი შესაძლებლობების მობილიზებას ინვესტირება მოახდინონ ტურიზმის

განვითარებაში;

- არსებული ტრენინგ ინსტიტუციები და პროგრამები, რათა შეიქმნას კვალიფიცირებული პერსონალი ტურიზმის სექტორში დასაქმებისთვის. ყველა ეს ფაქტორი შესაძლოა გაუმჯობესდეს დროის განმავლობაში საჭიროებისამებრ. რეკომენდაციები გაუმჯობესებაზე ჩვეულებრივ ხორციელდება ტურიზმის დაგეგმვის ეტაპზე;
- საზოგადოების დაცულობა და კრიმინალის დონე არეალში, პოლიტიკური სტაბილურობის ხარისხი ქვეყანაში, რეგიონში, სადაც მდებარეობს ტურისტული დანიშნულების ადგილი და ტურისტზე ამ ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი, გარკვეული დროის მონაკვეთში, რადგან ეს ფაქტორი ცვალებადია;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობა, განსაკუთრებით სანიტარული, ჰიგიენის მდგომარეობა და ეპიდემიური დაავადების გავრცელების შესაძლებლობა არეალში. ამ ფაქტორზე მუდმივი ზრუნვაა საჭირო [90].

ტურიზმის რესურსების და ტურიზმზე ზემოქმედი სხვა ფაქტორების შეფასება შექმნის საფუძველს გადაწყვეტილების მისაღებად იმის თაობაზე, აქვს მოცემულ არეალს ტურიზმის განვითარების პოტენციალი თუ არა. ანალიზის შედეგები, ასევე მიუთითებს ტურიზმის სახეებსა და განვრცობაზე. ეს კი შექმნის საფუძველს ტურიზმის დეტალური დაგეგმვისათვის.

თუ არეალს არ აქვს საკმარისი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის, ან არსებობს განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, რთული ტრანსპორტირება, პოლიტიკური არასტაბილურობა, მაშინ რეალისტური გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული, რათა განვითარდეს ტურიზმი, როგორც მინიმუმ მიმდინარე პერიოდისთვის. საჭირო იქნება ფართო ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რათა მიღწეულ იქნეს ტურიზმის წარმატებული განვითარება. ასევე სხვა ეკონომიკური სექტორებიც უნდა იქნეს გამოკვლეული მისი განვითარების ხელშეწყობისათვის. [3]

1.3. ადგილობრივი ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა

ტურიზმის დაგეგმვის მთავარი მიზანი არის საზოგადოებისათვის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღება, ასევე მისი მდგრადი განვითარება, რომელიც გულისხმობს, როგორც გარემოს დაცვის კუთხით სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, ასევე ადგილობრივი კულტურის და ფასეულობების შენარჩუნებას. ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინება, როგორიცაა: ტურისტული ატრაქციები და აქტივობები, განთავსების საშუალებები, ტრანსპორტი, სერვისი, ინფრასტრუქტურა და ინსტიტუციური ელემენტები. აღნიშნული საკითხების გაანალიზება მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული და ლოკალური გავითარების თვალსაზრისით [85].

ლოკალური და რეგიონალი განვითარების პრობლემებზე მუშაობა 1960 – 70 იანი წლებიდან იწყება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებულია მრავალი თეორიული და პრაქტიკული მიდგომა. ცხადია, რომ თანამედროვე პირობებში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკურმა კავშირებმა, წარმოშვა რეგიონული განვითარების პოლიტიკისადმი ახალი, ინოვაციური მიდგომების ფორმირების აუცილებლობა. ასევე, რეგიონული პოლიტიკის შემუშავებაში ინსტიტუციური, რესურსული, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების და დეტრემინანტების გამოვლენა და შეფასება გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი პოლიტიკის და მოდელების იმპლემენტაციის თვალასაზრისით. [17, გვ. 87]

სამეცნიერო ლიტერატურაში რეგიონის ცნებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია დაფიქსირებული. დეფინიციებში გამოკვეთილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური მიდგომები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში აუცილებლად მოიაზრება გარკვეული ტერიტორია ან ტერიტორიული სივრცე [17, გვ. 9-10]. მაგალითად, გამოყოფენ ურბანულ, ინდუსტრულ, ტურისტულ რეგიონებს [45, გვ. 7-8].

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ სახელწიფო დონეზე აუცილებელია საკითხების პრიორიტეტიზაცია, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე. ჩვენი აზრით პრიორიტეტების სისტემა და არსებული სამოქმედო გეგმები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან [55]. ცხადია, რომ პოლიტიკის მგეგმავებმა, სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინონ სოციალური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორები, რაც საბოლოოდ განაპირობებს რეგიონის კონკურენტუნარიანობას. რეგიონის კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები გააჩნია კრუგმანს, იგი მხარს უჭერს იდიას, რომ "რეგიონული კონკურენტუნარიანობას" გააჩნია გარკვეული უპირატესობები ვიდრე "ეროვნულ კონკურენტუნარიანობას", ვინაიდან რეგიონული ეკონომიკა არის უფრო მეტად გახსნილი ვაჭრობასა და ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ვიდრე ეროვნული ეკონომიკა [45, გვ. 10]. შესაბამისად, ტერიტორიულ (რეგიონულ) კონკურენტუნარიანობას შეუძლია პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს მთლიანად ეკონომიკის განვითარებაზე.

ლოკალური და რეგიონული განვითარებისადმი არსებობს სხვადასხვა ტიპის მიდგომები. ტრადიციული "ზემოდან-ქვემოთ" მმართველობითი მიდგომით გადაწყვეტილებების მიღება და სტრატეგიების იმპლემენტაცია ხდება ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების და პოლიტიკის მგეგმავების მიერ. აღნიშნული მიდგომით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ნაკლებად ხდება ადგილობრივი მოსახლეობისა და მათი წარმომადგენლების ჩართვა. ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავებულია ე.წ. "ქვემოდან-ზემოთ" მიდგომა, რომელშიც ხდება ადგილობრივი წარმომადგენლების ჩართვა, უფლებამოსილების დეცენტრალიზაცია [45, გვ. 17]. (იხილეთ სქემა 1.1)

ტრადიციული განვითარების პოლიტიკა	ლოკალური და რგიონული განვითარება
• "ზემოდან ქვემოთ" მიდგომა, სადაც გადაწყვეტილების მიღება ტერიტორიის შესახებ მიიღება ეროვნულ ცენტრებში; • იმართება ეროვნული ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ; • განვითარებისადმი სექტორული მიდგომა; • ინდუსტრიული პროექტები; • ფინანსური მხარდაჭერა და, სტიმულები და სუბსიდია განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური აქტივობების ზრდის ფაქტორი.	• ტერიტორიების განვითარაება, ინიციატივები მოდის ქვემოდან; • დეცენტრალიზაცია, ვერტიკალური კოოპერაცია სამთავრობო რგოლებს შორის და ჰორიზონტალური კოოპერეაცია საჯარო და კერძო სექტორებს შორის; • განვითარებისადმი ტერიტორიული მიდგომა; • ტერიტორიების პოტენციალის გამოყენება, იმისათვის, რომ მოხდეს ადგილობრივი ეკონომიკური სისტემების სტიმულირება.

წყარო: Pike Andy, Rodriguez-Pose Andres, Tomaney John, Local and Regional Development, By Routledge, 2006. P.17

ლოკალური და რეგიონალ განვითარებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა ტიპის კონცეფციები და თეორიები, რომელიც საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად გავაანალიზოთ მოვლენები და პროცესები ტურისტული დანიშნულების ადგილის სპეციფიკურობის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ თეორიებმა და კონცეფციებმა გაიარა გარკვეული ევოლუციის პროცესი. შესაბამისად, ჩამოყალიბდა თანამედროვე გარემო პირობების გათვალისწინებით ახალი მოსაზრებები, სადაც მოცემულია ხედვები რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული კონცეფციების გაანალიზება ტურისტული დანიშნულების ადგილის ჭრილში. რიჩი და კრაუჩი ყოფენ სხვადასხვა ტიპის ტურისტული დანიშნულების

ადგილებს შემდეგნაირად: ქვეყანა, ქვეყნების გაერთიანება, ადმინისტრაციული ერთეული, ლოკალური რეგიონი, დედაქალაქი ან ქალაქი [47, გვ.108].

თანამედროვე პირობებში ტურისტული რესურსები გახდა უფრო მეტად სპეციალიზებული, შესაბამისად, აუცილებელი გახდა ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება. რაც განაპირობებს როგორც ქვეყნების, ასევე რეგიონების კოკურენტუნარიანობის ამაღლებას. კონკურენცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან კონკურენტულ გარემოში ტურისტული პროდუქტების ხარისხის, წარმოების ეფექტიანობის გზით ხდება მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც საბოლოოდ პოზიტიურად აისახება ინდუსტრიის განვითარებაზე [81, გვ. 23-27].

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ პორტერმა ნაშრომში "ერების კონკურენტული უპირატესობა" შეიმუშავა მოდელი, რომლის ადაპტირება მოხდა ტურიზმის ინდუსტრიასთან. პროფესორი ნორბერტ ვანჰოფი აღნიშნავს, რომ პორტერის ნაშრომზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ "რეგიონების კონკურენტულ უპირატესობაზე". პორტერის მიერ ჩამოყალიბებული მოდელის მიხედვით ტურისტული დანიშნულების ადგილის (რეგონის) კონკურენტული უპირატესობა ეფუძნება ოთხ ურთიერთდაკავშირებულ დეტერმინანტს, რომელსაც იგი უწოდებს "ალმასს".

1. ფაქტორული პირობები, რომელშიც იგულისხმება წარმოების ფაქტორები და რომელიც ტურისტული დანიშნულების ადგილის კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად;
2. მოთხოვნის პირობები - ტურიზმის პროდუქტებსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ბუნება;
3. დაკავშირებული და დამხმარე ინდუსტრიები - აღნიშნულში იგულისხმება ის ინდუსტრიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არიან დაკავშირებული ტურიზმის ინდუსტრიასთან;
4. ბაზრის სტრუქტურა, მეტოქეობა, ორგანიზება და სტრატეგიები – ტურისტული დანიშნულების ადგილებში ეკონომიკური სუბიექტების მეტოქეობა. [47, გვ.115]

აღნიშნული ფაქტორების გარდა პორტერი ასევე გამოყოფს ორ დამატებით ცვლადს ცვლილებებსა და მთავრობას, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პროცესებზე. პორტერის მიერ წარმოდგენილი მოდელი გარკვეულწილად წარმოადგენს ურთიერთგამაძლიერებელ სისტემას, სადაც დეტერმინანტები არის ერთმანეთთან კავშირში.

მეცნიერები, მკვლევარები და პრაქტიკოსები რეგიონული განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით ყურადღებას ამახვილებენ კლასტერებზე, მათ როლსა და მნიშვნელობაზე [46, გვ. 10]. პორტერის მიხედვით კლასტერი არის "ბიზნესის კონკრეტულ სფეროში ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული კომპანების და სხვა ინსტიტუციების გეოგრაფიული კონცენტრაცია" [44, გვ. 78]. ბირგამპი და ფესტერი კლასტერს განმარტავს, როგორც ბიზნეს სუბიექტების ან სხვა ორგანიზაციების ჯგუფს, რომელ ჯგუფებშიც წევრობა წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ელემენტს თითოეული მოთამაშისათვის. შეიძლება ითქვას, რომ კლასტერების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება არის, როგორც რეგიონის ასევე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია პოზიტიური გავლენა მოახდინოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე. ვინაიდან ტურისტული პროდუქტი შედგება სხვადასხვა მომსახურებებისგან, როგორიცაა ატრაქცია, განთავსება, ტრანსპორტი და სხვა მომსახურება, იგი შესაძლებელია გახდეს სტიმულის მიმცემი კლასტერინგის პროცესისადმი. მიკელე სკარპინო ტურისტულ კლასტერთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ წარმატებული კლასტერის განვითარება დამოკიდებულია ცოდნის და ინფორმაციის ეფექტიან გამოყენებაზე, ასევე კლასტერის მონაწილეებს შორის კონსტრუქციულ და საქმიან კავშირებზე [46, გვ. 11].

რაც შეეხება ტურისტულ კლასტერს ესტეკაო და ფერიერა განმარტავს, რომ ტურისტული კლასტერი არის გეოგრაფიული კონცენტრაცია კომპანიების და ინსტიტუტების, რომლებიც ჩართულები არიან ტურისტულ აქტივობებში. ფერეირა აღნიშნავს, რომ ტურისტული კლასტერი მოიცავს, როგორც ინდუსტრიის ტრადიციულ მოთამაშეებს (განთავსება, კვება, გართობა, ოპერატორები და სამოგზაურო აგენტები, ტრანსპორტი) ასევე, სხვა დაკავშირებულ აქტივობებს,

როგორიცაა მხარდამჭერი აქტივობები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, განთლება და ტრეინინგი, ბიზნეს სერვისები და კონსულტაცია და ა.შ. [46, გვ. 12].

უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერების თეორიის პოპულარობის მიუხედავად მას ჰყავს კრიტიკოსებიც, რომელთაც გააჩნით გარკვეული შენიშვნები კლასტერების კონცეპტუალურ ხედვასთან დაკავშირებით. მარტიანი და სანლი აღწერენ კლასტერებს, როგორც ქაოტურ კონცეფციას. ასევე მკვლევარების აზრით არ არის ცხადი, როგორ შეიძლება კონკურენცია იყოს ტერიტორიული და განხილული ლოკალურ და რეგიონულ დონეზე. კრიტიკული მოსაზრებებია კლასტერების ფორმაციის სოციალურ ასპექტებზე და დინამიკაზე. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად კლასტერებზე დაფუძნებული პორტერისეული მოსაზრებები დიდი პოპულარობით სარგებლობს სამეცნიერო ლიტერატურაში. [5]

ტურიზმის ინდუსტრიასა და რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებია შემოთავაზებული ოპერმენის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ოპერმენის მოდელი განკუთვნილია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ოპერმენის მიერ შემუშავებულ მოდელში გამოიყოფა ფორმალური და არაფორმალური ტურისტული სექტორი. ფორმალური ტურიზმის სექტორში განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა საერთაშორისო სასტუმრო სტანდარტი, ინვესტიციები, მოგების ტრანსფერი, იმპორტირებული კვების პროდუქტები და საშენი მასალები. აღნიშნული ხედვის მიხედვით ქვეყნების მთავრობა ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ითვალისწინებს მხოლოდ ამ ფაქტორებს. არაფორმალური სექტორის შემთხვევაში, განიხილება უფრო ფართო სპექტრი ინდუსტრიაში ჩართული სუბიექტების. ამ შემთხვევაში ყურადღების გამახვილება ხდება შემოსავლის მიღებაზე, მათ მულტიპლიკაციურ ეფექტებზე. მოდელის მიხედვით ტურისტულმა დანიშნულების ადგილმა უნდა გადაწყვიტოს ტურიზმის რომელი მიმართულების განვითარება იქნება უფრო მეტად ეფექტიანი. გარდა ამისა მნიშვნელოვანია ფორმალური და არაფორმალური სექტორების ინტერაქცია, ფორმალური სექტორი უფრო მეტად განიხილება მასობრივი ტურიზმის ჭრილში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, აუცილებელია

ხელისუფლებამ შეაფასოს, რა ტიპის აქტივობებით არის შესაძლებელი უფრო მეტი სარგებლის მიღება ადგილობრივი რეზიდენტებისათვის [39, გვ. 509-511].

ლოკალური და რეგიონული განვითარების თვალსაზრისით მკვლევარებში და პრაქტიკოსებში განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს მდგრადი განვითარების მოდელები. მდგრადი განვითარების კონცეფცია შემოთავაზებულია ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის მიერ. ზოგადად მდგრად განვითარებაში იგულისხმება პროცესი, რომლის ფარგლებში განვითარება ხდება რესურსების ნაკლები ზიანის და გამოფიტვის გარეშე გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა დეფინიციები. მსოფილიო ტურიზმის ორგანიზაცია შემდეგი სახით განმარტავს [45, გვ.319-320].

“ტურიზმის მდგრადი განვითარება აკმაყოფილებს თანამედროვე ტურისტთა და მასპინძელი რეგიონების მოთხოვნებს და იმავდროულად იცავს და აფართოვებს შესაძლებლობებს მომავლისათვის. იგი ითვალისწინებს ყველა არსებული რესურსების მენეჯმენტს იმგვარად, რომ კულტურული ხელშეუხებლობის, არსებითი ეკოლოგიური პროცესების, ბიოლოგიური მრავალფეროვნების და სიცოცხლის ხელშემწყობი სისტემების სათანადო მოვლა-პატრონობასთან ერთად დაკმაყოფილდეს ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნები”.

მდგრადი განვითარების თვალსაზრისით გამოიკვეთა შემედეგი ძირითადი პრიორიტეტები:

- ეკოლოგიური მდგრადობა;
- სოციალური და კულტურული მდგრადობა;
- ეკონომიკური მდგრადობა.

ნორბერტ ვანჰოფის აზრით მდგრადი ტურიზმის მიზანი უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ვიზიტორთა სასიამოვნო შთაბეჭდილებების უზრუნველყოფა, გარემოს შენახვა და შენარჩუნება.

ტურიზმის დაგეგმვა უნდა განვიხილოთ, როგორც სისტემური პროცესი, რომელიც მოიცავს გარკვეულ ეტაპებს:

- კონკრეტული მიზნების განსაზღვრა, რომელიც აუცილებელია ტურიზმის განვითარებისათვის;

- მოსამზადებელი, კვლევითი სამუშაოების ჩატარება;
- მიმოხილვა და შეფასება ყველა შესაბამისი ელემენტების;
- მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი;
- ტურიზმის განვითარების პოლიტიკის და გეგმის ჩამოყალიბება;
- სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება [45, გვ.41].

კონკრეტული პროექტების დაგეგმვა უნდა ეყრდნობოდეს თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას, როგორიცაა პროექტის იდენტიფიკაცია, სკრინინგი, ორგანიზაციის განვითარება, ფინანსები, იმპლემენტაცია და მენეჯმენტი. ტურისტულმა პროექტებმა სარგებელი უნდა მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას და არ უნდა შეუქმნას პრობლემები, როგორც გარემოს დაცვის, ასევე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

ადგილობრივმა დაწესებულებებმა (სამთავრობო, არასამთავრობო) უნდა შეიმუშაონ დაგეგმვის, განვითარების გარკვეული სტანდარტები. სტანდარტების შემუშავება დამოკიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე, როგორიცაა: ლიმიტები შენობა-ნაგებობების სიმაღლეზე, ლანდშაფტზე, პარკირების სისტემის მოწესრიგებაზე, საზოგადოებრივ ხელმისაწვდომობაზე, სხვადასხვა კომუნიკაციის სისტემის მოწესრიგებაზე. სანაპირო ზოლზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება მოითხოვს გარკვეული სტანდარტების დაცვას. არქიტექტურული, საინჟინრო დიზაინის კუთხით, შესაბამისი ასპექტების გათვალისწინება არის ძალიან მნიშვნელოვანი. ასევე მნიშვნელოვანია გარკვეული სტანდარტები სერვისის ხარისხის კუთხით, იგი უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ მოთხოვნებს და არ უნდა იწვევდეს მომხმარებლების, ტურისტების იმედგაცრუებას.

დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც გულისხმობს გარკვეული მიზნების განსაზღვრას და ამ მიზნების მისაღწევად სტრატეგიების შემუშავებას. დაგეგმვა ტურიზმის კუთხით გულისხმობს საზოგადოებისათვის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღებას, ასევე მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის კუთხით გარკვეული პოლიტიკის შემუშავებას. [7]

გეგმები კლასიფიცირდებიან სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებად. გრძელვადიან გეგმაში იგულისხმება 15 წლამდე დროის პერიოდი, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს 10 დან 20 წლამდე პერიოდი. გრძელვადიანი გეგმების შემთხვევაში

პროექტის განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება ხდება პირველი 5 წლის შემდგომ პერიოდში. თუმცა შესაძლებელია მოიცავდეს უფრო მოკლევადიან პერიოდს 2 - დან 3 წლამდე. არსებობს რამდენიმე ძირითადი მიდგომა ტურიზმის დაგეგმვის თვალსაზრისით, ესენია: [45; გვ. 67]

უწყვეტი და მოქნილი მიდგომა - აღნიშნული ტიპის მიდგომა გულისხმობს იმას, რომ გეგმა უნდა იყოს ადაპტირებული და უნდა შეესაბამებოდეს ცვალებადი გარემოს პირობებს, ყოველგვარი ცვლილება, მოდიფიკაცია, გეგმაში უნდა მოხდეს კონკრეტული მიზნის და ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის შესაბამისად. როგორც წესი, მოკლევადიან პერსპექტივაში რეკომენდაციები არის უფრო მეტად სპეციფიკური ხასიათის, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში მას აქვს საერთო ხასიათი და ეყრდნობა დროის კონკრეტულ პერიოდში არსებულ სიტუაციას.

კომპლექსური მიდგომა - ტურიზმის განვითარების ყველა ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ დაგეგმვის პროცესში. არსებობს გარკვეული კომპონენტები ტურიზმის სისტემაში: ტურისტული ატრაქციები და აქტივობები, განთავსების საშუალებები, სხვა ტურისტული საჭიროებები და სერვისები, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა.

ინტეგრირებული მიდგომა - ტურიზმი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცალკე მდგომი სისტემა, იგი არის ერთიანი განვითარების პოლიტიკის ინტეგრირებული ნაწილი, როგორც ნაციონალური, ასევე რეგიონული თვალსაზრისით.

ტურიზმის განვითარება გარკვეულწილად სენსიტიურია გარემოს მიმართ, ამიტომ აუცილებელია ამ მიმართულებით სწორი პოლიტიკის ჩამოყალიებება რათა ნაკლები ზიანი მიადგეს გარემოს, ასევე მას აქვს გარკვეული გავლენა სოციო-კულტურული თვალსაზრისით. ტურიზმის მდგრადი განვითარება გულისხმობს აღნიშნული ფაქტორების მართვას, (გარემოს, ეკონომიკის, საზოგადოების). აღნიშნული მიდგომის მთავარი ამოცანაა რესურსების ოპტიმალური გამოყენება, როგორც ტურისტების მოთხოვნილების კუთხით, ასევე ადგილობრივი საზოგადოებისათვის სარგებლის მიღების თვალსაზრისით [47, გვ.43].

ტურიზმის სექტორი შედგება სხვადასხვა კომპონენტებისაგან, რომელთა სწორად დაგეგმვა და განვითარება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სექტორის წარმატებით ფუნქციონირებისათვის. ეს კომპონენტებია:

ტურისტული ბაზრები - ბაზრები შეიძლება იყოს საერთაშორისო, რეგიონული, ადგილობრივი. გარკვეული ტიპის ბაზრებს შეიძლება ქონდეს საერთო ინტერესები, არსებობს ბაზრები, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური ინტერესები მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

ტურისტული ატრაქციები და აქტივობები - ატრაქციები და აქტივობები არის მნიშვნელოვანი მოტივატორი მოგზაურობისათვის. ატრაქციები შეიძლება იყოს, პარკები, სანაპირო ზოლი, არქეოლოგიური და ისტორიული ადგილები, ტრადიციული არქიტექტურა, ეკონომიკური აქტივობა, ხელოვნურად შექმნილი თემატური პარკები, ფესტივალები, სპორტული ღონისძიებები და ა.შ. [53]

განთავსების საშუალებები - მნიშვნელოვანია სასტუმროები და სხვა ტიპის ღამის გასათევი ობიექტები ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის. განთავსების ობიექტები მოიცავს რესტორნებს, კაფეებს და სხვა საჭირო ობიექტებს. განთავსების ობიექტების გარეშე შეუძლებელია გრძელვადიანი ტურისტული პაკეტების შეთავაზება ტურისტებისათვის.

სხვა ტურისტული საჭიროებები და სერვისები - ტურისტული მომსახურება აუცილებელია იმისათვის, რომ სრულყოფილი სერვისი შევთავაზოთ მომხმარებლებს. მნიშვნელოვანია გიდით მომსახურების სერვისით, საინფორმაციო კუთხით ტურისტების ინფორმირება. სხვა საჭირო სერვისებში იგულისხმება: საფოსტო მომსახურება, სამედიცინო მომსახურება, საბანკო სერვისები. ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სისტემის ორგანიზება, ვინაიდან გრძელვადიან პერსპექტივაში ის შეიძლება იყოს გადამწყვეტი ფაქტორი ტურისტების მოზიდვის კუთხით [48, გვ.44-49].

ტრანსპორტი - მნიშვნელოვანია ადეკვატური სატრანსპორტო სისტემის შემუშავება. ტრანსპორტი შეიძლება იყოს საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო. სარტანსპორტო სისტემა მოიცავს გარკვეულ სერვისებს, რომელიც აუცილებელია ტურიზმის განვითარებისათვის, ასევე გასათვალისწინებელია ტურისტული ობიექტებისაკენ მიმავალი სატრასპორტო კვანძების მოწესრიგება.

სხვა ინფრასტრუქტურა - იგი მოიცავს ჰიგიენური ფაქტორების მაქსიმალურად დაცვას, წყლის მიწოდების სისტემის მოწესრიგებას, ელექტროენერგიის სტაბილურ და უსაფრთხო მიწოდებას, ასევე ნარჩენების გატანას და მათ დროულად უტილიზაციას.

ინსტიტუციური ელემენტები - ტურიზმის განვითარებისა და მართვისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული ინსტიტუციური ელემენტების გათვალისწინება. იგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებს როგორიცაა, განათლებას და პერსონალის მუდმივ ტრენინგს, რათა უფრო ეფექტიანად მოემსახურონ ტურისტებს, მარკეტინგს და სარეკლამო აქტივობებს ტურისტული დანიშნულების ობიექტების, ატრაქციების უკეთ წარმოჩენას, სტანდარტებს და გარკვეულ რეგულაციებს მიწის მართვის, ზონებად დაყოფის, გარემოს კონტროლის თვალსაზრისით, ფინანსურ მექანიზმებს ინვესტიციების წახალისების კუთხით. ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს როგორც სამთავრობო, ასევე კერძო ტურისტულ დაწესებულებებს [48, გვ.79].

ტურიზმის დაგეგმვის მთელი პროცესი წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

1. მიზნების განსაზღვრა;
2. კვლევის მომზადება;
3. მიმოხილვა და შეფასება;
4. პოლიტიკის და გეგმის შემუშავება;
5. რეკომენდაციები;
6. იმპლემენტაცია და მენეჯმენტი [40, გვ. 200-210].

1. მიზნების განსაზღვრა - სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ამოცანაა თუ რას მიიღებს რეგიონი ტურიზმის განვითარებით. მიზნები გარკვეულწილად მოიცავს ეკონომიკურ, გარემო, სოციო–კულტურულ ფაქტორებს, მთავარია აღნიშნულ ფაქტორებს შორის დაცულ იქნეს გარკვეული ბალანსი და გათვალისწინებულ იქნას ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია. მიზნების განსაზღვრა უნდა მოხდეს ადგილობრივ რეზიდენტებთან, მათ ლიდერებთან, სახელმწფიო ორგანოებთან შეთანხმებით და ე.წ. „სამოქალაქო ჩართულობის“ ფართო გამოყენებით.

2. კვლევის მომზადება - როდესაც მოხდება ტურისტული რესურსების მიმოხილვა (ტექნიკურ-ეკონომიკური) და შეფასება იქნება პოზიტიური, ტურისტული გეგმის შემუშავებაზე გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი ხელისუფლება. ასევე მნიშვნელოვანია პროექტისათვის შესაბამისი გუნდის შერჩევა. ღრმა ანალიზისათვის საჭიროა ინტერდისციპლინარული გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება დაგეგმვის, მარკეტინგის, ეკონომიკის, ფინანსური ანალიზის, გარემოს დაცვის სპეციალისტებისაგან.

3. მიმოხილვა და შეფასება - მიმოხილვა და შეფასება უნდა მოხდეს სხვადასხვა ელემენტების გათვალისწინებით, ეს ელემენტები მოიცავს:

- რეგიონის მახასიათებლებს, ეკონომიკური, სოციო-კულტურული, გარემოს, მიწის გამოყენების კუთხით. მიწის გამოყენების კუთხით გარკვეული ანალიზი რამდენად არის ხელმისაწვდომი განვითარებისათვის;.
- ტურისტული რესურსები, პოტენციური ტურისტული ატრაქციები და აქტივობები. ტურისტული რესურსების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ მათი ხელმისაწვდომობა, ასევე გარემო პირობების ხარისხი;
- ტურიზმის განვითარებისათვის, როგორც აღვნიშნეთ მნიშვნელოვანია განთავსების საშუალებები, სხვადასხვა სერვისები. აუცილებელია მსგავს ობიექტებში სერვისის ხარისხის შემოწმება, მათი შეფასება;
- არსებული და დაგეგმილი სატრანსპორტო საშუალებების, კვანძების ხელმისაწვდომობა, რომელიც მოიცავს, როგორც საჰაერო ასევე რკინიგზის და საზღვაო ტრანსპორტს;
- სხვადასხვა ტიპის არსებულ და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორიცაა, წყლის მიწოდება, ელექტრო-ენერგიით მომარაგება, ტელესაკომუნიკაციო სისტემები;
- ინსტიტუციური ელემენტები, ხელმისაწვდომობა კვალიფიციური სამუშაო ძალის, განათლება და სატრენინგო პროგრამები, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების ჩამოყალიბება, ტურიზმთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, გარკვეული კონტროლის დაწესება მიწის გამოყენებაზე, გარემოს დაცვაზე, ასევე შესაბამისი ჯანსაღი კლიმატის შექმნა ინვესტიციების მოსაზიდად [40, გვ.22-30].

მნიშვნელოვანია ტურისტული ბაზრების ანალიზი, ატრაქციებთან და სხვა ტურისტულ აქტივობებთან მიმართებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ტურისტებისათვის. ბაზრის ანალიზი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სხვადასხვა მაჩვენებლების იდენტიფიკაცია, როგორიცაა, ტურისტების რაოდენობა, ტიპები, ასევე მოვახდინოთ რეკომენდაციების შემუშავება, ტრანსპორტის, სერვისის დახვეწის, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის [80].

გარემოს მენეჯმენტის ანალიზის კუთხით მნიშვნელოვანი ტექნიკაა გამტარუნარიანობის (სიმძლავრის, დატვითვების) ანალიზი. აღნიშნული ტექნიკა არ არის ზუსტი ინსტრუმენტი, მაგრამ იგი გვაძლევს ძალიან საინტერესო ინფორმაციას, ოპტიმალური განვითარებისათვის, ტურისტული ატრაქციის დატვირთვის, საჭირო სერვისების შესახებ.

დაცული ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის განსაზღვრისთვის გამოიყენება შემდეგი კითხვარი. იხ. ცხრილი 1.6. ბევრ ქვეყანაში არსებობს სიმბიოზური კავშირი ტურიზმსა და დაცული ტერიტორიების შექმნას შორის. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს სულ უფრო მეტ ადამიანს სურს დასვენების დროს რაიმე განსხვავებული მოინახულოს. მათ სურთ მგზავრობა შესაბამის კომფორტულ გარემოში და ასევე სურთ ერთმანეთს შეუთავსონ თავგადასავლები და სასიამოვნო დასვენება [95]. შესაბამისად, ყველაზე უფრო წარმატებული ტურისტული პაკეტები აერთიანებს სხვადასხვა ინტერესებს: სპორტი და რეკრეაცია, ველური ბუნების მონახულება, ადგილობრივი წეს-ჩვეულებების გაცნობა, ისტორიული ადგილების მონახულება, შოპინგი, კვება და რასაკვირველია წყალთან დაკავშირებული აქტივობები. ზღვა, ტბები, მდინარეები, საცურაო აუზები და ჩანჩქერები ძალზედ იზიდავს ტურისტებს, განსაკუთრებით ადგილობრივებს.

მოცემული კითხვარი დაგვეხმარება დაცული ტერიტორიის ტურისტული პოტენციალის შეფასებაში: ცხრილი 1.6.[6]

დაცული ტერიტორია მდებარეობს: •ახლოს საერთაშორისო აეროპორტთან ან მსხვილ ტურისტულ ცენტრთან; •ზომიერად ახლოს; •მოშორებით.	ტერიტორიას აქვს: •პლაჟი ან ტბის სანაპირო; •მდინარე, ჩანჩქერი ან საცურაო აუზები; •წყალთან დაკავშირებული არანაირი რეკრეაციული ადგილი

[6] http://wto.org/

ადგილამდე მისვლა არის:

- ადვილი და კომფორტული;
- ჭირდება გარკვეული ძალისხმევა;

•რთული და სახიფათო.

ველური ბუნების ნახვა:

•გარანტირებულია;

•ჩვეულებრივია;

•შესაძლებელია მხოლოდ სეზონურად და გამართლების შემთხვევაში.

ადგილი გვთავაზობს:

- რამდენიმე განსხვავებულ ინტერესის სფეროს;
- ერთზე მეტ ინტერესის სფეროს;

•მხოლოდ ერთ ძირითად ინტერესის სფეროს;

ადგილი არის:

- უნიკალურია თავისი მიმზიდველობით;
- განსხვავებული;
- სხვების მსგავსი

მდებარეობს ეს ტერიტორია საკმაოდ ახლოს სხვა ტურისტულ ადგილებთან, რათა ის იყოს ტურისტული კომპლექსის ნაწილი?

•დიახ;

•საშუალო პოტენციალი;

•დაბალი ან არანაირი პოტენციალი.

ტერიტორია მის გარშემო არის:

•მშვენიერი;

•საშუალო მიმზიდველობის;

•უფრო მეტად ჩვეულებრივი.

რა სახის საკვებია ხელმისაწვდომი?

•მრავალფეროვანი და კარგად მომზადებული;

•ადეკვატური;

•საბაზისო;

საცხოვრებელი ადგილების სტნდარტი არის:

•სხვადასხვა და კომფორტული;

•ადეკვატური;

•პრიმიტიული.

წყარო: Managing Protected Areas in the Tropics, MacKinnon et al., IUCN, Gland, Switzerland.

განთავსების ადგილების საჭიროებების დაგეგმვა - განთავსების ადგილების საჭიროებების დაგეგმვის ფორმულა მარტივია, თუმცა იგი გამოყენებული უნდა იყოს თითოეული ტიპის ტურისტულ ბაზარზე და შესაბამისი ტიპის განთავსების ადგილებზე. მნიშვნელოვანია ყველაზე მოთხოვნადი სეზონის მიხედვით გაანგარიშება, რადგანაც ეს სეზონი განსაზღვავს მაქსიმალურ საჭიროებას.

გასათვალისწინებელია ტურისტების ის რაოდენობა, რომლებიც რჩებიან არაკომერციულ ადგილებში, მაგალითად მეგობრებთან ან ნათესავებთან, თუ ეს რიცხვი 5 პროცენტია, მაშის ეს რაოდენობა უნდა გამოაკლდეს ოთახებსა და საწოლებზე მოთხოვნის გაანგარიშებულ რაოდენობას. საჭირო განთავსების ადგილების რაოდენობა შეესაბამებოდეს მოთხოვნის რაოდენობას ყველაზე პოპულარულ სეზონზე, რათა შენარჩუნდეს მაღალი წლიური დატვირთვა. საუკეთესო სტრატეგიაა მოთხოვნაზე სეზონურობის ფაქტორის შემცირება [40, გვ.359-365]. ცხრილი 1.1.[7]

მატრიცის ნიმუში ალტერნატიული გეგმის შესაფასებლად

შეფასების ფაქტორი	შეფასების გრადაცია			
	ალტერნატივა 1	ალტერნატივა 2	ალტერნატივა 3	შენიშვნა
ასახავს განვითარების საერთო ეროვნულ / რეგიონალურ / ადგილობრივ პოლიტიკას				
ასახავს ეროვნულ / რეგიონულ / ადგილობრივ ტურიზმის პოლიტიკასა და				

Tourism Planning: An Integrated and Sustainable Development Approach, Edward Inskeep. New York: Van Nostrand Reinhold, 1991.p.52

ამოცანებს				
საერთო ეკონომიკური სარგებელის ოპტიმიზაცია მისაღები ხარჯით				
მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და შემოსავალს				
ადგილობრივ მეწარმეებს აძლევს ტურისტული საწარმოების დაარსების შესაძლებლობას				
ხელს უწყობს დეპრესიული ტერიტორიების განვითარებას				
ხელს უწყობს ტურისტული ატრაქციების, ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარებას, რომელთა გამოყენება				

ადგილობრივებსაც შეუძლიათ				
ხელს არ უშლის სხვა მნიშვნელოვან რესურსებს				
მინიმუმამდე ამცირებს ნეგატიურ სოციო–კულტურულ გავლენას				
ეხმარება არქეოლოგიური / ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას				
ეხმარება ტრადიციული ხელოვნებისა და რეწვის აღდგენას				
არ აზიანებს მიწათსარგებლობისა და განსახლების არსებულ მდგომარეობას				
მინიმუმამდე ამცირებს უარყოფით გავლენას გარემოზე				
აძლიერებს გარემოს კონსერვაციისა				

და პარკების განვითარების ღონისძიებებს				
მაქსიმალურად იყენებს არსებულ ინფრასტრუქტურას				
მაქსიმალურად მრავალმხრივ იყენებს ახალ ინფრასტრუქტურას				

შენიშვნა:

1. შეფასების ფაქტორთა ეს ჩამონათვალი წარმოადგენს მხოლოდ მაგალითს. რეალურად გამოყენებული შეფასების ფაქტორები დამოკიდებული იქნება დაგეგმვის სპეციფიკაზე. თუ გეგმაში დასახული მიზნები სრული და სპეციფიკურია, მაშინ ზოგჯერ მათი გამოყენება შესაძლებელია პირდაპირ როგორც ფაქტორების;

2. შეფასების რანჟირება შესაძლებელია სკალაზე ქულებით 1–დან 5–მდე, ან 1–დან 10–მდე. უფრო მნიშვნელოვან ფაქტორებს მიენიჭება უფრო დიდი რიცხვითი წონა. შენიშვნების სვეტი მნიშვნელოვანია განსაკუთრებული სიტუაციების ჩასანიშნად. მაგ.: გეგმიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად იზრდება დასაქმება, თუმცა შესაძლოა საჭირო გახდეს სამუშაო ძალის მიგრაცია სამუშაო ადგილების შესავსებად.

4. პოლიტიკა და გეგმის ფორმულირება. მიზნებზე, კვლევაზე, ანალიზსა და სინთეზზე დაყრდნობით ხდება ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ფორმირება და ტურიზმის გეგმის მომზადება. ტურიზმის პოლიტიკა მოიცავს ტურიზმის განვითარების მასშტაბებს, ტიპს და განიხილავს ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციო–კულტურულ ასპექტებს. ადგილობრივ დონეზე დაგეგმვისას, გეგმა შეიძლება შეიცავდეს პირველად და მეორად ტურისტულ ატრაქციებს, ტურიზმის განვითარების ადგილებს. ან გეგმა შეიძლება იყოს ურბანული ტურიზმის სტრუქტურული გეგმა,

საკურორტო მიწათსარგებლობის გეგმა. ჩვეულებრივ ხდება ალტერნატიული გეგმების შემუშავება და შეფასება, რათა მოხდეს საბოლოო გეგმის შერჩევა, რომელიც მოიტანს ოპტიმალურ შემოსავალს და შეამცირებს ხარჯებს [43, გვ.53-57].

ცხრილი 1.1. - ზე მოცემულია მატრიცის ნიმუში ალტერნატიული გეგმების შესაფასებლად. ზოგჯერ საბოლოო გეგმის განსაზღვრისათვის ხდება ალტერნატიული გეგმების სხვადასხვა ნაწილების კომბინირება. ალტერნატიული გეგმების შეფასებისას ძირითადი ყურადღება მიმართულია გარემოსა და სოციო–კულტურულ შედეგებზე.

5. რეკომენდაციები გეგმის შესახებ - რეკომენდაციები შემუშავებულია ტურისტული ატრაქციების, არსებული ტურისტული სერვისების, ინსტიტუციური და სხვა ელემენტების გაუმჯობესების საჭიროებებიდან გამომდინარე. შემოთავაზებულია რეკომენდაციები დიზაინისა და განვითარების სტანდარტებთან დაკავშირებით. გაანალიზებულია გავლენა გარემოზე, სოციო–კულტურული შედეგებზე და შემოთავაზებულია დაცვის მექანიზმები. გაანალიზებულია ტურიზმის ეკონომიკური შედეგები და შემოთავაზებულია ეკონომიკური სარგებლის ზრდის გზები.

6. შესრულება და მენეჯმენტი - გეგმები ნაკლებადაა ღირებული, თუ მათი განხორციელების შესაძლებლობა არ არსებობს. განხორციელების ტექნიკა განხილული უნდა იქნეს დაგეგმვის პროცესში და გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს განხორციელების სპეციალური ტექნიკა. აღნიშნული ტექნიკა მოიცავს განვითარების დაპროგრამებას, ტურისტული ობიექტების სტანდარტების გათვალისწინებას, ფინანსურ მექანიზმებს და სხვა საშუალებებს. ტურისტული სექტორის წარმატებული მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სექტორის გრძელვადიანი ეფექტიანი მენეჯმენტი [82].

დაგეგმვის პროცესის უპირველესი ელემენტია საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა დაგეგმვის მნიშვნელოვან ეტაპებზე, ასევე ტურიზმის განვითარების განხორციელება და მართვა. საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა და ინტერესები გაანალიზებული და გათვალისწინებული იყოს მიზნების, პოლიტიკისა და რეკომენდაციების შემუშავებისას. [44; გვ. 54]

კონკრეტული ტურისტული პროექტის დაგეგმვისას, ზოგადი მიდგომაა ჩამოყალიბდეს პროექტის საორგანიზაციო კომიტეტი. ეს კომიტეტი, როგორც წესი, შედგება სამთავრობო უწყებების, კერძო ტურისტული სექტორის და საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. კომიტეტში შესაძლოა ასევე ჩართულნი იყვნენ რელიგიური ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს ჯგუფი თვალყურს ადევნებს დაგეგმვის ჯგუფის საქმიანობას და განიხილავს გუნდის დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

მნიშვნელოვანია, ასევე, დაგეგმვის პროცესის შესახებ ანგარიშების საჯარო განხილვა, რათა საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლოთ საკუთარი აზრისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. ეს ასევე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს მათ ტერიტორიაზე მიმდინარე გეგმებზე.

სპეციფიკური პროექტების ეფექტიანი განვითარება, როგორიცაა, სასტუმრო, კურორტები და ატრაქციონები, დამოკიდებულია სხვადასხვა ასპექტებზე. აღნიშნული პროცესების სწორად ორგანიზება მოითხოვს თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმას. [45; გვ. 90]

ნაბიჯი 1. პროექტის იდენტიფიცირება - პროექტის იდენტიფიკაცია ხდება, რეგიონის ტურიზმის განვითარების ერთიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში. პროექტის იდენტიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს დამოუკიდებლად, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ თითოეული ნაბიჯი უნდა გადაიდგას ტურიზმის განვითარების ერთიანი გეგმის ფარგლებში.

ნაბიჯი 2. პროექტის სკრინინგი - აღნიშნული ეტაპი მოიცავს პროექტის კონცეპტუალურ ანალიზს და განსაზღვრავს მის მიზნობრიობას. თუ პროექტი არ აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს, მაშინ შესაძლებელია ამ ეტაპზე მოხდეს მის განხორციელებაზე უარის თქმა.

ნაბიჯი 3. პროექტის დაგეგმვა და ტექნიკური-ეკონომიკური ანალიზი - ამ ეტაპზე ხდება პროექტის დიზაინის, ფინანსური, ეკონომიკური ანალიზი, ასევე სოციალური და გარემოს ზემოქმედების კუთხით მისი შეფასება. თუ პროექტი უარყოფით გავლენას ახდენს გარემოს ან სოციალური თვალსაზრისით, მაშინ უნდა მოხდეს მისი შეჩერება, ასევე ამ ეტაპზე შესაძლებელია მისი მოდიფიცირება.

ნაბიჯი 4. პროექტის ორგანიზება - მნიშვნელოვანია სწორი ორგანიზაციული მიდგომა პროექტის წარმატებულად განხორციელებისათვის. არსებული

ორგანიზაციული სტრუქტურა, ასევე სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების ჩართულობა და მათი როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი.

ნაბიჯი 5. პროექტის დაფინანსება - ფინანსების მოძიება არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტი. ამისათვის საჭიროა პროექტის სწორად წარდგენა, ინვესტიციების მოზიდვა.

ნაბიჯი 6. პროექტის იმპლემენტაცია - პროექტის რეალური განვითარებისათვის აუცილებელია ადამიანური რესურსების სწორად დაგეგმვა, რეკრუტინგი.

ნაბიჯი 7. პროექტის მართვა - პროექტის მართვა არის დროში უწყვეტი პროცესი რომელიც მოიცავს აქტივობებს, როგორც ტურისტულ ბაზრებზე, ასევე არსებული ობიექტების, სერვისების დახვეწაზე მუდმივ ზრუნვას. პროექტის შემუშავების და მართვის პროცესში მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან მუდმივი კონტაქტი და კოორდინაცია. ეს ყველაფერი აუცილებელია იმისათვის, რომ ადგილობრივმა რეზიდენტებმა ზუსტად გაიგონ პროექტის კონცეფცია და განვითარების პროგრამა. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ადგილობრივ რეზიდენტებს აქვთ შესაძლებლობა - პროექტიდან მიიღონ გარკვეული სარგებელი.

დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს შემდეგი ასპექტები: 1. ტურისტული პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასება; 2. ტურისტული სტანდარტების განვითარება და დიზაინი; 3. ადგილმდებარეობის დაგეგმვა; 4. სტანდარტების შემუშავება; 5. არქიტექტურული დიზაინი; 6. ლანდშაფტის დიზაინი; 7. საინჟინრო დიზაინი; 8. შენობა ნაგებობების საინჟინრო დიზაინი; 9. ხარისხობრივი სტანდარტები [50, გვ. 61-70].

1. ტურისტული პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასება - პროექტის დაგეგმვის პროცესში აუცილებელია გარემოს დაცვის კუთხით გარკვეული ასპექტების გათვალისწინება, რათა სამომავლოდ ავიცილოთ პრობლემები ეკოლოგიური, გარემოზე ზემოქმედების კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული პროექტისათვის მოხდეს მისი გარემოზე ზემოქმედების შეფასება. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება ასევე მოიცავს სოციო-კულტურულ და ეკონომიკური გავლენის შეფასებას, ეს აუცილებელია გარკვეული ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად. თუ შევნიშნავთ პროექტის განხორციელების პროცესში ნეგატიურ ნიშნებს, საჭიროა მისი რედიზაინი. მიუხედავად იმისა, რომ

პროექტს შესაძლებელია მოჰქონდეს სოლიდური ეკონომიკური სარგებელი, ზემოთ აღნიშნული ნეგატიური ფაქტორების მნიშვნელოვანი გავლენის შემთხვევაში აუცილებელია მისი კორექტირება.

თანამედროვე პირობებში, სახელმწიფოებს შემუშავებული აქვთ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას. თუ არ არსებობს მსგავსი კანონმდებლობა რეგიონში, აუცილებელია მისი შემუშავება, რომელიც იქნება შესაბამისობაში რეგიონის მოთხოვნებთან [42, გვ. 37].

2. ტურისტული სტანდარტების განვითარება და დიზაინი - მნიშვნელოვანი ასპექტი ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარებისათვის არის ტურისტული დაწესებულებების უზრუნველყოფა გარკვეული სტანდარტებით და ნორმებით. აღნიშნული სტანდარტები და პრინციპები აუცილებელია, როგორც მომხმარებლების მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების, ასევე ადგილობრივი რეზიდენტების ხასიათის, ინტერესების გათვალისწინების კუთხით.

სტანდარტების შემუშავება, დიზაინი, განვითარება, საჭიროა ტურისტული დაწესებულებების განვითარებისათვის. დაგეგმვის აღნიშნულ დონეზე მნიშვნელოვანია არქიტექტორების, ლანდშაფტის დიზაინერების, ინჟინრების მაქსიმალური ჩართულობა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, უნდა მიიღოს მონაწილეობა სტანდარტების შემუშავებაში და მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყოს სტანტარტების შესრულებაზე გარკვეული კონტროლი. სტანდარტების შემუშავების და დიზაინის პროცესში ხდება ადგილობრი ხელისუფლების მიერ შემუშავებული ზონირების და არქიტექტურული პრინციპების დაცვა. სხვადასხვა ქვეყანაში სტანდარტები შემუშავებულია ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების მიერ. [42; გვ. 97]

3. ადგილმდებარეობის დაგეგმვა - მიუთითებს შენობა-ნაგებობების ზუსტ ადგილმდებარეობას, დაცულ ზონებს, იგი ასევე მოიცავს: როგორ დავიცვათ თავი გარემოს, ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. განსაკუთრებით საშიში სიტუაციები შეიძლება შეიქმნას არამყარი ნიადაგის პირობებში მშენებლობისას, ასევე ზღვის სანაპიროებზე არსებობს საფრთხე მაღალი ტალღების, სანაპირო ეროზიის. ადგილებს, რომელთაც აქვთ მიდრეკილება მაღალი სიჩქარის ქარების, სეისმურად აქტიური ზონის, ტურისტული განვითარებისათვის შესაძლებელია გახდეს სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი. საჭიროა შესაბამისი

კომუნიკაციები შენობა-ნაგებობებს შორის, ლანდშაფტის, რეკრეაციული ზონების გათვალისწინებით.

4. სტანდარტების შემუშავება - სტანდარტის ტიპები, რომელიც გამოიყენება მთელ მსოფლიოში ტურისტებისათვის და სხვა საჭიროებებისათვის მდგომარეობს შემდეგში:

სხვადასხვა დაწესებულებების განვითარების სიმჭიდროვე. მაგალითად, სასტუმროებისათვის სიმჭიდროვე განისაზღვრება ერთ აკრზე ან ჰექტარზე ოთახების რაოდენობით. ნაკლები სიმჭიდროვე მიუთითებს კოტეჯების და ერთსართულიანი ნაგებობის მეტ რაოდენობას. დაბალიდან საშუალო სიმჭიდროვის მაჩვენებელი მოითხოვს ორსართულიანი ნაგებობების მეტ რაოდენობას ლანდშაფტზე. საშუალოდან მაღლისკენ მიუთითებს მაღალი შენობა ნაგებობებს გარკვეული ლიმიტირებული რაოდენობით. მაგალითად, ეკოტურიზმის განვითარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები ხასიათდება დაბალი სიმჭიდროვით. მასშტაბით ნაკლები ზომის დასასვენებელ ობიექტებს გააჩნიათ ნაკლები სიმჭიდროვე. შედარებით დიდი ზომის დასასვენებელ ადგილებს შედარებით უფრო მეტი სიმჭიდროვე, თუმცა ამ ადგილებში გათვალისწინებულია ლანდშაფტის დაგეგმარების კუთხით რეკრეაციული ადგილები, პარკები და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია შენობა-ნაგებობების სიმაღლეზე კონტროლი, რომელიც უნდა იყოს ადაპტირებული ადგილობრივი გარემოს მახასიათებლებთან. გარკვეულ ადგილებში ლიმიტირებულია ნაგებობების სიმაღლე, მაგალითად ის შეიძლება იყოს 4 სართული (15 მეტრი).

ადეკვატური სამშენებლო საზღვრების დაცვა, მთავარი მაგისტრალების, სანაპირო ზოლის გამწვანება, ღია სივრცეების შენარჩუნება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარებისათვის. უნდა მოხდეს შენარჩუნება სანაპირო ზოლის, უზრუნველყოფა სივრცეებით, რომელიც აუცილებელია რეკრეაციისათვის და დასვენებისათვის. [45; გვ. 77]

აუცილებელია პარკირებისათვის შესაბამისი სივრცის სწორად დაგეგმარება, სადაც უნდა გავითვალისწინოთ, როგორც დაქირავებულების, ასევე სტუმრების მოსალოდნელი რაოდენობა. პარკირების ადგილი ასევე უნდა მოიცავდეს გარკვეულ სივრცეს ავტობუსის გაჩერებისათვის. გასათვალისწინებელია საზოგადოებრივად

ხელმისაწვდომობა სანაპირო ზოლის და სხვა ობიექტების. ხელმისაწვდომობასთან ერთად დაცული უნდა იყოს გარკვეული უსაფრთხოების ნორმები.

5. არქიტექტურული დიზაინი - არქიტექტურული დიზაინი, სტანდარტები მაქსიმალურად უნდა იყოს შესაბამისობაში გარემოსთან, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია არქიტექტურაში კრეატიული მიდგომები, მაგრამ უნდა აღინიშნოს გარკვეული ფუნდამენტური პრინციპები:

ადგილობრივი ტრადიციული, ისტორიული სტილის დაცვა არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან შენობა-ნაგებობები ისტორიული სტილისტიკით ტურისტებზე ახდენს ძალიან დიდ შთაბეჭდილებას. შენობების ზედა ნაწილი (სახურავი) არის დიზაინის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ელემენტი, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო სიმაღლის შენობებისათვის. ადგილობრივი სამშენებლო მასალების გამოყენება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არქიტექტურული თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკური სარგებელის მიღების კუთხით -ადგილობრივი მწარმოებლებისათვის.

ტურისტული ობიექტების დიზაინის დაგეგმვის დროს უნდა გავითვალისწინოთ შესაბამისი ინფრსატრუქტურა და სპეციალური საშუალებები, რომლებიც აუცილებელია უნარშეზღუდული ტურისტებისა და თანამშრომლებისათვის. უნარშეზღუდული, ნახევრად-უნარშეზღუდული ადამიანები მოგზაურობენ, იყენებენ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებს, სადაც მათთვის გათვალისწინებულია შესაბამისი კონსტრუქციული ელემენტები. ასევე სასტუმროებში გარკვეული ნომრები უნდა იყოს გათვალისწინებული ინვალიდის ეტლით მოსარგებლე ადამიანებისათვის [51, გვ.37-40].

6. ლანდშაფტის დიზაინი - ლანდშაფტის სწორად დაგეგმვა ასევე გვეხმარება, რომ მაქსიმალურად გადმოვცეთ ხასიათი, რომელიც ნიშანდობლივია ადგილობრივ გარემო პირობებისათვის, ასევე შევქმნათ მიმზიდველი პირობები დასვენებისათვის. დასასვენებელ ადგილებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამწვანებითი სამუშაოების ჩატარება. ლანდშაფტის დიზაინი ასევე მოიცავს საფეხმავლო ბილიკების დაგეგმვას, ფანტანების მოწყობას, ქუჩისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას, მაგალითად, განათების სისტემის ორგანიზებას. იგი ასევე გვაძლევს მნიშვნელოვან ფუნქციონალურ უპირატესობებს: მზიანი ადგილების მოჩრდილვა; წვიმისა და ქარისგან თავდაცვა; ხმაურის ჩახშობა; რეგიონში

არსებული მცენარეების ტურისტებისათვის წარდგენა; საფეხმავლო ბილიკების სწორად დაგეგმვა; გამწვანებითი სამუშაოები ხელს უწყობს ჟანგბადის გამოყოფას, რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს გარემოზე.

7. საინჟინრო დიზაინი - ინფრასტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ნორმებს, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, ჰიგიენურ და სანიტარულ ნორმებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უტილიზაცია და გასუფთავება იმ ნარჩენების, რომელმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას გარემოს. გზები, სატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ უსაფრთხოების სტანდარტებს.

8. შენობა-ნაგებობების საინჟინრო დიზაინი - უნდა შემუშავდეს შენობა ნაგებობებისათვის მინიმალური უსაფრთხოების სტანდარტები, როგორიცაა, სახანძრო გასასვლელების მოწყობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშენებლობის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ ადგილობრივი კლიმატური პირობები, ქარი, სეისმური აქტივობები და ა.შ. თუ ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს შემუშავებული მსგავსი სტანდარტები, მაშინ არსებობს საერთაშორისო, მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული წყლის ხარისხის სტანდარტი.

არქიტექტურა და ინჟინერული დიზაინი უნდა იყოს მაქსიმალურად ლოიალური გარემო პირობების მიმართ და უნდა იყენებდეს თანამედროვე ტექნოლოგიებს. აქ იგულისხმება მზის ენერგიის მაქსიმალურად გამოყენება, ბუნებრივი ვენტილაციის სისტემის შექმნა, დაბალი ენერგო დანახარჯების ნათურების გამოყენება და სხვა. ზონებში, სადაც ეკოტურიზმია განვითარებული, ხდება მზის, ქარის ენერგიის გამოყენება. ამ მიმართულებით ტურისტებისათვის ინფორმაციის მიწოდება, რესურსების კონსერვაციაზე ხაზგასმა არის ძალიან მნიშვნელოვანი [51, გვ.60].

9. ხარისხობრივი სტანდარტები - თანამედროვე პირობებში ტურისტულ ობიექტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხობრივი სტანდარტების დაცვას სხვადასხვა მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის გაუმჯობესებისათვის არ არის აუცილებელი ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა. ხარისხის გაუმჯობესება, უპირველეს ყოვლისა, იწვევს ტურისტების მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას. თანამედროვე ტურისტი გახდა უფრო მეტად კვალიფიციური,

შესაბამისად დასვენების ობიექტმა არ უნდა გამოიწვიოს მათი იმედების გაცრუება. ხარისხობრივი მახასიათებლები უნდა განვიხილოთ, როგორც კომფორტის, ასევე მომსახურების კუთხით, მომსახურებისათვის უფრო რთულია სტანდარტების დაცვა, ვიდრე ფიზიკური ობიექტებისათვის.

ტურისტული საჭიროებებისათვის სტანდარტების შემუშავება ხდება, როგორც ნაციონალურ, ასევე რეგიონულ დონეზე, იგი მაქსიმალურად უნდა იყოს ადაპტირებული საზოგადოებასთან. როგორც წესი, საზოგადოება მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული სტანდარტების შემუშავებაში და მათ კონტროლში.

მინიმალური სტანდარტები სასტუმროების და სხვა ტიპის დაწესებულებებისათვის მოიცავს სანიტარული, ჯანდაცვის, უსაფრთხოების ნორმების დაცვას. მინიმალური მოთხოვნები, როგორც წესი, შემუშავდება სასტუმროს ინსპექტირების და ლიცენზიის პროცედურების პროცესში. გამოიყენება კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც გვაძლევს ხარისხობრივი მაჩვენებლების დიფერენცირების საშუალებას. მაგალითად, სასტუმროს კლასიფიკაციის სისტემაში გამოიყენება 5 ვარსკვლავის პრინციპი, არსებობს ასევე სხვა სისტემებიც. აღნიშნული სისტემა ტურ-აგენტებს, ტურ-ოპერატორებს, ტურისტებს აძლევს საშუალებას გააკეთონ არჩევანი იმ დაწესებულებებზე, რომლებიც არის მათთვის მისაღები, შესაბამისი ინფრასტრუქტურის და სერვისის გათვალისწინებით. არსებობს გარკვეული კორელაცია ნომრების ტარიფებსა და ზემოთ აღნიშნულ ვარსკვლავურ სისტემას შორის. [49; გვ. 87]

სასტუმროების კლასიფიკაციის სისტემა ასევე აძლევს საშუალებას ინვესტორებს ბაზარზე აირჩიონ შესაბამისი სეგმენტები და თუ ვერ აკმაყოფილებენ კონკრეტული სეგმენტის მოთხოვნებს, მოახდინონ ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება.

რესტორნებმა და კვების ობიექტებმა ასევე უნდა დაიცვას უსაფრთხოების, ჯანდაცვის, სანიტარული ნორმები. ზოგიერთ ქვეყანაში რესტორნების კლასიფიკაცია ხდება გარკვეული რეიტინგული სისტემით.

ტურ-ოპერატორები და ტურისტული სააგენტოები უნდა აკმაყოფილებდნენ მინიმალურ სტანდარტებს, რომელშიც იგულისხმება ლიცენზიიდან გამომდინარე ფინანსური პასუხისმგებლობა და ასევე მაღალი კვალიფიკაციის პერსონალი. ასევე გიდებიც უნდა იყოს ლიცენზიის შესაბამისად გადამზადებული. ტურ-სააგენტოების

ხარისხობრივი სტანდარტი მოიცავს მის განკარგულებაში არსებული ავტობუსების და სხვა ტექნიკის უსაფრთხოების ნორმების დაცვას, მაღალი კვალიფიკაციის მძღოლების დაქირავებას. აღნიშნული სტანდარტი ასევე ეხება ავტომობილების გაქირავების სააგენტოებს. [54; გვ. 58]

ამრიგად, მსოფლიო ტურიზმის განვითარების შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ლიკალურ (რეგიონულ) დონეებზე ტურიზმის ისეთი სახეების განვითარებას, როგორიცაა ეკოლოგიური, სათავგადასავლო, ექსტრემალური, კულტურულ-შემეცნებითი, რელიგიური ტურიზმი და სხვა.

თავი II. ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში

2.1. ტურიზმის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე და შეფასება

ტურიზმმა, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთმა მზარდმა სექტორმა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, როგორც მსოფლიო, ასევე რეგიონულ ეკონომიკაზე. ტურისტული ბიზნესი ეფუძნება ტერიტორიის, სხვადასხვა ინდუსტრიების მიერ წარმოებული პროდუქტის ინტეგრირებულ გამოყენებას, რომელიც აუცილებელია მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად [78].

გლობალურ ტურისტულ ინდუსტრიაში იქმნება მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტი, რომელთა თავისებურებები ეფუძნება კონკრეტული რეგიონის სპეციფიკას, საქონელსა და მომსახურებას, რომელიც საბოლოო ანგარიშით უნდა მიეწოდოს მომხმარებელს. კონკრეტული რეგიონის ფარგლებში შესაძლებელია შეიქმნას ტურისტული პროდუქტის საკმაოდ ფართო ასორტიმენტი, რომელიც ორიენტირებული იქნება შესაბამის მიზნობრივ აუდიტორიაზე. ტურიზმის გარკვეული მიმართულებები მოითხოვს მაღალი დონის ინფრასტრუქტურას, ასევე შესაბამის მომსახურებას, თუმცა არსებობს მიმართულებები, სადაც შესაძლებელია გარკვეული მომსახურების გაწევა მათი არარსებობისას. როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში ტურიზმი განიხილება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სფერო, რომელსაც შეუძლია სტიმული მისცეს როგორც ცალკეული რეგიონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკას. [64; გვ. 47]

ტურიზმს გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენები, რომლებიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, საგადასახადო შემოსავლების ზრდას, მომიჯნავე სექტორების განვითარებას და ა.შ. მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი წარმოიქმნება, როდესაც ხდება ვიზიტორების მიერ ფულადი თანხების ხარჯვა სხვა საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც გავლენას ახდენს რეგიონზე, ქალაქზე, სოფელზე, კონკრეტულ დანიშნულების ადგილზე [63, გვ.120-125].

რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მიმოხლივა, ანალიზი, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა კონკრეტული რეგიონის გლობალურ ბაზართან

ინტეგრირების, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით. ნებისმიერ რეგიონს გააჩნია გარკვეული პოტენციალი რესურსების თვალსაზრისით. საწყის ეტაპზე საჭიროა აღნიშნული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის კონკრეტული ვარიანტებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა. სტრატეგიული მართვის პრინციპებიდან გამომდინარე საჭიროა აღნიშნული პრიორიტეტების სწორად ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის გლობალური მიწოდების ჯაჭვში ჩართვას, ასევე კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას [79].

მმართველობითი გადაწყვეტილებების აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც მართვის ობიექტმა (ჩვენს შემთხვევაში რეგიონმა, სექტორმა) უნდა შეიძინოს ახალი სასურველი თვისებები. გლობალური ეკონომიკის პირობებში, უნდა მოხდეს კონკრეტული კონკურენტული სტრატეგიების შემუშავება, მართვის ობიექტის სასურველ კონდიციაზე გადაყვანა, მინიმალური დანახარჯების პირობებში, რითაც ახალი ხარისხობრივი მახასიათებლების შეძენით რეგიონის სისტემა, სხვა სისტემებთან შედარებით მოიპოვებს კონკურენტულ უპირატესობას.

ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, რეგიონზე საკმაოდ მრავალფეროვანი და ფრაგმენტულია. ტურიზმის განვითარება სტიმულს აძლევს და ხელს უწყობს მოთხოვნის ზრდას სხვადასხვა საქონელსა და მოსახურებაზე, ვინაიდან რეგიონში ჩამოსულ ტურისტებს აქვთ მრავალფეროვანი მოთხოვნები და საჭიროა მათი დაკმაყოფილება. აღნიშნული მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს სხვადასხვა მწარმოებლების მიერ შექმნილი პროდუქციით. საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდის შედეგად იქმნება წარმოების გაფართოების წინაპირობა. აღნიშნულში იგულისხმება საქონელი და მომსახურება, რომელიც მოიხმარება როგორც უცხოელი ვიზიტორების, ასევე ადგილობრივი რეზიდენტების მიერ. [63, გვ. 80-81]

ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტია უცხოური ვალუტის მოზიდვა ქვეყანაში. უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყანაში ხდება არა მხოლოდ ტურისტული მომსახურების შეძენისას, არამედ ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან, რომელიც აუცილებელია ყოველდღიური საჭიროებებიდან

გამომდინარე. ეკონომიკაზე ტურიზმის ინდუსტრიის გავლენა შესაძლებელია იყოს, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი (იხ. სქემა 2.1) [13, გვ.16].

სქემა 2.1.



მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს მონაცემების მიხედვით, მოგზაურობისა და ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუცია საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტში 2000 წლიდან 2015 წლამდე დინამიკაში ხასიათდება ზრდის ტენდენციით, ამ მაჩვენებლის მიხედვით უმაღლესი ნიშნული ფიქსირდება 2011-2012 წლებში, 2015 წლის მონაცემებით შეადგინა 1,888 მილიონი ლარი. (იხ. დიაგრამა 2.1) [89].



[8]პირდაპირი ეფექტის გაგება შედარებით ადვილია, ვინაიდან იგი წარმოადგენს უცხოელი ვიზიტორების მიერ გაწეული ფულადი დანახარჯების შედეგს, რომელსაც იღებენ ეკონომიკური სუბიექტები, მოსახლეობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უშუალოდ ტურისტებისგან. აქ ასევე იგულისხმება ტურისტული კომპანიების მოგება, რომელიც შესაძლოა მიმართულ იქნეს ახალ საინვესტიციო პროექტებზე, ან წარმოების გაფართოებაზე. გარდა ამისა, ტურიზმის პირდაპირი გავლენა აისახება რეგიონულ და ცენტრალურ ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების გენერირების თვალსაზრისით.

საინტერესოა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომელიც, მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ზომავს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ტურიზმის ინდუსტრიის მდგრად განვითარებაზე, რაც თავის მხრივ აისახება ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე. კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლა ხდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ბიზნეს გარემო (12 ინდიკატორი), უსაფრთხოება (5 ინდიკატორი), ჯანდაცვა და ჰიგიენა (6 ინდიკატორი), ადამიანური რესურსები და შრომის ბაზარი (9 ინდიკატორი), მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობა (6 ინდიკატორი), საერთაშორისო გამჭვირვალობა, ღიაობა (3

[8] www.wttc.org

ინდიკატორი), საფასო კონკურენტუნარიანობა (4 ინდიკატორი), გარემოს მდგრადობა (10 ინდიკატორი), საჰაერო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (6 ინდიკატორი), სახმელეთო და საპორტო ინფრასტრუქტურა (7 ინდიკატორი), ტურისტული სერვისების ინფრასტუქტურა (4 ინდიკატორი), ბუნებრივი რესურსები (5 ინდიკატორი), კულტურული სერვისები და ბიზნეს მოგზაურობა (5 ინდიკატორი) [41, გვ.5].

2015 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემების მიხედვით საქართველო 141 ქვეყანას შორის 71-ე პოზიციაზეა. მათ შორის, ხელმისაწვდომი გარემო - 43-ე, მოგზაურობისა და ტურიზმის პოლიტიკა და ხელმისაწვდომი გარემო - 44, ინფრასტრუქტურა - 72, ბუნებრივი და კულტურული რესურსები - 120. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსწრებს როგორც სომხეთს ასევე აზერბაიჯანს [41].

საქართველოში ასევე ზრდის დინამიკა შეინიშნება საერთაშორისო ჩამოსვლების თვალსაზრისით, რაც უკანასკნელი ათწლეულის მნიშვნელოვანი ტენდენციაა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2013 წლის იანვარ - დეკემბრის ინტერვალში დაფიქსირდა 5 365 356 ვიზიტი, რაც წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს 21,2%-ით აღემატება. დეკემბრის ოფიციალური მონაცემების მიხედვით დაფიქსირდა 391 724 ვიზიტორი, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელს 5%-ით აღემატება. ხოლო 2014-2015 წლის მონაცემებით ზრდა 6,9%-ია. პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია: 1. 24 საათი და მეტი 2 278 562 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38%, მატება 2014 წელთან შედარებით 2,2%). 2. ტრანზიტი - 1 400 835 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 23,8%, მატება 25.7%), ერთდღიანი ვიზიტი - 2 218 288 (საერთო რაოდენობის 37%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2. 1%) [35, გვ. 5].

2015 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით ლიდერობს სომხეთი (ზრდა+11%), აზერბაიჯანი (ზრდა+9%), თურქეთი (ზრდა -4%), რუსეთი (ზრდა+4%). პოზიტიური ტენდენციაა ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, ტრადიციულად

გამოირჩევა პოლონეთი, ჩეხეთი, ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია და იტალია. (იხილეთ დიაგრამ 2.2.)[9].

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის 2014 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტში, მთლიანმა კონტრიბუციამ შეადგინა 5,867 მილიონი ლარი, ამ მხრივ მხოლოდ 2005 წელს აღინიშნებოდა მცირედი ვარდნა, მაგრამ ზოგადად 2000 წლის შემდეგ მუდმივ ზრდას განიცდის. (იხ დიაგრამა 2.3)[10]



[9] www. gnta.ge
[10] www.wttc.org

რაც შეეხება ტურიზმის წილს მთლიან გამოშვებაში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2013 წლის მონაცემების მიხედვით შეადგინა 6.5%, ამ მაჩვენებლის მიხედვით თითქმის გაუტოლდა 2007 წელს დაფიქსირებულ ნიშნულს. აღნიშნული ინდიკატორი 2014 წლის მონაცემების მიხედვით შეადგენს 7-%.[11]



დიაგრამა 2.4. მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში (მლნ ლარი), ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში

ტურიზმის მთლიან გამოშვებაში პროდუქციის სტრუქტურა გარკვეულწილად იცვლება, თუ 2008 წლამდე დომინირებდა სატრანსპორტო მომსახურება, ახლა დომინანტურია რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება და მზა საკვების მიწოდება, ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს ტურისტული აგენტების საქმიანობას. 2014 წლის მონაცემებით ტურისტული აგენტების საქმიანობის წილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა. (იხ. დიაგრამა 2.5).

[11] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015

დიაგრამა 2.5. ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიანი გამოშვება (მლნ ლარი)



ტრანსპორტი - ტურისტული მომსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია. ტურიზმის განვითარებისას სატრანსპორტო სექტორისადმი მოთხოვნა განსაკუთრებით იზრდება, რასაც მოწმობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში საერთაშორისო ვიზიტორების ზრდის დინამიკა. თუ გადავხედავთ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების პროცენტულ მაჩვენებლებს, დომინირებს შორ და საშუალო დისტანციაზე საჰაერო ტრანსპორტი 52%-ით. მას მოსდევს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები 40%-ით, გავრცელებული ფორმაა კერძო ავტომობილით გადაადგილება, როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. რაც შეეხება სარკინიგზო ტრანსპორტს, მისი წილი 2%-ით განისაზღვრა, რაც დაბალი მაჩვენებელია წარსულ პერიოდთან შედარებით, თუმცა მას შეუძლია საკუთარი წილის გაზრდა ჩქაროსნული ხაზების განვითარებით. [76; გვ. 87]

საქართველოში ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიან გამოშვებაში მნიშვნელოვანი წილითაა წარმოდგენილი სახმელეთო, საზღვაო და კაბოტაჟური წყლის, სარკინიგზო ტრანსპორტი. სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტის წილმა მთლიან გამოშვებაში 2012 წელს

შეადგინა 827 მილიონი ლარი. 2006- დან 2012 წლამდე ფიქსირდება ზრდის ტენდენცია. რაც შეეხება სარკინიგზო ტრანსპორტს, 2012 წელს ტურიზმის სფეროებში პროდუქციის მთლიან გამოშვებაში, შეადგინა 122 მილიონი ლარი. საქართველოში სტატისტიკური კვლევებით და ექსპერტული შეფასებებით ლიდერი პოზიციები აქვს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებს, მას მოსდევს საჰაერო, რკინიგზის და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებები[12].

განთავსების საშუალებები - განთავსების ობიექტები განიხილება, როგორც ტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება, მომსახურების სათანადო სტანდარტების დაწესება - ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ თვალსაზრისით, ტურისტული ცენტრის ან რეგიონის მდგომარეობის შეფასების ინდიკატორი არის არსებული საწოლი ოთახების რაოდენობა, დატვირთვა, მომსახურების ხარისხი და ა.შ. განთავსების საშუალებების რაოდენობა, საწოლი ოთახები ნათლად განსაზღვრავს, ტურისტების გამასპინძლების თვალსაზრისით, ქვეყნის ან რეგიონის შესაძლებლობებს. არსებობს სხვადასხვა ტიპის სასტუმროები, პრემიუმ კლასის, მოტელები, ჰოსტელები, „საწოლი და საუზმე“ ტიპის სასტუმროები, ასევე „Iნნ“ტიპის დაწესებულებები. სასტუმროები სხვადასხვა ტიპების არსებობა მიგვანიშნებს განთავსების ინდუსტრიის მრავალფეროვნებაზე.

ქართულ ბაზარზე განთავსების ინდუსტრიაში ლიდერი პოზიციები აქვს აჭარის რეგიონსა და თბილისს. საწოლი ადგილების რაოდენობის 63-%-ი მოდის სასტუმროებზე, მას მოსდევს საოჯახო სასტუმროები და სასტუმრო სახლები, თითოეული 16%-იანი წილით. მთლიანობაში სულ ქვეყანაში ფიქსირდება 1051 განთავსების საშუალება, 34 751 საწოლი ადგილით. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ვიზიტორების ზრდის დინამიკა ფიქსირდება, რაც გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ ოპტიმისტური პროგნოზები დამატებით ახალი სასტუმროების მშენებლობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. საქართველოში უკვე ფუნქციონირებს საერთაშორისო ბრენდის რამოდენიმე სასტუმრო, როგორიცაა Radisson Blue Iveria, Tbilisi Marriott, Courtyard Marriot, Sheraton Metekhi Palace, Holiday Inn და Citadines [35, გვ.8].

[12] www.geostat.ge

საქართველოში სასტუმროებისა და რესტორნების საქმიანობის შედეგები ნაჩვენებია ცხრილში 2.1. 2013-2014 წლის მონაცემების მიხედვით გაზრდილია როგორც ბრუნვა ასევე გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. 2014 წელს დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 3,4%-ით, დინამიკაში ასევე ზრდის ტემპით გამოირჩევა დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება [27].

სასტუმროები და რესტორნები ცხრილი. 2.1

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ბრუნვა, მლნ.ლარი(მლნ ლარი)	81.3	126.7	179.0	192.8	224.6	280.0	383.9	573.8	730.0	787.4	843.6
გამოშვებულიპროდუქცია, მლნ.ლარი(მლნ ლარი)	88.3	134.6	177.4	193.5	225.7	271.5	365.6	574.0	718.7	779.6	832.8
დამატებულიღირებულება, მლნ.ლარი(მლნ ლარი)	38.4	56.7	74.8	84.1	93.7	114.3	149.9	200.9	281.2	296.4	327.3
შუალედურიმოხმარება, მლნ.ლარი(მლნ ლარი)	49.9	77.9	102.6	109.4	132.0	157.2	215.7	373.1	437.5	483.2	505.5
ფიქსირებულიაქტივები, მლნ.ლარი(მლნ ლარი)	232.7	309.6	222.9	186.0	379.0	591.3	646.8	680.1	749.4	656.6	730.8
დასაქმებულთარაოდენობა, კაცი(ათასი)	7920	11437	11993	11554	11184	13540	16106	24003	27821	30285	31330
დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება (ლარი)	155.5	153.1	196.7	238.8	333.7	364.9	377.9	342.5	397.3	437.1	477.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მსოფლიო მასშტაბით, სასტუმრო ნომრების რაოდენობა წელიწადში 2.5%-ით იზრდება. დატვირთვების მაჩვენებელიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება და წლის განმავლობაში შეადგენს 65%. მსოფლიოში არსებული სასტუმროების უმრავლესობა კონცენტრირებულია ევროპასა და ამერიკაში [42, გვ.154].

კვება და ვაჭრობა - განთავსების ინდუსტრიის მსგავსად ტურისტული პაკეტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია კვება. კვების ინდუსტრია შედგება სარესტორნო, ტურისტული კვების, სავაჭრო აპარატით გაყიდვის და სახელშეკრულებო საზოგადოებრივი კვების სერვისებისაგან. ადგილობრივი რესტორნების შემადგენლობაში ასევე შედის სწრაფი კვების ობიექტები, ყავახანები, სპეციალიზებული რესტორნები, საოჯახო რესტორნები, კაფეტერიები და ა.შ. უნდა

აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების სერვისები კომპანიებში, საავადმყოფოებში, საბავშვო ბაღებში არ ითვლება ტურისტული ინდუსტრიის შემადგენელ ნაწილად.

თანამედროვე პირობებში გაჩნდა „კულინარიული ტურიზმის'' ცნება, რომელიც უკანასკნეული ათწლეულის მნიშვნელოვანი ტენდენციაა. არსებობს სხვადასხვა სახის სამეცნიერო ლიტერატურა, ვებ-გვერდები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კულინარული ტურიზმის საერთაშორისო ასოციაცია (International Culinary Tourism Association ICTA) კულინარიულ ტურიზმს განმარტავს შემდეგნაირად: „ეს არის უნიკალური და დასამახსოვრებელი კულინარიული გამოცდილება მოგზაურობის დროს, მაგრამ საკუთარ ქვეყანაშიც ნებისმიერი შეიძლება გახდეს კულინარიული ტურისტი“ [42, გვ.139-140].

ტურიზმი ასევე სტიმულს აძლევს ახალი პროდუქციის შექმნას, აუმჯობესებს საცალო გაყიდვებს, ხელს უწყობს სპეციალიზებული მაღაზიების, სავაჭრო უბნების ჩამოყალიბებას. სავაჭრო ოპერაციები შესაძლოა უკავშირდებოდეს ისეთ პროდუქტებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ ტურისტებთან, ასევე არატურისტულ პროდუქციასაც (მაგალითად, შოპინგ ტურები).

გართობის ინდუსტრია და ატრაქციები - გართობის ინდუსტრია და სანახაობები ტურისტული პროდუქტის მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომელიც მას უნიკალურ მახასიათებლებს ძენს სხვა ტურისტულ პროდუქტთან შედარებით. აღნიშნული ელემენტების მრავალფეროვნება დამოკიდებულია კონკრეტული ტურ-პაკეტის მახასიათებლებზე. ტურისტული პაკეტის ფორმირების პროცესში, გართობის საშუალებების, სანახაობის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ ტურისტების ეროვნება, კულტურული ფასეულობები, ცხოვრების სტილი და ა.შ. არსებობს გართობის, რეკრეაციის სხვადასხვა საშუალებები, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მიზნობრივ ტურისტულ ჯგუფებში. უმეტეს შემთხვევაში გართობის საშუალებები მოიცავს ექსკურსიების პროცესში დაგეგმილ ღონისძიებებს, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებასთან, კულტურული, ისტორიული ძეგლების მონახულებასთან და გართობის სხვა საშუალებებთან. [87; გვ. 34]

გარკვეული ტურებისათვის გართობაზე, სანახაობის მონახულებაზე გაწეული ფულადი დანახარჯები შესაძლოა შეადგენდეს ტურის ღირებულების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. დანახარჯები ატრაქციებზე და გართობაზე წარმოადგენს პირდაპირ ხარჯებს. ზოგადად აღნიშნული ელემენტები ტურისტული პროდუქტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომლის მთავარი მიზანია ტურისტების შთაბეჭდილებებით უზრუნველყოფა, რაც ნებისმიერი დანიშნულების ადგილისათვის წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

დაზღვევა, საბანკო და საფინანსო სერვისები - სადაზღვევო მომსახურება ტურიზმის სექტორში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის პაკეტების სახით. პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო პაკეტები, რაც აუცილებელია მოგზაურობის პროცესში, პირველ რიგში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებიდან გამომდინარე. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის დროს, არსებობს უამრავი რისკ-ფაქტორი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს უსაფრთხოებას, ჯანდაცვას, სატრანსპორტო, ფსიქოლოგიურ და ფინანსურ რისკებს.

აუცილებელია, სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებული საკითხების გააზრება ტურისტების მხრიდან. თანამედროვე სადაზღვევო ბაზარზე სადაზღვევო პაკეტების ტარიფების სიდიდე დამოკიდებულია ტურისტის ასაკზე, პროფესიაზე, საქმიანობის სფეროზე, კონკრეტულ ქვეყანაზე, სადაც მიემგზავრება ტურისტი და ა.შ. თანამედროვე პირობებში გამოიკვეთა საერთაშორისო სადაზღვევო პოლისის აუცილებლობა, რომელიც მისცემს საშუალებას ტურისტებს მიიღონ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, საბანკო და საფინანსო სერვისების მნიშვნელობა და აუცილებლობა, რადგან ტურისტები მოგზაურობის პროცესში ხარჯავენ გარკვეულ ფულად თანხებს სხვადასახვა საქონელსა და მომსახურებაზე. აქედან გამომდინარე დგება ფულადი რესურსების უსაფრთხოების აუცილებლობა. ტურისტული საქმიანობა გავლენას ახდენს საბანკო სერვისებზე, როგორც გეოგრაფიული, ასევე შემოთავაზებული პროდუქტების მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ტურისტული ობიექტების მიმზიდველობა გამოიხატება არა მხოლოდ მათ მრავალფეროვნებაში და რაოდენობაში, არამედ, ასევე შესაბამისი სერვისების არსებობაში, რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბანკო მომსახურება. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს საბანკო ფინანსური ოპერაციები, ტრანზაქციები, რომელიც მოიცავს

სავალუტო გაცვლით ოპერაციებს, ჩეკების, ელექტრონული ფულის გამოყენებას და ა.შ. საბანკო ფინანსური ოპერაციების სტიმულირებას მივყავართ ტურისტების მხრიდან საქონელსა და მომსახურებაზე ხარჯების ზრდასთან რაც პოზიტიურად აისახება ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკაზე. [47, გვ. 16]

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მონაცემების ანალიზისას იკვეთება შემდეგი ძირითადი ტენდენციები, 2011 წელს სამოგზაურო დაზღვევაზე გაფორმებულმა პოლისებმა შეადგინა 181,937 ლარი, ანაზღაურებულმა ზარალმა 495,855 ლარი, მთლიანად მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 2,980,746 ლარი, სადაზღვევო ბაზარზე მთლიანი წილი განისაზღვრა 0.93%-ით. 2014 წლის მდგომარეობის მიხედვით იგივე მაჩვენებლების სტატისტიკა შემდეგი სახისაა: გაფორმებული სამოგზაურო პოლისების რაოდენობა 252,756, სამოგზაურო დაზღვევიდან მოზიდულმა პრემიამ ჯამში შეადგინა 4,863,123 ლარი, ბაზრის წილი განისაზღვრა 1,42%-ით.[13]

სატელეკომუნიკაციო და ინფორმაციული სერვისები - პირდაპირ კავშირშია რეგიონში ტურიზმის განვითარებასთან. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევა, ტურისტების მიერ მოგზაურობის დროს მობილური საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება. ინფორმაციული სერვისები, თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი ფაქტორია კონკრეტული ქვეყნის, რეგიონის, საერთაშორიოსო, ადგილობრივ ბაზარზე პოზიციონირების თვალსაზრისით. საინფორმაციო სიტემებთან დაკავშირებულია ტურიზმში სხვადასხვა სახის სერვისები, მათ შორის, ონლაინ გაყიდვები, რომლის წილი, გაყიდვების თვალსაზრისით, ყოველწლიურად იზრდება. უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული ინდუსტრია მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, აქ იგულისხმება, როგორც გლობალური სადისტრიბუციო სისტემები, ასევე შიდა მენეჯმენტის, მართვის სისტემები, რაც მოხერხებულს და კომფორტულს ხდის მომხმარებელთან ურთიერთობას.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საქართველოში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებში

[13] https://www.nbg.gov.ge

განხორციელდა ფართო მასშტაბიანი რეფორმა ნუმერაციის ეროვნული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა ფიქსირებული ადგილობრივი სატელეფონო ქსელების, მობილური და უსადენო ფიქსირებული ქსელების ახალი ნუმერაცია. ასევე 2012 წელს ამოქმედდა ერთიანი საგანგებო ნომერი 112, რაც უცხოელი ვიზიტორებისათვის, განსაკუთრებით რეგიონებში ქმნის უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებს.

ტურიზმის არაპირდაპირი გავლენა ეკონომიკაზე მოიცავს, შემოსავლებს და ეფექტებს, რომელიც წარმოიქმნება საერთო ეკონომიკური აქტივობების ზრდის შედეგად. ვიზიტორების დანახარჯების ზრდის შედეგად იზრდება ეკონომიკური აგენტების შემოსავლები, ამ პროცესში წარმოიქმნება ჯაჭვი დანახარჯები-შემოსავლები-დანახარჯები, აღნიშნული პროცესი გრძელდება ბრუნვაში შემოსული თანხის შემცირებამდე. დანახარჯების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტებით განისაზღვრება ეკონომიკაზე საერთო გავლენის მასშტაბი [62]. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გაწეული დანახარჯებიდან მიღებული შემოსავლები მომდევნო წრეზე მთლიანად არ იხარჯება, მისი ნაწილი იზოგება, ხოლო გარკვეული ნაწილი იხარჯება ადგილობრივი ეკონომიკის ფარგლებს გარეთ. არაპირდაპირი გავლენების გამოთვლა ხდება ე.წ მულტიპლიკატორების საშუალებით [21, გვ.119].

რეგიონულ და ადგილობრივ ბიუჯეტზე გავლენა - საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ განიხილება ტურისტული და მასთან დაკავშირებული კომპანიებიდან მიღებული შემოსავლები. გადასახადები შესაძლოა კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე იყოს სხვადასხვა. გადასახადები უკავშირდება, როგორც ტურისტულ კომპანიებს, ასევე ტურისტებსაც, მაგალითად, დოკუმენტების წარმოებასთან დაკავშირებული, საბაჟო და სხვა ტიპის გადასახადები.

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ სექტორში არსებული მდგომარეობა რეგიონულ ჭრილში. სასტუმროებისა და რესტორნების ბრუნვის მოცულობის მიხედვით რეგიონებიდან დომინირებს თბილისი, აჭარა, იმერეთი და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები. მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ბრუნვის მოცულობა დინამიკაში 2000-დან 2012 წლის ჩათვლით ზრდის ტენდენციით ხასიათდება, 2012 წელს დაფიქსირდა 730 მილიონი ლარი, 2011-2012 წელს დაფიქსირდა 27%-იანი ზრდა. 2014 წელს

საქართველოს მასშტაბით ბრუნვის მოცულობა 7.1% გაზრდილი. რეგიონულ ჭრილში კვლავ ლიდერობს თბილისი 579.3 მილიონი ლარით, რაც შეადგენს მთლიანი ბრუნვის 68,6%. თბილისის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გააჩნია აჭარის რეგიონს 134,1 მილიო ლარი. რაც შეეხება შიდა ქართლის რეგიონს 1999 წლიდან 2014 წლამდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2011 წელს. 2014 წელს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით ბრუნვა 34% გაზრდილი (იხ. ცხრ. 2.2) .

სასტუმროებში და რესტორნებში დასაქმებულთა კუთხითაც, ზრდის ტენდენცია შეინიშნება, 2012 წლის მონაცემების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობამ ჯამში შეადგინა 27821 ადამიანი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით სასტუმროებში და რესტორნებში დასაქმებულთა რაოდენობამ 31330 კაცი შეადგინა. 2013-2014 წლის მონაცემებით ზრდის დინამიკა ფიქსირდება თბილისში, აჭარაში, გურიაში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და შიდა ქართლის რეგიონში. ზემოთ აღნიშნული რეგიონებისაგან განსხვავებით კლების ტენდენციაა იმერეთში (-12%), რაჭა-ლეჩხუმში (-47%), სამცხე-ჯავახეთში (-9%). შიდა ქართლის რეგიონში დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება2011 წელს. 2013-2014 წელს ზრდა 21%-ია (იხ. ცხრილი 2.3)[14] .

[14] www. geostat.ge

სასტუმროების და რესტორნების ბრუნვის მოცულობა რეგიონების მიხედვით

(მლნ ლარი) ცხრილი. 2.2

წელი	საქართველო სულ, მლნ	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთამთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	საემეგრელო ზემო სვანეთი	სამცხე ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
1999	50.5	29.1	4.8	0.5	4.5	0.7	2.5	0.1	1.8	2.5	1.8	2.2
2000	55.6	35.6	5.6	0.4	3.8	0.4	2.9	0.1	1.3	1.2	1.8	2.5
2001	51.3	32.9	3.3	0.5	4.0	0.6	3.5	0.1	1.7	0.6	1.8	2.3
2002	53.4	40.5	3.5	0.4	2.1	0.3	3.1	0.1	1.1	0.3	1.4	0.6
2003	62.1	49.1	3.3	0.4	2.5	0.4	3.3	0.1	1.2	0.5	0.5	0.8
2004	81.3	62.2	5.1	0.5	3.2	0.4	4.5	0.1	1.8	0.5	1.5	1.5
2005	126.7	92.0	10.2	1.0	4.9	1.0	5.8	0.2	2.5	3.5	3.5	2.1
2006	179.0	137.1	14.2	1.3	5.5	1.1	7.9	0.2	2.8	4.6	2.4	1.9
2007	192.8	136.4	20.2	1.0	6.3	0.8	5.4	0.1	10.9	6.1	3.1	2.5
2008	224.6	151.9	20.5	0.8	6.3	0.7	6.8	0.2	21.1	8.9	5.1	2.3
2009	280.0	205.7	26.5	1.7	7.0	0.9	4.9	0.1	20.7	6.5	3.7	2.3
2010	383.9	306.7	37.7	1.4	7.3	4.7	8.6	0.2	6.3	7.3	2.5	1.2
2011	573.8	455.3	54.2	4.4	16.4	2.5	12.3	0.4	8.4	6.8	6.7	6.4
2012	730.0	534.6	95.0	5.3	24.6	6.0	24.3	0.6	7.7	14.7	11.3	5.9
2013	787.4	548.3	119.9	7.3	28.1	11.5	24.4	0.8	12.7	18.4	11.4	4.6
2014	843.6	579.3	134.1	4.8	32.4	12.6	27.4	0.8	10.6	19.0	16.4	6.2

სასტუმროებში და რესტორნებში დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით ცხრილი. 2.3

წელი	საქართველო სულ	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთამთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	საემეგრელო ზემო სვანეთი	სამცხე ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
1999	8801	3213	1569	121	1014	242	414	49	559	733	531	356
2000	11399	5756	1519	160	1076	271	476	38	570	336	681	516
2001	7590	3277	980	139	1029	231	507	55	401	184	452	335
2002	6856	3464	888	121	624	189	497	71	265	160	355	222
2003	6701	3334	717	110	686	199	591	69	306	198	181	310
2004	7920	4067	954	148	651	192	695	68	311	139	343	352
2005	11437	5672	1626	147	906	262	850	55	392	481	601	445
2006	11993	5725	2209	245	847	210	829	85	447	509	513	374
2007	11554	5884	1978	120	796	151	488	42	664	631	448	352
2008	11184	4915	1700	110	877	132	710	45	868	743	634	450
2009	13540	7792	1816	211	803	120	424	36	972	517	490	361
2010	16106	10668	2278	159	599	363	539	36	318	537	425	183
2011	24003	16132	2379	439	1072	320	687	29	641	697	785	821
2012	27821	16846	4109	312	1768	507	1239	55	705	1007	814	460
2013	30285	16564	5826	415	1993	671	951	170	858	1417	979	441
2014	31330	17084	6002	458	1748	972	988	89	778	1285	1391	535

რაც შეეხება სექტორში შრომის საშუალო თვიურ ანაზღაურებას, რეგიონების მიხედვით დომინირებს თბილისი 620.4 ლარით, ხოლო მინიმალური ოდენობა ფიქსირდება შიდა ქართლში - 139.7 ლარი. საშუალოდ კი საქართველოში ფიქსირდება 477.8 ლარი, რაც რა თქმა უნდა ნიშნავს, რომ სექტორი ვერ ქმნის მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს (იხ. ცხრილი. 2.4).

ცხრილი. 2.4

სასტუმროებში და რესტორნებში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)[15]

წელი	საქართველოს სულ (ლარი)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთ ამთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	საემეგრელო ზემო სვანეთი	სამცხე ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
2006	196.7	291.7	96.2	90.9	65.8	65.3	153.8	35.5	81.5	113.0	66.9	72.8
2007	238.5	314.7	180.5	105.3	80.2	56.4	215.2	27.9	170.8	154.1	70.2	76.8
2008	333.7	508.0	226.0	127.6	95.7	75.5	276.5	84.4	246.6	179.0	95.5	71.5
2009	364.9	465.4	241.9	148.3	124.9	91.4	363.2	107.9	243.8	200.8	109.7	159.1
2010	377.9	421.4	401.5	88.5	108.7	161.2	386.1	124.4	236.9	127.1	114.6	141.0
2011	342.5	390.3	369.8	140.3	182.7	140.6	398.2	55.5	244.1	133.0	110.8	113.5
2012	397.3	464.6	420.2	170.2	190.6	240.6	318.1	144.0	223.2	163.9	161.4	116.1
2013	437.1	548.4	358.4	166.3	136.4	281.0	531.3	142.6	321.9	272.4	211.3	112.8
2014	477.8	620.4	362.3	224.3	155.2	269.2	573.1	210.7	288.5	311.9	142.2	139.7

[15] www.geostat.ge

ცხრილი. 2.5

სასტუმროებში და რესტორნების დამატებული ღირებულების მოცულობა რეგიონების მიხედვით (მლნ ლარი)

წელი	საქართველო სულ (ლარი)	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთ ამთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	საემეგრელო ზემო სვანეთი	სამცხე ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
2006	74.8	61.0	4.6	0.5	1.2	0.3	2.9	0.1	0.9	2.1	0.7	0.5
2007	84.1	61.9	9.2	0.4	1.6	0.3	2.5	0.0	3.6	3.2	0.7	0.7
2008	93.7	69.6	8.0	0.3	1.5	0.2	3.8	0.1	4.5	3.9	1.0	0.8
2009	114.3	83.5	15.2	0.7	1.6	0.3	2.6	0.1	5.6	2.7	1.0	1.0
2010	149.9	114.1	21.1	0.6	1.4	2.7	3.7	0.0	2.2	2.8	0.8	0.5
2011	200.9	151.3	26.4	1.2	5.9	0.7	6.6	0.1	3.0	2.1	1.5	2.1
2012	281.2	204.5	39.9	1.8	8.6	3.4	11.3	0.2	3.2	4.1	3.1	1.1
2013	296.4	202.7	50.5	4.3	9.6	4.7	7.2	0.5	5.9	6.5	3.2	1.3
2014	327.3	217.1	59.4	2.4	10.7	5.2	10.7	0.6	5.3	8.6	4.6	2.7

იგივე შეიძლება ითქვას სასტუმროებში და რესტორნებში შექმნილ დამატებულ ღირებულებაზე საქართველოში. 2014 წელს სულ შეიქმნა 327.3 მლნ ლარის დამატებული ღირებულება. თბილისის წილი შეადგენს 217.1 მლნ. ლარს (66%), აჭარის წილი 18%-ია, ხოლო დანარჩენი ნაწილდება სხვა რეგიონებზე (იხ. ცხრილი. 2.5) [15].

რაც შეეხება განთავსების საშუალებების განაწილებას, აქ მოწინავე პოზიციებზეა: აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, თბილისი, ბოლო ადგილზეა შიდა ქართლი. (იხ. დიაგრამა 2.6) [34, გვ.8]



საწოლი ოთახების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა აჭარის რეგიონი, მას მოსდევს სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, გურია, იმერეთი, კვლავ ბოლო ადგლზეა შიდა ქართლი (იხ. დიაგრამა 2.7) [1. გვ.8].[16]



რეგიონულ ჭრილში ტურიზმის სექტორის განვითარების მიმართულებებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სექტორი რეგიონებში არათანაბრადაა განვითარებული, ამპლიტუდა არის მაღალი, რაც დადებითად ვერ ახასიათებს სექტორს და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას.

[16] www.gnta.ge

საგადასახდელო ბალანსზე, საერთაშორისო ვაჭრობაზე ზემოქმედება - მომსახურებით ვაჭრობა საერთაშორისო ტურიზმის თვალსაზრისით, ისევე როგორც საერთაშორისო ვაჭრობა საქონლით, განიხილება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემადგენელ ნაწილად. საერთაშორისო ტურიზმს, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის შემადგენელ ელემენტს, ტრადიციული საქონლისაგან განსხვავებით ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს:

- უცხოელი ვიზიტორების (FVS) მიერ გაწეული ხარჯები წარმოადგენს მოგზაურობისა და ტურიზმის სერვისების ექსპორტს;
- რეზიდენტების (RSA) მიერ საზღვარგარეთ გაწეული ხარჯები წარმოადგენს მოგზაურობისა და ტურიზმის სერვისების იმპორტს.

საერთაშორისო ტურიზმი ასრულებს კატალიზატორის როლს, საქონლისა და მომსახურების წარმოების თვალსაზრისით და აძლევს სტიმულს ეკონომიკის სხვა სექტორებს. საერთაშორისო ტურიზმი, ასევე გავლენას ახდენს, როგორც ქვეყნის ასევე რეგიონების საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურაზე. სალდო განისაზღვრება, როგორც სხვაობა უცხოელი ვიზიტორების და ადგილობრივი რეზიდენტების საზღვარგარეთ გაწეული ხარჯებით. საერთაშორისო ტურიზმს შეუძლია გავლენა მოახდინოს სამთავრობო პოლიტიკის ფორმირებაზე, დაგეგმვაზე, საგადასახდელო ბალანსის სტაბილიზაციისათვის საჭირო ღონისძიებებზე. საგადასახდელო ბალანსზე ტურიზმის სექტორის გავლენის გამოთვლა ძალიან რთულია, თუმცა არსებობს მეთოდოლოგიები, რომლებიც გვაძლევს საშუალებას გამოვთვალოთ აღნიშნული გავლენები. [59, გვ. 89]

რაც შეეხება საქართველოს საგასახდელო ბალანსს, 2010-2014 წლებში მომსახურების ექსპორტში გამოირჩევა ტურისტული მომსახურება. ტურიზმის ექსპორტი 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 44-%-ით გაიზარდა და მისი წილი მომსახურების ექსპორტში 59.2%-ს შეადგენს. ხოლო იმპორტი 2014 წელს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1.7%-ით გაიზარდა და წილი მომსახურების იმპორტში განისაზღვრა 17.4%-ით. 2014 წელს ტურიზმის ბალანსში პირადი ტურიზმის წილი ჭარბობს საქმიანი ტურიზმის წილს და იგი შეადგენს 64 %-ს. მომსახურების

ექსპორტში ტურისტული მომსახურების შემდეგ მეორე ადგილზეა სატრანსპორტო მომსახურება [25] (იხ. ცხრილი 2.6).

ცხრილი 2.6.[17]

მლნ აშშ დოლარი	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**სტრუქტურა**
მომსახურების ექსპორტი, სულ	1,598.8	2,008.2	2,543.7	2,964.0	3,018.5	100.0
სატრანსპორტო მომსახურება	695.1	796.8	849.6	960.8	967.1	32.0
ტურისტული მომსახურება	659.2	954.9	1,410.9	1,719.7	1,787.1	59.2
კავშირგაბმულობის მომსახურება	27.5	36.5	49.1	55.3	56.3	1.9
სამშენებლო მომსახურება	9.6	8.6	7.6	9.1	5.5	0.2
სადაზღვევო მომსახურება	38.4	21.1	18.3	18.5	20.2	0.7
ფინანსური მომსახურება	16.9	17.4	19.8	8.6	7.0	0.2
კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება	7.4	5.3	3.8	2.7	4.2	0.1

დასაქმება - მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც უნდა მოიტანოს ტურიზმმა, არის ახალი სამუშაო ადგილები. ტურიზმის სექტორს შეუძლია სამუშაო ადგილების შექმნა ახალგაზრდებისთვის, ქალებისთვის, ადგილობრივ უმცირესობათა ჯგუფებისთვის. ტურიზმი ასაქმებს არა მხოლოდ სასტუმროებში, რესტორნებში და სხვა ტურისტულ საწარმოებში, ასევე არაპირდაპირ სხვა სექტორებშიც, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და ა.შ. ეკონომიკურად დეპრესიულ არეალში სამუშაო ადგილების შექმნით სექტორს შეუძლია შეამციროს ახალგაზრდების ემიგრაცია, ურბანიზაცია.

საქართველოში მოგზაურობისა და ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუცია დასაქმებაში 2012 წელს განისაზღვრა 78 000 სამუშაო ადგილით, ყველაზე მაღალი ნიშნული დაფიქსირდა 2001 – 2002წლებში. 2014 წლის მონაცემების მიხედვით ტურიზმმა შექმნა 84 ათასი სამუშაო ადგილი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაფიქსირდა 2%-იანი ზრდა (იხ. დიაგრამა 2.8) [18].

[17] https://www.nbg.gov.ge
[18] www.wttc.org



თუმცა ტურიზმის წვლილი დასაქმებაში ამით არ შემოიფარგლება. ტურიზმის სექტორი აგრეთვე ხელს უწყობს არაპირდაპირი სამუშაო ადგილების გენერირებას სხვა სექტორებში.

ტურისტულ კომპლექსებს, ტურისტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, სჭირდებათ საწარმოო ურთიერთობები სხვა სექტორის წარმომადგენლებთან. ეს გარემოება გარკვეულწილად ართულებს ტურიზმში პირდაპირ და ირიბად დასაქმებული ადამიანების იდენტიფიკაციას. ტურიზმის სპეციფიკა, ამ თვალსაზრისით, ასევე გამოიხატება იმაში, რომ ის არის შრომაინტენსიური მიმართულება. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გარკვეული კორექტირება მოახდინა ადამიანური რესურსების გამოყენების, მართვის თვალსაზრისით, მომსახურების ხარისხი მაინც დამოკიდებულია დასაქმებულთა რაოდენობაზე ერთ ტურისტთან მიმართებით.

საქართველოში ტურიზმის მთლიანი კონტრიბუცია დასაქმებაში პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტების გათვალისწინებით მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC) 2014 წლის მონაცემებით 300 ათას დასაქმებულს შეადგენს, ის მართალია ჩამორჩება 2001 – 2004 წლების მონაცემებს, თუმცა 2008 წლის შემდეგ დინამიკაში განიცდის ზრდას (იხ. დიაგრამა 2.9)[19].

[19] www.wttc.org



შეიძლება ითქვას, რომ ტურისტული აქტივობების ზრდა რეგიონში, შესაძლოა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდეს, რაც პოზიტიურად აისახება, როგორც რეგიონზე ასევე მთლიანად ქვეყანაზე.

ეკოლოგიური გავლენა - ტურიზმის განვითარების პროცესი ხშირად იწვევს ბუნებრივი რესურსებისთვის ზიანის მიყენებას და ზოგ შემთხვევაში მათ განადგურებას. ტურიზმის ეკოლოგიურობას ან არაეკოლოგიურობას განსაზღვრავს მისი უარყოფითი ან დადებითი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი ხშირად უარყოფითად მოქმედებს ბუნებაზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დადებითი ასპექტები, რომელიც მოაქვს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის ინფორმირება ეკოლოგიის საკითხებში სწორედ ტურიზმის განვითარების დამსახურებაა.

დეტალურად განვიხილოთ გარემოზე ტურიზმის ინდუსტრიის ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი ასპექტები. გარემოს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ასევე საავტომობილო გზების მშენებლობა, რომელმაც შესაძლოა გარკვეული დისკომფორტი შეუქმნას ადგილობრივ მოსახლეობას, როგორც ჰაერის დაბინძურების, ასევე ხმაურის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი დამაბინძურებელი ფაქტორია საჰაერო ტრანსპორტი.

საჰაერო ტრანსპორტის ინტენსიური განვითარება იწყება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ტურიზმის განვითარება წარმოუდგენელია საჰაერო ტრანსპორტის გარეშე, თუმცა გამოყოფილი გამონაბოლქვი ნახშირორჟანგი, ნიტროგენის ოქსიდი, უარყოფითად აიხასება გარემოზე. იქმნება გარკვეული პრობლემები გლობალური დათბობის თვალსაზრისით. როდესაც ტრანსპორტზე ვსაუბრობთ, ტურიზმთან მიმართებაში, არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ავიაციით. ტურიზმის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი სატრანსპორტო საშუალებაა ასევე ავტომობილი, რომელიც ფართოდ გამოიყენება, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გადაადგილებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ინდუსტრიას გააჩნია გარკვეული ნეგატიური ფაქტორები, ასევე მნიშვნელოვანია პოზიტიური ფაქტორების ხაზგასმა და მათი დაბალანსება. მთავარი ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ტურიზმი აძლევს ბუნებას ეკონომიკურ ღირებულებას. შედეგი ტურიზმში გამოიხატება თანამშრომლობით, ბუნების გონივრული გამოყენებით, აგროკულტურების განვითარებით, ხე-ტყის მრეწველობით და ა.შ. გონივრული მიდგომით, ასევე შესაძლებელია ტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარება, როგორიცაა ეკოტურიზმი, აგროტურიზმი და სხვა [40, გვ. 339].



სოციო-კულტურული ზეგავლენა - კულტურა ტურიზმის ერთ-ერთი კომპონენტია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის გავლენას ახდენს ტურისტებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების ურთიერთობაზე, არამედ იმიტომაც, რომ ზოგადად კულტურა შეიძლება იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრაქცია ტურისტებისათვის. ტურიზმთან

მიმართებით შეიძლება იყოს სხვადასხვა კულტურული ატრაქცია, როგორებიცაა: ენა, მუზეუმები, ხელოვნება, ტრადიციები, სამზარეულო, არქიტექტურა, რელიგია, სამოსი და ა.შ.

- ტურიზმის დადებითი ზეგავლენა საზოგადოებაზე მოიცავს:
- სამუშაო ადგილების შექმნას;
- ნაკლებად განვითარებული რეგიონების მოდერნიზაციას და განვითარებას;
- ადგილობრივი ხელოვნებისა და ტრადიციული კულტურული აქტივობების აღირძინებას;
- ადგილობრივი ტრადიციული არქიტექტურის გაახლებას;
- კულტურული და ესთეტიური ღირებულებების მქონე გამორჩეული ადგილების დაცვის აუცილებლობას [40, გვ. 340].

განვითარებად ქვეყნებში ტურიზმი თამაშობს უდიდეს როლს სოციალური მობილობის თვალსაზრისით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამუშაო ადგილების ტრადიციული აგრარული სფეროდან მომსახურების ინდუსტრიაში გადანაცვლება, რაც ქმნის მეტი სამუშაო ადგილებისა და უფრო მაღალი ხელფასების პერსპექტივას.

ტურიზმს გარკვეულწილად აქვს უარყოფითი ზეგავლენა როგორც კულტურული, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ტურიზმს შეუძლია გამოიწვიოს ტურისტული დანიშნულების ადგილების გადატვირთვა. ამ გადატვირთვამ შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას, როგორც ტურისტებს, ასევე ადგილობრივ რეზიდენტებს. ამასთან, გარკვეული რეგიონები შესაძლებელია გახდნენ ზედმეტად ტურიზმზე დამოკიდებული. ადგილობრივ მაცხოვრებლებს შეიძლება გაუჭირდეთ თანაცხოვრება ტურისტებთან, რომლებსაც ძალზედ განსხვავებული ღირებულებები და ცხოვრების წესი გააჩნიათ. პრობლემა კიდევ უფრო მწვავეა იმ რეგიონებისთვის, სადაც ტურიზმი არის სეზონური, ამიტომ ადგილობრივმა რეზიდენტებმა უნდა მოახდინონ საკუთარი ცხოვრების წესის ცვლილება წლის სხვადასხვა პერიოდში. ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ასევე შემოსავლების მიღება არა სეზონურ პერიოდში. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც მკაცრი რელიგიური ჩარჩოებია, ტურიზმის შედეგად სოციალური ღირებულებების შეცვლა შესაძლოა მკვეთრად მიუღებელი აღმოჩნდეს.

ტურიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციო–კულტურული გავლენა არის ე.წ. "დემონსტრირების ეფექტი". ასეთი შემთხვევები ხშირად ძირითადად განვითარებად ქვეყნებში წარმოიშობა. დემონსტრირების ეფექტი გულისხმობს, რომ ადგილობრივი

რეზიდენტები, რომლებიც უბრალოდ აკვირდებიან ტურისტების ქცევას, შეაქვთ კორექტივები საკუთარ ქცევაში, რაც აისახება მთლიანად მოსახლეობის ქცევის წესებზე. ამ ყველაფერს შესაძლებელია ჰქონდეს გარკვეული დადებითი ასპექტი – ვიზიტორების თანამედროვე პირად ნივთებზე დაკვირვებით ადგილობრივი მაცხოვრებლები ამჩნევენ ტურისტების ცხოვრების უკეთეს დონეს და უჩნდებათ საკუთარი ცხოვრების დონის გაუმჯობესების სურვილიც, რამაც შეიძლება მათ უკეთესად მუშაობის სტიმული მისცეს. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ კარგად გავაანალიზებთ სიტუაციას, მათზე შესაძლებელია უარყოფითი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს იმან, რომ არ შეუძლიათ იგივე ნივთების შეძენა, რაც ტურისტებს აქვთ. ამასთან, ის ცხოვრების სტილი, რომელსაც სთავაზობენ ვიზიტორები, შეიძლება მათთვის იყოს აბსოლუტურად უცხო. დემონსტრირების ეფექტმა ასევე შესაძლოა წაახალისოს საზოგადოების ახალგაზრდა წევრები და მოხდეს მათი მიგრაცია სასოფლო სექტორიდან ურბანულში. დემონსტრირების ეფექტი შესაძლოა შეიქმნას ვიზიტორებსა და ადგილობრივ რეზიდენტებს შორის მოკლევადიანი პერიოდის ურთიერთობისას [40, გვ.341].

ტურიზმის მულტიპლიკატორი - ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების, მათი გავლენის შეფასებას ეკონომიკის სხვა სექტორებზე, ჭირდება შესაბამისი მეთოდოლოგია. სტანდარტული მეთოდოლოგიის საშუალებით შეუძლებელია ზუსტი ზეგავლენის შეფასება, როგორც მთლიანად ქვეყნის ასევე, რეგიონის მასშტაბით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურიზმი გავლენას ახდენს ეკონომიკის სხვადახვა სექტორებზე და აქტივობებზე, როგორიცაა: განთავსების საშუალებები, ტრანსპორტი, კომუკინაცია, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, კვების სერვისები, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობა, შესაბამისად ის ასრულებს კატალიზატორის ფუნქციას და წარმოადგენს აღნიშნული სექტორებისათვის სტიმულის მიმცემს.

არსებული ტრადიციული სტატისტიკით არ ხდება ტურიზმის მიერ სხვა სექტორებში შექმნილი შემოსავლების შეფასება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არ ხდება ტურიზმის კონტრიბუციის ზუსტად შეფასება ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტში. ტრადიციული სისტემით ხდება პირველადი ბრუნვის შედეგად მიღებული შედეგების შეფასება. ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია დაითვალოს ტურიზმის სექტორიდან მიღებული

მთლიანი შემოსავალი, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ დამატებითი ეკონომიკური აქტივობები, შემოსავლები და ა.შ. [40, გვ.390].

ტურიზმიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი წარმოადგენს საკვნაძო ინდიკატორს, რომელიც აუცილებელია გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად ტურიზმის ეკონომიკურ გავლენასთან დაკავშირებით. აღნიშნული კატეგორია გვაძლევს კომპლექსურ წარმოდგენას ტურისტულ ბიზნესთან, ინფრასტრუქტურასთან, შემოსავლებთან დაკავშირებით. ტურიზმის ეკონომიკურ ეფექტიანობასათან მიმართებით ექსპერტები და ანალიტიკოსები აღწერენ შემდეგ ძირითად ფაქტორებს [52]:

- ტურისტული ფირმების რენტაბელობა, მოგება;
- რეგიონულ, ეროვნულ ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები;
- რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;
- ტურიზმის გავლენა დასაქმებაზე;

მთლიან შემოსავალში იგულისხმება მისი როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გავლენები, რომელსაც იღებს ქვეყანა რეგიონის ტურისტული აქტივობების შედეგად ფულად გამოხატულებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური გავლენის შეფასებისას მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის მთლიანი შემოსავალი, აღნიშნული ინდიკატორის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი გავლენები. პირდაპირი გავლენის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება საანგარიშო პერიოდში ტურისტული ფირმების მიერ მიღებული შემოსავლები, ასევე საგადასახადო შემოსავლები, როგორც რეგიონულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. არაპირდაპირი გავლენის შეფასება მოითხოვს შესაბამის მეთოდოლოგიურ მიდგომას.

ტურიზმის გავლენის შეფასების ქვემოთ მოცემული მეთოდიკის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ეროვნულ ასევე რეგიონულ დონეზე. იგი ადაპტირებულია საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული მეთოდიკა ახასიათებს ტურიზმის სექტორს რეგიონულ და ეროვნულ ჭრილში. მეთოდიკაში გამოყენებულია შემდეგი მაკროეკონომიკური ინდიკატორები: მთლიანი გამოშვება, მთლიანი შიგა პროდუქტი, რეგიონული, მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი.

მთლიანი გამოშვება - გვიჩვენებს დროის გარკვეულ პერიოდში გამოშვებულ საქონლისა და მომსახურების მოცულობას ფულად გამოხატულებაში. იგი მოიცავს

შუალედურ დაუმთავრებელ პროდუქციას, ნახევარფაბრიკატების, პროდუქტების, წარმოების საწყის ეტაპზე მყოფი პროდუქტების ჩათვლით. (იხ. დიაგრამა 2.10) მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი - გამოითვლება კონკრეტული ქვეყნის ან ფედერაციის მასშტაბით. წარმოადგენს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების ღირებულებას მიმდინარე ფასებით (დაუსრულებელი პროდუქტების ჩათვლით) ქვეყნის მასშტაბით. მთლიანი შიგა პროდუქტი განისაზღვრება, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის შესაბამის მონაკვეთში ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ (ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეებში) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე.



ტურიზმის ზემოქმედება ეროვნულ /რეგიონულ ეკონომიკაზე შესაძლებელია გამოითვალოს შემდეგი ფორმულით: (1)

$$M = M_t + \sum_{i=1}^{n} Mi, (1)$$

სადაც:

M - ტურიზმიდან მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტი;

M_T - პირველ წრეზე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები (პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი).

Mi – ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც მიიღება I წრეზე მოძრაობის შედეგად (არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტი).

i - წრე, ეტაპი თანხების მოძრაობის ტურიზმის შედეგად.

როდესაც ვითვლით ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს მთლიან შიდა პროდუქტში, უნდა გავითვალისწინოთ ტურისტული ფირმების და უშუალოდ ტურისტების მიერ გაწეული დამატებითი დანახარჯები, რაც ცხადია, არსებით გავლენას ახდენს ეკონომიკის სხვა სექტორებზე. აღნიშნული ხარჯები შესაძლოა დაკავშირებული იყოს სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შეძენასთან, ინფრასტრუქტურასთან და ა.შ. [70] აქედან გამომდინარე პირველ ეტაპზე უნდა დაითვალოს ტურისტული შეკვეთების შედეგად მიღებული წილი მთლიან შიდა პროდუქტში **(M1).** აღნიშნულში იგულისხმება ტურისტული ფირმების შემოსავლების მხოლოდ ნაწილი, თვითღირებულების გამოკლებით (2). გარდა ამისა, შემოსავლების მხოლოდ ნაწილი რჩება ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკაში, ამიტომ (2) ფორმულაში უნდა შემოვიღოთ კოეფიციენტი **(Qt),** რომელიც აღნიშნავს ტურიზმის მიერ გაწეული ხარჯების წილს, რომელიც რჩება ეკონომიკაში [38].

$$M_1=(V_T-Z_{Tи}) \quad (2)$$

$$M_1=QT(VT-Z_{Tи}) \quad (3)$$

სადაც:

M1 - ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ნაწილი, რომელმაც გავლენას ახდენს მთლიან შიდა პროდუქტზე, (რომელიც გამოწვეულ იქნა ტურიზმიდან განხორციელებული შეკვეთების შედეგად).

Vt - ტურისტული მომსახურების მოცულობა ფულად გამოხატულებაში;

Z – ხარჯების მოცულობა რომელიც გაწეულ იქნა საქონლისა და მომსახურების შესაძენად, ტურისტების მომსახურებისათვის (ტურპროდუქტის

თვითღირებულება);

QT - ხარჯების წილი რომელიც რჩება ეროვნულ ეკონომიკაში;

ფორმულის ამ ეტაპზე შესაძლებელია განსაზღვრა ხარჯების იმ ნაწილის, რომელიც შედის მთლიან შიდა პროდუქტში. ამისათვის გამოიყენება შემდეგი თანაფარდობა (4):

$$Y * Q_T \quad x \quad \frac{(V_T - Z_{Tи})}{X}, \qquad (4)$$

სადაც:

Y - მთლიანი შიგა პროდუქტი;

X - მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი;

აქედან შეგვიძლია გამოვთვალოთ მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა, რომელიც გამოიწვია ტურისტულმა შეკვეთებმა გაწეული დანახარჯების შედეგად, (5):

$$M1 = \frac{Y * QT * (VT - ZTи)}{X} \qquad (5)$$

მეორე და მომდევნო წრეზე მოძრავი ფულადი ნაკადების გარკვეული ნაწილი ასევე აისახება მთლიან შიგა პროდუქტზე. აღნიშნული ნაკადები ასევე იწვევს რეგიონში, ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობების ზრდას [34].

ასეთივე გზით შეიძლება განისაზღვროს წილი მთლიან შიგა პროდუქტში, რომელიც გამოწვეულ იქნა ეროვნული საწარმოების და ფირმების მიერ გაწეული ხარჯების შედეგად i - ეტაპზე. წილი შესაძლოა გამოვსახოთ, როგორც (Mi+1). მთლიანი შიგა პროდუქტის და მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის საშუალებით ასევე შესაძლოა განისაზღვროს ხარჯების მოცულობაც, რომელიც რჩება ეკონომიკაში i - ეტაპზე, ეს შეიძლება შემდეგი სახით გამოვსახოთ [38]:

$$\frac{Mi}{x} * (x - Y) \qquad (6)$$

ქვეყნის ეკონომიკაში რჩება ტურიზმიდან მიღებული საშუალებების გარკვეული ნაწილი, I ეტაპზე, ანალოგიურად უნდა შემოვიღოთ კოეფიციენტი Qi, რომელიც გვიჩვენებს ხარჯების იმნაწილს რომელიც რჩება ეკონომიკაში (7). შეგვიძლია ამ ეტაპზე გამოვთვალოთ ხარჯების ის ნაწილი, რომელიც რჩება ეკონომიკაში და რომელიც აისახება მთლიან შიდა პროდუქტში (8):

$$\frac{Mi}{x} * Qi(x - Y) \qquad (7)$$

$$\frac{YQi * (x - y) * M1}{x * x} \qquad (8)$$

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$\frac{YQi * (x - y) * M1}{x * x} = RM_i, \qquad (9)$$

სადაც:

R - კოეფიციენტი გვიჩვენებს, ეკონომიკაში ფულადი საშუალებების განვლილ ეტაპებს;

აქედან გამომდინარე, მოცულობა მთლიან შიგა პროდუქტში, რომელიც გამოწვეულ იქნა ადგილობრივი ფირმების მიერ განხორციელებული ხარჯების შედეგად i- ეტაპზე (Mi+1), შეგვიძლია გამოვსახოთ შემდეგი სახით (10):

$$M_{i=1} = R * M_i \Rightarrow M_{i=1} = M_1 * R^i \quad (10)$$

გეომეტრიული პროგრესიის შედეგად, (10) ფორმულის (1) შერწყმით ვიღებთ შემდეგს (11):

$$M = M_T + M_1 + \sum_{i=2}^{\infty} Mi = M_T + M_1 + \sum_{i=2}^{\infty} Mi * ri \quad (11)$$

(5) ფორმულასთან შერწყმით შეგვიძლია დავთვალოთ ტურიზმიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი (12), აღნიშნული ურთიერთმიმართება აისახება ქვეყნის მთლიან მულტიპლიკატორში:

$$M = M_T + M_1 \cdot \left(\frac{1}{1-R}\right) = M_T + \frac{Y * QT * (Vt - ZTи)}{X} \cdot \frac{1}{1-R} \quad (12)$$

სადაც:

M - ერთობლივი შემოსავალი (პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტი, მულტიპლიკატორის ჩათვლით);

MT - პირველ წრეზე მოძრავი ფულადი საშუალებები ეკონომიკაში (ტურიზმის პირდაპირი ეფექტი);

M1 - შემოსავლების ნაწილი, ტურიზმის შეკვეთებით გამოწვეული;

VT - ტურისტული მომსახურების მოცულობა (შემოსავლები) ფულად გამოხატულებაში;

ZTи - დანახარჯები რომელიც გაწეულ იქნა საქონლისა და მომსახურებისათვის, ტურისტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

Y- მთლიანი შიდა(რეგიონული) პროდუქტი;

X - მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი;

R - კოეფიციენტი გვიჩვენებს, ეკონომიკაში ფულადი საშუალებების განვლილ ეტაპებს;

Qt - დანახარჯების ნაწილი რომელიც რჩება ეკონომიკაში;

2.2. საქართველოში ტურიზმის განვითარების მამოძრავებელი ძალების გამოვლენა და მათზე ზემოქმედება

ტურიზმის განვითარების ფაქტორების შესწავლის მიზანს წარმოადგენს სექტორში ცვლილებების მამოძრავებელი ძალების გამოვლენა და მათზე ზემოქმედებით ინდუსტრიის განვითარების სტიმულირება. სექტორების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების გამოსავლენად ადაპტირებულია ცნობილი მეთოდი PESTEL ანალიზი, რომელიც გულისხმობს ფაქტორთა დაჯგუფებას პოლიტიკური (Political), ეკონომიკური (Economic), სოციალური (Social), ტექნოლოგიური (Technological), ბუნებრივი (Envorenmental) და სამართლებრივი (Legal) გარემოს განმსაზღვრელების მიხედვით. თითოეული ეს ფაქტორი თავის მხრივ მოიცავს ფაქტორთა ჯგუფს, ამასთან თავად განიცდის აღნიშნული სექტორიდან უკუგავლენებსაც [40, გვ.199].

პოლიტიკური (Political) ფაქტორები – მასში ძირითადად მოიაზრება სექტორის გარემოს მარეგულირებელო ორგანიზაციების, მომხმარებელთა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ჯგუფების მოთხოვნები. პოლიტიკურ ფაქტორებს ძირითადად განსაზღვრავს მთავრობები, სამთავრობო ინსტიტუტები და სააგენტოები. საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარების პოლიტიკის გატარების უფლებამოსილი ინსტიტუციებია: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტი, პრემიერის აპარატი, პრეზიდენტის აპარატი. სამთავრობო პოლიტიკას შეუძლია გავლენა მოახდინოს ინდუსტრიის შესაძლებლობებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ გატარებული თუ გასატარებელი ღონისძიებების სწორად გააზრება, რადგან ის გავლენას ახდენს სექტორის განვითარების მიმართულებებზე და ტემპებზე. აგრეთვე, არსებობს ბევრი საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც მთავრობის ინტერესების გამტარებლები არიან. ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია კი ტურიზმის ინდუსტრიის ინტერესების გამტარებელია და ცდილობს გავლენა მოახდინოს მთავრობათა გადაწყვეტილებებზე. ასეთია, მაგალითად საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (IATA), რომელიც საავიაციო ინდუსტრიის წარმომადგენელია, ევროპის ტურ-ოპერატორთა ასოციაცია (ETOA), ბრიტანული კურორტების ასოციაცია და სხვები. ამასთან ტურიზმის განვითარების პოლიტიკაზე გავლენას ახდენს საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. მათ შორის

აღსანიშნავია „ევროკავშირი – საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება“, რომლის პარაფირება მოხდა 2013 წელს. ამ ხელშეკრულებით საქართველო და ევროკავშირი თანხმდება თანამშრომლობაზე ტურიზმის განვითარებისათვის, შემდეგი პრინციპებით[20]:

- ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების, მოთხოვნების, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით პრიორიტეტების გათვალისწინებაზე, განსაკუთრებ ით რაიონებში;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოზიტიური ინტერაქცია ტურიზმის განვითარებისა და გარემოს შენარჩუნების კუთხით;

თანამშრომლობა მოხდება ასევე შემდეგ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით:

- ინფორმაციის გაცვლა, გამოცდილების გაზიარება;
- პარტნიორობის მხარდაჭერა, საზოგადოებრივი და კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ტურიზმის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით;
- ტურისტული პროდუქტების, ბაზრების, ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების, ინსტიტუციების, განვითარება;
- ტურიზმის განვითარებისათვის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება;
- შესაბამისი ტრენინგების შემუშავება მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესებისათვის.

ეს ხელშეკრულება მომავალში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ვექტორების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი გახდება.

ეკონომიკური (Economic) ფაქტორები – მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სექტორის განვითარებას. აქ აღსანიშნავია: ეკონომიკის მდგომარეობა, სექტორში მოგების ნორმა და დივიდენდების დონე, ვალუტის გაცვლითი კურსი, ფასები და ინფლაცია, საგადასახადო სისტემა, გლობალიზაციის დონე, საკუთრების სახეები ინდუსტრიაში და მისი სტრუქტურა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია.

ეკონომიკას მოაქვს შემოსავლები ადამიანებისათვის, რაც მათ მოგზაურობის საშუალებას აძლევს. გაცვლითმა კურსმა შესაძლოა როგორც წაახალისოს, ასევე შეასუსტოს მოგზაურობა. მაგალითად, დოლარის კურსის შემცირება ლართან მიმართებაში ასტიმულირებს საქართველოს მოქალაქეთა მოგზაურობას საზღვარგარეთ

[20] http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement-2013_en.htm

და პირიქით, ლარის დევალვაცია იწვევს ტურიზმის პროდუქტის ექსპორტის სტიმულირებას. ასევე, ეკონომიკური ზრდა ასტიმულირებს ტურისტული ნაკადების შემოდინებას, აგრეთვე ადგილობრივი მოქალაქეების მოგზაურობას ქვეყნის შიგნით, ანუ შიდა ტურიზმის განვითარებას. მაგალითად, ეკონომიკურმა ზრდამ ახლო აღმოსავლეთისა და აზიის რეგიონში ბიძგი მისცა რეგიონიდან უფრო მეტი ადამიანის ჩართვას ტურიზმში. განვითარებულ ქვეყნებში შიდა ტურიზმის წილი აჭარბებს გარე ტურიზმს, თუმცა საქართველოში პირიქითაა. 2012 წელს უცხოელი ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯები შეადგენდა მთლიანი ხარჯების 58,3%–ს [40, გვ.211-212].

სოციალური (Social) ფაქტორები – მოიცავს ცვლილებებს დემოგრაფიაში (მოსახლეობის ასაკობრივი, სქესობრივი სტრუქტურა, მიგრაცია, განათლების დონე); მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს (ჯანდაცვა, შემოსავლები, თავისუფალი დროის არსებობა), სოციალური კავშირებს და სოციალური მზრუნველობის ფორმებს, სიმდიდრის გადანაწილების გზების ფორმებს, ცხოვრების სტილის სპეციფიკას, სიმდიდრის დონეს და კეთილდღეობას, ცოდნას და კულტურული განვითარების დონეს, რაც შესაძლოა იყოს სხვა ადგილების მონახულების მოტივატორი. სამუშაო ადგილების შემცირება ადგილზე და მსოფლიოში მკვეთრად ამცირებს ტურიზმზე მოთხოვნას. მაგ. ევროპაში მოსახლეობის დაბერებიდან გამომდინარე, მსხვილი ტურისტული კომპანიები ცდილობენ განავითარონ ტურისტული ადგილები ხანდაზმულთათვის. ადამიანების ცნობისმოყვარეობა და სურვილი გაიგონ მეტი ახალი ადგილების შესახებ ხელს უწყობს კულტურული ტურიზმის განვითარებას და მისი არეალის გაფართოებას, მაგალითად ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთში და ასევე, შორს მანძილზე გადაადგილებას, მაგალითდ, ანტარქტიდაზე, ჰიმალაის მთებში ან ტროპიკულ ტყეებში.

ტექნოლოგიური (Technological) ფაქტორები – მოიცავს ტურისტული პროდუქტის შექმნის ტექნოლოგიებს, მ.შ. ვირტუალურ რეალობას; კომუნიკაციის ტექნოლოგიებს, მ.შ. ინტერნეტს; ოპერაციულ ტექნოლოგიებს, მ.შ. გლობალური დისტრიბუციის სისტემებს; ავტომატიზაციის დონეს და ა.შ. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ტურიზმის განვითარებაზე, დიდი სისწრაფით იცვლება და ვითარდება. ისტორიულად, როგორც მატარებლებმა, ასევე ავიაციამ რევოლუცია მოახდინა მოგზაურობის ინდუსტრიაში. უფრო ახლო წარსულში კი, ინტერნეტმა ახალი შესაძლებლობი წარმოშვა თუნდაც ელექტრონული დაჯავშნის კუთხით.

ბუნებრივი (Envorenmental) ფაქტორები – მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: პირველი ეს არის ბუნებრივი გარემოს ანალიზი, რომელიც ტურიზმის ინდუსტრიას აძლევს განვითარების შესაძლებლობას და მეორე, ფიზიკური გარემოს დაცვა, რომელიც ზრუნვის საგანი გახდა საერთაშორისო მასშტაბით. ფაქტია, ტურიზმმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გარემოს დაზიანებას. ისეთმა შორეულმა ადგილებმაც კი, როგორებიცაა ავსტრალია და ჰიმალაის მთები, განიცადეს ბუნებრივი გარემოს გაუარასება ტურისტული აქტივობების შედეგად. ეკოტურიზმსაც კი მოაქვს გარკვეული ზიანი. იმართება სხვადასხვა კამპანიები, რომლებიც ემსახურება ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვის საჭიროების კუთხით. გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ცდილობენ აიძულონ ტურ-ოპერატორები, ტურისტული დანიშნულების ადგილები, სასტუმროები და ავიაკომპანიები, რათა გაატარონ გარემოსდაცვითი ღონისძიებები. შესაბამისად, სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ტურიზმის ინდუსტრია შესაძლებელია გარემოს შენარჩუნების მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდეს [72].

სამართლებრივი (Legal) ფაქტორები – უშუალოდ, პირდაპირ განსაზღვრავს სექტორის განვითარებას. მის დახვეწას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ინდუსტრიის განვითარებაში. ტურიზმისა მართვის სახელმწიფო რეგულირების არსი იმაშია, რომ სახელმწიფო აღიარებს ტურიზმს, როგორც დარგს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდა და ხელს უწყობს მის განვითარებას, იღებს ვალდებულებას შექმნას სასურველი გარემო დარგის ფუნქციონირებისათვის. სახელმწიფო რა თქმა უნდა ბაზართან ერთად, განსაზღვრავს დარგში პრიორიტეტულ მიმართულებებს, საერთაშორისო დონეზე რეკლამას უწევს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს და ქმნის ტურისტული საქმიანობისათვის სასურველ იმიჯს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ტურიზმი რეგულირდება ეროვნული და ევროკავშირის ერთობლივი კანონმდებლობით [40, გვ.211-212].

საქართველოში საკანონმდებლო ბაზა და ნორმატიული დებულებები, ტურიზმის დარგის განვითარებაზე პირდაპირი გავლენის ფაქტორებია, რითაც რეგულირდება სექტორის განვითარების ტენდენციები, განსაზღვრება სექტორის განვითარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები. უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდბლო რეგულაციები მოძველებულია და იგი მოითხოვს როგორც ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან, ასვე ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზებას [73]. ჩვენი აზრით ამ

კუთხით აუცილებელია უცხოური გამოცდილების შესწავლა. შაკანონმდებლო დოკუმენტებიდან განსაკუთრებით განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- „საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“;
- „საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“;
- „საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობილობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“;
- „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“;
- „საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. და ა.შ.

საქართველოში ტურიზმის დარგის განვითარების პასუხისმგებელი ინსტიტუცია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურული ერთეული – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უშუალოდაა პასუხისმგებელი ტურიზმის სექტორის ფუნქციონირებაზე, სათანადო პოლიტიკის გატარებაზე საქართველოში.

„საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ არეგულირებს ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის სფეროში არსებულ ურთიერთობებს. კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, აღნიშნული კანონის და მათ შესაბამისად მიღებული სხვა ნორმატიული აქტებისაგან. კანონით სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ტურიზმისა და კურორტების დარგი ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და ქმნის ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს.

სექტორის მნიშვნელოვან მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ტურიზმისა და კურორტების დარგში და ახორციელებს მის საკანონმდებლო რეგულირებას; ამყარებს საპარლამენტთაშორისო ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან ტურიზმისა და კურორტების დარგში.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს პრეზიდენტი:

- უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას ტურიზმისა და კურორტების დარგში;

- დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოსა და შესაბამისი სამსახურების წარდგინებით ამტკიცებს სანიტარული დაცვის ზონებს;
- ითვალისწინებს ტურიზმისა და კურორტების განვითარების ინტერესებს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებისას, აგრეთვე სახელმწიფოთაშორისო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;
- დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს კურორტების ნუსხას და სტატუსს [22].

2.3. ტურიზმის განვითარების პოტენციალი საქართველოში და მისი განსაზღვრა

საქართველო გამოირჩევა მაღალი ტურისტული და რეკერეაციული პოტენციალით. ქვეყნისადმი ინტერესი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განსაკუთრებულად გაიზარდა, რასაც ადასტურებს საერთაშორისო ვიზიტორთა ზრდის დინამიკა ქვეყანაში, ეს კი ტურიზმის სექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. სამომავლოდ აღნიშნული ტენდენციის შესანარჩუნებლად, სექტორის თვისებრივი გაჯანსაღებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება, რაც უნდა გამოიხატოს ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადებაში, რაც სტიმულს მისცემს ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობების ზრდას [12].

ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია პოლიტიკის შემუშავება, როგორც საერთაშორისო ჩამოსვლების, ასევე შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით [79]. თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით საქართველოს, როგორც ქვეყანას გააჩნია გარკვეული ძლიერი მხარეები, როგორიცაა:

- გეოგრაფიული მდებარეობა;
- მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა;
- ბუნებრივი ლანდშაფტები და ეკოსისტემა;
- მინერალური, სამკურნალო წყლები და ა.შ.
- ფოლკლორული და ეროვნული ტრადიციები;

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ფასეულობების სიუხვეს, რითაც საქართველო მართლაც მდიდარია. საქართველოში არსებობს მსოფლიო მნიშვნელობის სანახაობები. მათ დაცვაზე საერთაშორისო ორგანიზაციები ზრუნავენ. მსოფლიოში ცნობილი და უნიკალური ძეგლების დაცვასა და რეაბილიტაციას ემსახურება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია - იუნესკო (UNESCO, United Nations Educational, Scientific and Cultural Organization) [97].

საქართველოს კულტურული ტურიზმი ძირითადად დაკავშირებულია კულტურულ ძეგლებთან, თითქმის ყველა კულტურული ტური უკავშირდება ისტორიულ ძეგლს, რადგანაც საქართველოში ყველა მიმართულებით უამრავი კულტურული ძეგლია. ქვეყანაში აღრიცხულია 12 ათასი ძეგლი, მათგან სახელმწიფო იცავს 5 ათას ძეგლს [19].

ტურიზმის პოტენციალის განსაზღვრისათვის ადაპტირებულია ფაქტორული ანალიზის მეთოდები. მათი გათვალისწინებით, ტურისტული მიმზიდველობის განმაპირობებელი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს გააჩნია გარკვეული ძლიერი მხარეები, შესაძლოა ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით: (იხ. ცხრილი 2.1) [13].

ფაქორები, რომლებიც განაპირობებენ ტურისტულ მიმზიდველობას	**საქართველო**
ბუნებრივ-რეკრეაციული	ხელსაყრელი ეკოლოგიური ფაქტორები: ➢ საინტერესო ბუნებრივი ლანდშაფტები; ➢ ბალნეოლოგიური და სამკურნალო კურორტები; ➢ მდიდარი ფლორა და ფაუნა;
ისტორიულ-კულტურული	დაცული ტერიტორიები: ➢ ისტორიულ კულტურული ძეგლები; ➢ არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები; ➢ სახალხო დღესასწაულები; ➢ მუსიკალური ფოლკლორული ფესტივალები; ➢ მუზეუმები, საგამოფენო სივრცე; ➢ ავთენტური ადგილობრივი ტრადიციები; ➢ უძველესი ეკლესიები, მონასტრები; ➢ რელიგიურ-კულტურული ღონისძიებები;
	➢ დარგის განვითარებისათვის სამთავრობო პოლიტიკის ჩამოყალიბება; ➢ თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების აუცილებლობა; ➢ ტურიზმის განვითარებისათვის მცირე მეწარმეების დაინტერესების

ეკონომიკური ფაქტორები	აუცილებლობა; ➢ მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა; ➢ განთავსების საშუალებების (სხვადასხვა ტიპის) აუცილებლობა, ➢ ტურისტების მომსახურებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის მომზადება. ➢ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა. ➢ ტურიზმის სფეროში ერთიანი საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება
სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები	➢ სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების აუცილებლობა; ➢ ტურისტული პროდუქტების დიფერენცირება (ასაკი, სქესის, სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით). ➢ ადგილობრივი რეზიდენტების კეთილგანწყობა ტურისტების მიმართ; ➢ გარკვეული გარანტიები უსაფრთხოების, კომფორტული პირობების შექმნისათვის.

საქართველოს პოტენციალი გამოიხატება იმ ბუნებრივ სიმძლავრეებში, რომელიც გააჩნია ქვეყანას. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიულ–კულტურული ძეგლები, დაცული ტერიტორიები, ბუნებრივი რესურსები.

- ისტორიულ–კულტურული ძეგლები - ტურიზმის განვითარების კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიულ - კულტურულ მემკვიდრეობას, დასახლებათა ტრადიციულ არქიტექტურას და რეგიონის განსახლების სისტემას. საქართველოს ნებისმიერი კუთხე აღნიშნული თვალსაზრისით მდიდარია და აძლევს მას იმის შესაძლებლობას, რომ კულტურული ტურიზმი გახდეს ერთ-ერთი მოწინავე მიმართულება. ქვეყანაში არსებული 12000 ისტორიის, ხუროთმოძღვრების და არქიტექტურის ძეგლიდან 4 შეტანილი იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში და სხვა უამრავი ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობა, ყოველივე ამის საწინდარია. აღსანიშნავია მუზეუმების და თეატრების რაოდენობა, კერძოდ 188

მუზეუმი, მათ შორის - ისტორიული (მხარეთმცოდნეობის) 61; მემორიალური 78; ხელოვნების და ლიტერატურის 20; მუზეუმ-ნაკრძალი 11 და 44 თეატრი. კულტურული ტურიზმის როლი უმნიშვნელოვანესია მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვა-შენახვისათვის. იგი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომლებიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან. კულტურულ მემკვიდრეობაში შედის არა მარტო ძეგლები, არამედ ფესტივალები, მუზეუმები, ხელოვნების შემოქმედებითი დარგები, კულტურული მოვლენები, კუსტარული მრეწველობის ნაკეთობები, კულინარია. კულტურული ტურიზმი ხელს უწყობს თვითშეგნების ამაღლებას ადგილობრივ მოსახლეობაში[21].

საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარება უნდა დაიგეგმოს ისტორიული ძეგლების ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ღირსებებისა და მათ გარშემო არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

საქართველო კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ქვეყანაა და სამწუხაროა, რომ დღეს უამრავი უმნიშვნელოვანესი ობიექტი რჩება ყურადღების გარეშე, მრავალი მათგანი პასუხობს იმ სპეციფიკურ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც მსოფლიო მემკვიდრეობის სამთავრობოთაშორისო კომიტეტი ცნობს, რომ ძეგლს გააჩნია განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. საერთოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თვითონ ერი უფრთხილდებოდეს, იცავდეს და ზრუნავდეს მის გადარჩენაზე.

- დაცული ტერიტორიები - საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია – ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა ჯერ კიდევ 1912 წელს. ამჟამად საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობია 520 273 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7,46 %-ია. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული. დაცული ტერიტორიების უპირველესი დანიშნულება უნიკალური ბიომრავალფეროვნების, დამახასიათებელი ეკოსისტემების დაცვა-შენარჩუნებაა.

საქართველოში არსებობს IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით 68 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია, მათ შორის:

14 სახელმწიფო ნაკრძალი;

[21] http://www.culture.gov.ge

10 ეროვნული პარკი;

18 აღკვეთილი;

24 ბუნების ძეგლი;

2 დაცული ლანდშაფტი;

საინტერესოა ვიზიტორთა სტატისტიკა დაცულ ტერიორიებზე და ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით (იხ დიაგრამა 2.11. და 2.12.).

დიაგრამა 2.11. ვიზიტორთა

დინამიკა[22]



[22] www.moe.gov.ge

დიაგრამა 2.12. ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით[23]



ტურისტულ პარკებში მრავალფეროვანი ინტერესია ჩადებული: სპორტი, ველური ბუნება, ადგილობრივი წეს-ჩვეულებანი და კულტურა, რაც მთავარია წყალი, მთები, მდინარეები, ტყეები და ა.შ. ყველაფერი ეს წარმოადგენს რეკრეაციულ ღირებულებას, განსაკუთრებით შიდა ტურიზმისათვის. ბოლო დროს განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო მეტი ადამიანი იჩენს ინტერესს სპეციალური ტურებისადმი, რომლებიც ორიენტირებულია ბუნებრივ, "ეგზოტიკურ" და კულტურულ ღირებულებებზე. აქედან გამომდინარე, სწორედ მათი გადანაწილება ხდება აქამდე ტურიზმისათვის აუთვისებელ ტერიტორიაზე.

დღეს თანდათანობით ნათლად გამოიკვეთა ჩვენში დაცული ტერიტორიების ახალი, უფრო მოქნილი, რაც მთავარია - რეგიონების სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებული სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე დიდია ტურისტული სახეების დანერგვის შესაძლებლობები, მათ შორის მნიშვნელოვანია:

- ტურიზმი ბუნების გაცნობის მიზნით;
- საოჯახო ტურიზმი;

[23] www.moe.gov.ge

- აგროტურიზმი;
- ახალგაზრდული და საბავშვო ტურიზმი;
- ზღვისპირა და მდინარისპირა ტურიზმი;
- სპორტული ტურიზმი;
- სათავგადასავლო;
- საშვებულებო ტურიზმი;
- ზოოლოგიური და ბოტანიკური შემეცნებითი ტურიზმი და ფოტონადირობა;
- კულტურული და შემეცნებითი ტურიზმი;
- ტრეკინგი და ლაშქრობები;
- სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი.

ბუნებრივი რესურსები. ტურიზმის სექტორის პოტენციალს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსები. საქართველო განსაკუთრებით მდიდარია მინერალური წყლის, ტყის, რესურსებით. საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს მის მოქალაქეებს, დაიცვან, გაუფრთხილდნენ და იზრუნინ ბუნებაზე. ქვეყანაში ტყის მდგრადი განვითარებისა და მართვის კონცეფცია ითვალისწინებს ტყის ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ტყის მენეჯმენტის ეკოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები არის ქვეყნის ეროვნული განვითარების სტრატეგიის ნაწილი. ტყის მდგრადი განვითარების მიზანია, დააკმაყოფილოს საზოგადოების ძირითადი მოთხოვნები ტყის რესურსების სფეროში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი ხელს უწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას და ხდის უფრო მიმზიდველს. საქართველოს ტერიტორიის საერთო ფართობის (6.95 მლნ. ჰექტარი) 40%–ს შეადგენს სახელმწიფო ტყის ფონდი (3 007 600 ჰა). საქართველოში არის 103 კურორტი; 167 საკურორტო ადგილი; 688 – მყინვარი; 2000–ზე მეტი – სამკურნალო წყალი, შავი ზღვის სანაპირო სიგრძე – 330 კმ; ტერიტორიული წყლების (შავი ზღვის) ფართობი – 679,0, (8,9%); ათასი ჰექტარი. ქვეყნის მიწის ფართობია 6949,4 ათასი ჰექტარი. 2002 წელს, „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 17,1 ათასი ჰექტარი – ჭაობი; კლდეებით დაკავებულია – 18,4 ათასი ჰექტარი (0,2%). საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე მიედინება 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 26 ათას კმ-ს აღწევს. საქართველოში 860-მდე ტბაა, უმეტესობა ძალიან პატარაა, ამიტომაც ტბების საერთო ფართობი 170 კვ.კმ-ს არ აღემატება (ქვეყნის ტერიტორიის 0.24%), მათი უმეტესობა მტკანარია. ტურიზმის განვითარების

თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია არსებული ჭაობები. ჭაობებს საქართველოში განსაკუთრებით დიდი ფართობი (225 ათასი ჰა) უკავია კოლხეთის დაბლობზე[24].

შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა საქართველოს გლობალურ ბაზართან ინტეგრირების, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით;
- შეინიშნება საერთაშორისო ჩამოსვლების თვალსაზრისით ზრდის დინამიკა, რაც უკანასკნელი ათწლეულის მნიშვნელოვანი ტენდენციაა. თუმცა ასევე აუცილებელია სექტორის სრულფასოვანი განვითარებისათვის შიდა ტურიზმის განვითარება და ხელშეწობა;
- საქართველოში საერთაშორისო ტურიზმი ასრულებს კატალიზატორის როლს, საქონლისა და მომსახურების წარმოების თვალსაზრისით და აძლევს სტიმულს ეკონომიკის სხვა სექტორებს. საერთაშორისო ტურიზმი, ასევე გავლენას ახდენს, როგორც ქვეყნის ასევე რეგიონების საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურაზე საქართველოს საგადასახდელო ბალანსში ზრდის ტენდენციით გამოირჩევა ტურისტული მომსახურეობა.
- მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც უნდა მოიტანოს ტურიზმმა არის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც აუცილებელია ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის, შემოსავლების ზრდის, ცხოვრების დონის ამაღლების თვალსაზრისით. დღეისათვის დასაქმებაში ტურიზმის წვლილი შეადგენს 14,2%–ს, მაგრამ სექტორის პოტენციალი გაცილებით დიდია;
- ტურიზმის სექტორის განვითარებისათვის აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება ტურიზმის განვითარების როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური ფაქტორები;
- ტურიზმის განვითარების ფაქტორების ანალიზისას იკვეთება აუცილებლობა იმისა, რომ მოხდეს სექტორში ცვლილებების მამოძრავებელი ძალების გამოვლენა და მათზე ზემოქმედებით ინდუსტრიის განვითარების სტიმულირება. აღნიშნულს მიეკუთვნება, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, გარემო, სამართლებრივი ფაქტორები;

[24] www.moe.gov.ge

- ხელშემწობი საკანონმდებლო რეგულაციები წარმოადგენს ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას, აღნიშნული მიმართულებით საქართველოში იკვეთება გარკვეული პრობლემები, მაგალითად, საქართველოს „კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ", მიღებულია 1997 წელს, ხასიათდება რიგი ნაკლოვანებებით და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შესულა;
- საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების თვალსაზრისით არსებობს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ფასეულობები. ქვეყანას გააჩნია მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ბუნებრივი ლანდშაფტები და ეკოსისტემა; მინერალური, სამკურნალო წყლები, ფოლკლორული და ეროვნული ტრადიციები და ა.შ;
- ტურიზმის სექტორის მომავალი წარმატებები, განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ეს კი შესაძლებელია შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსების არსებობის შემთხვევაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ მიმართულებით დახმარებისათვის მზაობა გამოითქვა ევროკავშირის მხრიდან, რაც გამოიხატა ევროკავშირი–საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით.

ამრიგად, ეკონომიკის გლობალიზაციისა და მდგრადი განვითარების პირობებში აუცილებელია საქართველოში არსებული რესურსების (მატერიალური, შრომითი, ფინანსური) ეფექტიანი გამოყენებისათვის კონკრეტული ვარიანტებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, სწორად ჩამოყალიბება და რეგიონის მიწოდების ჯაჭვში ისე ჩართვა, რომ უზრუნველყოს კონკურენტული უპირატესობის მიღწევა [88].

თავი III. შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების სტრატეგია

3.1. შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების არსებული მდგომარეობა

ტურიზმის განვითარების თანამედროვე რეალობის შესწავლის მიზნით, შიდა ქართლის რეგიონში ჩავატარეთ კვლევა, რომელიც მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:

1. საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტების, ვიზიტორების ანკეტური გამოკითხვა წინასწარ შედგენილი კითხვარის მეშვეობით (იხ. დანართი 1);
2. მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა და ინტერვიუ;
3. ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა.

შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის არსებული მდგომარეობის შესწავლის, ანალიზის და მისი შემდგომი განვითარების მიზნით, 2015 წელს ჩავატარეთ ტურისტების ანკეტური გამოკითხვა. რამდენადაც საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტები მეტწილად სტუმრობენ გორის მუნიციპალიტეტს, კერძოდ: უფლისციხე, გორის ციხე, ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, ატენის ხეობა და ა.შ. შესაბამისად, ანკეტირება სწორედ გორის მუნიციპალიტეტის ფარგლებში განვახორციელეთ. სულ გამოკითხულ იქნა 180 ტურისტი. გამოკითხვები ძირითადად უფლისციხეში და ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში შემოსულ ტურისტებთან ხორციელდებოდა, რადგანაც უკვე ცნობილი იყო ამ მიმართულებით ტურისტთა ნაკადების ყოველწლიური მნიშვნელოვანი ზრდა (იხ. დიაგრამა 3.1.)

დიაგრამა №3.1



აღნიშნულ რეგიონში ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ანკეტაში ისეთი კითხვების შეტანა, როგორიცაა: გსმენიათ თუ არა, რომ გორის მიმდებარე მუნიციპალიტეტებშიც არსებობს მრავალი ღირსშესანისნაობა, ისტორიული ადგილი, უმშვენიერესი ლანდშაფტები და უძველესი ეკლესია მონასტრები? ასევე, ისურვებდით თუ არა, რომ თქვენი საექსკურსიო მარშრუტი გორის მიმდებარე ტერიტორიებიდან გაგრძელებულიყო ზემოთ აღნიშნულის გასაცნობად და დასათვალიერებლად?

საერთოდ, სპეციალურად შედგენილი ანკეტის კითხვარი, მიზნად ისახავდა შიდა ქართლის რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის და განსაკუთრებით ტურისტული მომსახურების ხარისხის დონის შესწავლას. მსგავსი გამოკითხვა შესაძლებელს ხდის გავიგოთ, თუ რომელი ტურისტული ობიექტი იყო უფრო საინტერესო და მიმზიდველი ტურისტებისათვის. ამასთან, შემდგომში მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ვაფიქსირებდით ტურისტების შენიშვნებსა და ყურადსაღებ რჩევებს.

ტურისტთა 55% ანკეტირებულ იქნა ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში, 45% - უფლისციხის მუზეუმ ნაკრძალში (იხ. დიაგრამა 3.2). გამოკითხულთა 72%-ს შეადგენდნენ უცხოელი ტურისტები, 28%-ს ადგილობრივი ქართველი ტურისტები (იხ. დიაგრამა 3.3)

დიაგარამა №3.2



დიაგრამა №3.3



ბუნებრივია, რომ გამოსაკითხი ტურისტები ასაკით განსხვავდებოდნენ. გამოკითხულთაგან: 20 წლამდე ასაკის ტურისტი იყო 9%; 20 დან 40 წლამდე 45%; 40 დან 65 წლამდე 31% და 65 წელს ზემოთ 20%. (იხ. დიაგრამა 3.4).

დიაგრამა №3.4



რეგიონში სხვასადხვა მიზნით ჩამოსული ტურისტების პროცენტული მაჩვენებლები ასე გადანაწილდა: 45% - ისტროიულ-კულტურული ძეგლების მონახულება; 20% - ადგილობრივი კულტურის გასაცნობად; 15% - რეგიონის მრავალფეროვანი ლანდშაფტის გასაცნობად და თვალწარმტაცი ბუნებით სიამოვნების მისაღებად; ხოლო 7% და 13% ქართული სტუმართმოყვარეობის და სამზარეულოს დაგემოვნების მიზნით (იხ. დიაგრამა 3.5).

დიაგრამა №3.5



გამოკითხულ ტურისტთა 43% გაეცნო ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს (ნაწილმა კი სურვილი გამოთქვა); 33%-მა მოინახულა უფლისციხე; 12%-მა ატენის ხეობა და 12%-მა გორის ციხის მიმართ გამოიჩინა ინტერესი. (იხ. დიაგრამა 3.6).

დიაგრამა №3.6



დიაგრამა №3.7 – დან ნათლად ჩანს, რომ ტურისტების 69%-ს რეგიონში ჩამოსვლა ურჩია ტურისტულმა კომპანიამ, რაც უდაოდ მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო. ტურისტების 17% მეგობრების რჩევით არის ჩამოსული. ტურისტების 10%-მა კი თვითონ გამოიჩინა ინიციატივა და განახორციელა ტური.

დიაგრამა №3.7



2-3 დღით ჩამოვიდა ტურისტების 6%, ერთი კვირით – 3%, ხოლო გამოკითხული ტურისტების დიდი ნაწილი 91% რეგიონში მხოლოდ ერთი დღით ჩამოვიდა (იხ. იაგრამა 3.8), რაც უპირველესად გამოწვულია შესაბამისი ტურისტული მარშრუტის

არარსებობით და ამასთან, მიუხედავად ტურისტების მიერ გამოთქმული დიდი სურვილისა, რომ მისცემოდათ უფრო ხანგრძლივი დროით სტუმრობის საშუალება – სასტუმროებში მოთხოვნის შესაბამისი დონით მომსახურების ვერ უზრუნველყოფით.

დიაგრამა №3.8



როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გამოვიყენეთ ტურისტებისგან პირდაპირი ინტერვიუს აღების მეთოდიც, რამაც ნათელყო, რომ გამოკითხული ტურისტების უმრავლესობას ღამის გათევა ურჩევნია კეთილმოწყობილ ადგილობრივ სასტუმროებში და ადგილობრივ კერძო საოჯახო სასტუმროებში, რაც მათ მისცემდა ქართული ტრადიციების და ადგილობრივი სტუმართმასპინძლობის უკეთ გაცნობის საშუალებას. გარდა ამისა, ამ ინტერვიუებით გაირკვა, რომ მათ გააჩნიათ დიდი ინტერესი და სურვილი ღამე ბუნებაში, კარვებში, საძილე ტომრებში გაათენონ, რაც უდაოდ გასათვალისწინებელია.

დიაგრამა №3.9-დან ჩანს, რომ: ტურისტების 31% - მა ღამის გატარების სურვილი გამოთქვა ადგილობრივი სასტუმროს სასარგებლოდ; 42% - მა ადგილობრივ საოჯახო სასტუმროებში; 17% - მა ბუნებაში, კარვებში, ხოლო 10% - ს ღამის გატარება ურჩევნია თბილისში, მეტი კომფორტის და შესაბამისი მაღალი დონის მომსახურებით უზრუნველყოფის პირობებში.

დიაგრამა №3.9



იმ ტურისტების გამოკითხვამ და ინტერვიუებმა, რომლებმაც უკვე ისარგებლეს სასტუმროს მომსახურებით გვიჩვენა, რომ მართალია ისინი ძირითადად კმაყოფილები არიან ქალაქში საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობით, განსაკუთრებით ქართული სამზარეულოთი – რაც უდაოდ მისასალმებელია, მაგრამ ბევრი უკმაყოფილებაც გამოთქვეს. კერძოდ, ისინი უკმაყოფილონი არიან სასტუმროში მომსახურების ხარისხით, კომფორტის მინიმალური დონის არასებობით (გათბობა, ცხელი წყალი და ა.შ.). მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მათ გარკვეული რჩევებიც გამოთქვეს რესტორნებისა და კაფე-ბარების მენეჯერების მსამართით.

გამოკითხული ტურისტების 34% - ყურადღებას აქცევს სასტუმროს ნომრის მდგომარეობას; 39% - მომსახურების ხარისხს; 21% - ფასს, ხოლო 6% - კვებას და სასმელებს.

დიაგრამა №3.10



რაც შეეხება გორის მუნიციპალიტეტში კვლევაში მონაწილე ტურისტების მიერ ტურისტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შეფასებას – აღნიშნული საშუალო მაჩვენებლების ფარგლებშია. კერძოდ: გამოკითხული ტურისტების 71% 10 ქულიან შკალაში 4 დან 7 ქულამდე ანიჭებს (იხ. დიაგრამა №3.11). კითხვარში არსებულ თხოვნაზე, ჩამოეთვალათ 3 მთავარი შენიშვნა ტურისტული ინფრასტრუქტურის სერვისზე, ანკეტრიებულთა უმრავლესობა აღნისნავს: 1. არსებობს ენობრივი ბარიერები; 2. ქალაქში არ არის განთავსებული სპეციალური დაფები, რომლებზეც გამოსახული უნდა იყოს ტურისტული ობიექტების მიმართულების მაჩვენებლები; 3. ტურისტული ობიექტების არეალში არ არის საზოგადოებრივი საპირფარეშოები.

დიაგრამა №3.11



მიუხედავად რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის მომსახურების სფეროში არსებული ნაკლოვანებებისა, ანკეტირებული ტურისტების მნიშვნელოვანი ნაწილი 44% განმეორებით აპირებს რეგიონში ჩამოსვლას და იმ ტურისტული ობიექტების მონახულებას, რომელთა დათვალიერება და გაცნობა მათ ვერ შეძლეს პირველი სტუმრობის დროს. ამასთან 86% გამოკითხული ტურისტებისა დაბეჯითებით აღნიშნავდა, რომ აუცილებლად ურჩევდა თავის ნაცნობებს, მეგობრებს, კოლეგებს და სხვ. გორში ჩამოსვლას (იხ. დიაგრამა 3.12 და 3.13).

დიაგრამა №3.12



დიაგრამა №3.13



ანკეტაში არსებულ კითხვაზე – რის შეძენას ისურვებდით ტურისტული ობიექტების დათვალიერების შემდგომ – ტურისტების უმრავლესობა პასუხობს: რაც შეიძლება მეტი საინფორმაციო ბუკლეტების არსებობას და ხელმისაწვდომობას; ბუკლეტებში უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის წარმოჩენას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ხელნაკეთი სუვენირების შეძენას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები, რომელიც საჭიროებს დროულ რეაგირებას. ეფექტიანი მოქმედებების განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი გეგმების შემუშავება, როგორც გრძელვადიან ასევე მოკლევადიან დინამიკაში. ტურისტული სერვისების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

- რთულია ინფორმაციის მოძიება ტურისტული ობიექტების შესახებ;
- არ გაგვაჩნია სათანადო საინფორმაციო ვებ-გვერდები, ტურისტული გზამკვლევები და ბუკლეტები;
- არ გვაქვს შემუშავებული ისეთი ტურისტული საექსკურსიო მარშრუტები, რომლებიც დიდი ხნით დარჩენის სურვილს გაუჩენს ტურისტებს;
- საოჯახო სასტუმროების ნაკლებობა;
- სასტუმროებში მომსახურების დაბალი დონე;
- მომსახურების დაბალი ხარისხი კვების ობიექტებზე;
- სპეციალური დაფების, გზამკვლევების და პიქტოგრამების არარსებობა;
- უცხო ენების ფლობის დაბალი დონე;
- ადგილობრივი ნაწარმის და სამახსოვრო სუვენირების შეძენის საშუალება;
- ტურისტული ობიექტების არეალში საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა.

გამოკითხულ ტურისტთა 78%-ს საერთოდ არაფერი სმენიათ გორის მიმდებარე მუნიციპალიტეტებში (კასპი, ქარელი, ხაშური) არსებული მრავალი ისტორიული ძეგლის, ღირსშესანიშნაობის და ეკლესია მონასტრების შესახებ, მაგრამ დიდი ინტერესი გამოთქვეს ამ ობიექტების მონახულების სასრგებლოდ, იმ შემთხვევაში, თუ კი წინასწარ შეძლებდნენ საკმარისი ინფორმაციის მიღებას და ექნებოდათ უზრუნველყოფილი ღამეს სათევი და კვების საშუალება.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემები მეტნაკლებად დამახასიათებელია არამარტო შიდა ქართლის, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც, რაც იძლევა მათი განზოგადებისა და ერთიანი სახელმწიფო ხედვის თვალსაწიერში მოხვედრის შესაძლებლობას. ყველა ზემოთ აღნიშული პრობლემა საჭიროებს დროულ რეაგირებასა და გადაწყვეტას, რამაც უნდა უზრუნველყოს ტურისტთა მოთხოვნის შესაბამისი მომსახურების ხარისხის

გაუმჯობესება და შედეგად, ტურისტული ნაკადების მოცულობის გაზრდა. ეს უკანასკნელი კი სარგებელს მოუტანს როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე რეგიონის (რეგიონების) ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულყოფილი და მომგებიანი საქმიანობის სასწინდარი იქნება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კვლევაში ტურისტების გარდა ანკეტირებულ და ინტერვიურებულ იქნა აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობა და ფოკუს ჯგუფები. გავაანალიზეთ რეგიონში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები ქარელის, კასპისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში მათი შეხედულებების შეფასების საფუძველზე.

ღირსშესანიშნაობებით მრავალფეროვანია ქარელის (რუისისა და ურბნისის, ძამას ხეობის ტერიტორიები უამრავი ეკლესია მონასტრებით და სხვ.). ხაშურის (დაბა სურამი და ქვიშხეთი). კასპის (ხოვლე, ახალქალაქი, გოსტიბე, რკონი, გარიყულა) და სხვ. სურამი ზღვის დონიდან 900-1000 მ-ზე მდებარეობს, სამთო კლიმატური კურორტია, ჭარბობს ფიჭვნარ-ნაძვნარი. აქ არის ბუნებრივი გოგირდის მინერალური წყლები (სამკურნალო დანისნულები). ესია უკრაინკას სახელობის სახლ-მუზეუმი, XI საუკუნის ისტორიული ძეგლი სურამის ციხე და ეკლესია. ქვიშხეთი რაიონული ცენტრიდან დაშორებულია 10 კმ-ით, სამთო კლიმატური კურორტია წიწოვან-ნაძვნარ და შერეული ტყის შუაგულში. ქვიშხეთში მდებარეობს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი, მრავლადა არის ისტორიული ძეგლები, ეკლესიები. ქვიშხეთი მდიდარია წყაროსა და მინერალური წყლებით. კასპის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია ბანლეოლოგიური კურორტი ხოვლე, რომელიც ზღვის დონიდან 780 მ-ზეა. ხალქალაქი ზღვის დონიდან 1040 მ-ზეა, მაღალი მთის კლიმატით და ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით. გოსტიბე ზღვის დონიდან 1400 მ-ზე მდებარეობს, რომელიც გამოირცევა სამკურნალო ჰავით, პროფილაკტიკური, ნევროლოგიური სამედიცინო პროფილით. რკონი ზღვის დონიდან 950 მ-ზე, სასრგებლოა ბავშვებისა და მოზარდებისათვის. გარიყულა ზღვის დონიდან 470 მ-ზე, იგი განსაკუთრებით სასარგებლოა ასთმით დაავადებულთათვის. შიდა ქართლის სხვადასხვა ტერიტორიები მდიდარია სამონადიერო – სარეწაო რესურსებით და თევზსარეწი ადგილებით. ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა ტურიზმისათვის სასარგებლო სამონადირეო კომპლექსების მოსაწყობად. აქ შეიძლება მყარი საფუძველი ჩაეყაროს ფლორისა და ფაუნის დაცვას და მის შემდგომ მდგრად განვითარებას. [35]

როგორც აღინიშნა, ტურისტების შეფასებასთან ერთად გავაანალიზეთ ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებები ტურიზმის განვითარების შესახებ ქარელის, კასპისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში. როგორც დანართი №2 - შია წარმოდგენილი, მოსახლეობის აზრის შემსწავლელი კითხვარი ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მათი მუნიციპალიტეტების ჩართვას საექსკურსიო მარშრუტებში; შეძლებენ თუ არა ღამისთევით და კვების მიხედვით რამდენიმე დღით სტუმრების მიღება-განთავსებას; ეწევიან თუ რაიმე ხალხური ნაკეთობების წარმოებას ტურისტებისათვის შესათავაზებლად; სტუმრებისათვის თავიანთი საცხოვრებლის საოჯახო სასტუმროებად მოსაწყობად, ვის მიმართავენ ფინანსური უზრუნველყოფისათვის, დასახმარებლად და ბოლო კითხვა ეხება ოჯახის სულადობის და მასში შრომისუნარიანთა რაოდენობას, რომელსაც ჩვენი აზრით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასაქმების თვალსაზრისით.

პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით აღნიშნული საკითხების ირგვლივ შევისწავლეთ სულ 120 ოჯახის აზრი.

კითხვაზე: ისურვებდნენ თუ არა მათი მუნიციპალიტეტების ღირსშესანიშნაობების ჩართვას სხვა რეგიონების საექსკურსიო მარშრუტებში, დადებითი პასუხები ასე განაწილდა:

- ქარელის მუნიციპალიტეტში - 92%;
- კასპის მუნიციპალიტეტში - 90%;
- ხაშურის მუნიციპალიტეტი - 80%.

აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებული ღირსშესანიშნაობების, ეკლესია-მონასტრების, ციხეებისა და სხვათა ჩართვას გორის, ქუთაისის, ბათუმის, თბილისისა და საქართველოს სხვა რეგიონების ტურისტულ მარშრუტებში, გაზრდის ქართლის რეგიონის ტურისტული ნაკადების მოცულობას, რაც დადებითად წაადგება როგორც აღნიშნული მუნიციპალიტეტების მოსახლეობის შემოსავლებს, ისე მთლიანად რეგიონის ბიუჯეტს.

შეკითხვას, რომელიც ეხება ღამისთევით სტუმრების მიღებას თუნდაც 1-3 დღით, დადებითად უპასუხა სამივე მუნიციპალიტეტის გამოკითხულთა თითქმის 60%-მა, დანარჩენმა თავი შეიკავა. ღამისთევასთან ერთად, შეძლებენ თუ არა სტუმრების დღეში ორჯერ მაინც კვებას – სამივე მუნიციპალიტეტის 50%-მა უპასუხა დადებითად, 20%-მა თუ ფინანსები ექნებათ იმ შემთხვევაში, ხოლო – 30%-მა უარყოფითად უპასუხა. მეოთხე

შეკითხვაზე, ეწევიან თუ არა ადგილობრივი ნაწარმის ტურისტებისათვის შეთავაზებას – მუნიციპალიტეტების მიხედვით ასე განაწილდა:

ქარელის მუნიციპალიტეტში:

- დიახ - 80% არა - 20%

კასპის მუნიციპალიტეტში:

- დიახ – 77% არა - 23%

ხაშურის მუნიციპალიტეტში:

- დიახ - 95% არ ვიცი - 5%

შეკითხვაზე საოჯახო სასტუმროს მოსაწყობად ფინანსური დახმარებისათვის ვის მიმართავენ? პასუხი ასე გამოიკვეთა:

ქარელის მუნიციპალიტეტში:

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტს - 30%
- ადგილობრივ ბანკს - 50%
- საკუთარ ბიუჯეტს - 20%

კასპის მუნიციპალიტეტში:

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტს – 30%
- ადგილობრივ ბანკს – 60%
- საკუთარ ბიუჯეტს – 10%

რაც შეეხება ხაშურის მუნიციპალიტეტს, აქ მოსახლეობის აზრი ასე განაწილდა:

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტს – 20%
- ადგილობრივ ბანკს – 70%
- საკუთარ ბიუჯეტს – 10%

სამივე მუნიციპალიტეტების გამოკითხულ ოჯახთა სულადობა საშუალოდ 4-5 ადამიანისაგან შედგება, რომელთაგან 2-3 შრომისუნარიანია. აქედან გამომდინარე, თუ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ექნებათ ხელშეწყობა ადგილობრივი მმართველობითი ორგანოებიდან ან ბანკებიდან იაფი სესხის მისაღებად, გაზრდილი ტურისტული ნაკადების უზრუნველსაყოფად ოჯახები შეეცდებიან თავიანთი საცხოვრებელი ადგილების ადაპტირებას სტუმრებისათვის ისე, რომ მათ ჰქონდეთ მოწყობილი სანიტარული კვანძი და ცხელი წყალი. ამავე დროს ისინი იმედოვნებენ, რომ გაზრდილი ტურისტული ნაკადები ცოტათი მაინც გააუმჯობესებენ მათი ოჯახების

შემოსავლებს და ბუნებრივია ტურისტების ზრდა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ხალხური ნაკეთობების მათი მხრიდან შეძენას და ოჯახების დამატებითი შემოსავლების ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლის რეგიონში ტურისტების განთავსების საშუალებების ნაკლებობის გამო (სულ 11 სასტუმრო, 168 ადგილით), თავისთავად იზრდება მოთხოვნა საოჯახო ტიპის სასტუმროებზე, შესაბამისად ამ ტიპის ბიზნესის განვითარებაზე. ცნობილია, რომ საოჯახო სასტუმრობის საწოლ-ადგილების რაოდენობამ 2014 წლისათვის აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, კახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში შეადგინა საქართველოს მთლიანი საწოლ-ადგილების 18%. მასპინძელ ოჯახებს გაუჩნდათ საგრძნობი შემოსავალი, შესაბამისად მათ გაუჩნდათ ამ საქმიანობის საოჯახო ბიზნესად გადაქცევის ინტერესი. [34]

ჩატარებული კვლევის შედეგად შიდა ქართლის რეგიონში გამოვლინდა რიგი პრობლემებისა, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ საოჯახო სასტუმროების ბიზნესის წამოწყება-განვითარებას (რეკლამის სიმცირე, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, იაფი კრედიტის პრობლემა, სეზონურობა, ტურისტულ სააგენტოებთან კავშირის არქონა, მაღალი საშემოსავლო გადასახადი და ამავე დროს უცხო ენების არცოდნა). ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ შიდა ქართლის რეგიონებში საოჯახო სასტუმროები სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტია. საოჯახო სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს სოფლად უკვე არსებული საცხოვრებელი სახლები, რაც არ მოითხოვს დიდ ინვესტიციებს. მცირე დანახარჯები საჭიროა ძირითადად სანიტარული ნორმების დასაკმაყოფილებლად, საძინებელი ფართის რეკონსტრუქციისათვის და სანიტარული კვანძების მოსაწყობად. გარდა ამისა, სოფლად ტურიზმის განვითარება შეამცირებს უმუშევრობას და გაზრდის ადგილობრივი ხალხური რეწვის პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას.

ქვეყნის ტურისტული პოტენციალის (კერძოდ შიდა ქართლის) შესწავლის დროს გარდა იმ საკითხისა თუ რამდენად არის ქვეყანაში ტურისტული განვითარების დონე, მნიშვნელოვანია შეფასებულ იქნეს თითოეული რეგიონის ტურისტული განვითარების ზეგავლენა მთლიანად ეკონომიკური განვითარებაზე. ამ მიმართულებით არსებობს მრავალრიცხოვანი კვლევები (Modelling tourism demand, travel mode choice and destination loyalty, Vo Van Can, 2013); Fischer, Sahay, Vegh (1996a); Fischer, Sahay, Vegh (1996b); Pushak, Toingson, Varoudakis (2007); Brunetti, Kisunko, Weder (1997); Havrylyshyn, van Rooden (2000);

Raiser, Haerpfer, Nowotny, Wallace (2001) და სხვები), სადაც კონკრეტული ფორმის მათემატიკური მოდელები გამოიყენება. ამ მიზნისთვის ჩვენ გამოვიყენეთ „პრობით“ მოდელი, რაც გულისხმობს დამოკიდებული ცვლადის ბინარულობას (მნიშვნელობებით 0 და 1. 0-შიდა ქართლი არ მოუნახულებია, 1 - მოუნახულებია, გასული თვის მანძილზე). დამოუკიდებელი ცვლადებად ვიყენებთ: ასაკს, სქესს, ეთნიკურობას განათლების დონეს ოჯახურ მდგომარეობას, შემოსავლებს და ა.შ. ასევე, რეგრესიული ანალიზი საშუალებას იძლევა განვასხვავოთ დარჩენის/განთავსების საშუალებები (საკუთარი სახლი, ნათესავის სახლი, სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო, ა.შ.). ამსხსენლ ცვლადებად გამოვიყენეთ ასაკი, სქესი, ეთნიკურობა, განათლების დონე, ოჯახური მდგომარეობა, შემოსავალი, რეგიონი, შიდა ტურისტული ვიზიტი ღამის თევით/ღამის თევის გარეშე.[25]

მოდელმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა რომელი ცვლადია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და კონკრეტულად რამდენით ზრდის შიდა ქართლის მონახულების ალბათობას ესა თუ ის მახასიათებელი სხვა თანაბარ პირობებში.

მოდელში გამოყენებული მონაცემები:

- მოცემულ კვლევაში გამოყენებულია შიდა ტურიზმის მონაცემები 2014 წლის მე-2 კვარტლიდან 2015 წლის მე-3 კვარტლის ჩათვლით (სულ 6 კვარტალი)[26];
- გამოკითხულია 14 525 შიდა ვიზიტორი (ვისაც ღამისთევით ან ექსკურსიის მიზნით მოუნახულებია საქართველოს ერთი ტერიტორა მაინც ბოლო ერთი თვის მანძილზე გამოკითხვის მომენტისთვის)[27];

კვლევის შედეგები:

1. მონაცემები შეწონილია და რეპრეზენტატულია ქვეყნის მასშტაბით.
2. კვლევამ აჩვენა, რომ შიდა ტურიზმის მხოლოდ 6.5% მოდის შიდა ქართლზე.
3. კვლევის მეორე ეტაპზე რეგრესიული ანალიზით შევეცადეთ გამოგვევლინა ფაქტორთა ჩამონათვალი და ასევე, ის ინდივიდუალური მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ შიდა ქართლის ტურისტული მიზნით მონახულებაზე (ღამისთევით, ექსკურსიით). ასევე, შვისწავლეთ ტურისტთა მიერ შიდა ქართლში განხორციელებული

[25]შიდა ტურისტს შესაძლებელია გამოკითხვის მომენტიდან გასული თვის მანძილზე განხორციელებული ქონდეს ვიზიტები როგორც ერთ დღიანი ასევე ღამის თევით.

[26] წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

[27] წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

ვიზიტის პირობრბში სერვისით დაკმაყოფილების დონე (მათ მიერ გამოკვეთილი შეფასებების დაჯამებით)

მოდელის შეფასება - მოდელის სპეციფიკაციის (ცვლადების არჩევის) ეტაპის შემდეგ მოხდა აგებული მოდელის შეფასება. ამისათვის გამოყენებულ იქნა პროგრამა (სტატა) რეგრესიის შეფასების ინსტრუმენტი. როგორც რეგრესიის შეფასებიდან ჩანს, აგებული მოდელით შევეცადეთ შეგვეფასებინა თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას შიდა ქართლში მოგზაურობაზე. ცხრილში მოცემულია წრფივი რეგრესიის (OLS)[28] ასევე პრობით და ლოგით მოდელების კოეფიციენტები. დამოკიდებული ცვლადი ბინარულია, ნული და ერთი მნიშვნელობებით, რომელიც შესაბამისად გვიჩვენებს გამოკითხვის მომენტში გასული ერთი თვის მანძილზე ვიზიტორთა მიერ შიდა ქართლის მონახულების დონეს.

ცხრილი: 3.6

ამხსნელი ცვლადები	OLS	Logit	Probit
age_group	-0.0174675	-0.2224458*	-0.1214917*
gender	0.0193628	0.2527959*	0.1231328*
ethnicityid	-0.0183771*	-0.2999178*	-0.155866*
educationlevelid	-0.0019576	-0.0190826*	-0.0107741*
maritalstatusid	0.0161468*	0.2280164*	0.1294162*
personalincome	-0.0000166	-0.0001758*	-0.0000839*
reg_tbilisi	-0.0114881	-0.0242347*	-0.0119533
reg_adjara	-0.1740358*	-1.828292*	-0.9230484*
reg_imereti	-0.1921152*	-3.384149*	-1.626907*
reg_mtskheta_mtianeti	0.0111777	0.1833495*	0.1408073*
reg_samegrelo_zemo_svaneti	-0.1429784*	-1.409826*	-0.7208148*

[28] Ordinary Least Squares (OLS) - უმცირეს კვადრატთა მეთოდი

reg_samtskhe_javakheti	-0.1248239*	-1.249952*	-0.6654576*
reg_kvemo_kartli	-0.0841028	-0.6692102*	-0.3946885*
overnightvisits	0.0196426	0.1448428*	0.1059371*
samedayvisits	0.0449482*	0.4175989*	0.2419287*
_cons	0.1328524	-2.043228*	-1.238646*

შენიშვნა: სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადები აღნიშნულია *-ით

წრფივი რეგრესიის მიხედვით (OLS) შიდა ქართლის მონახულებას მხოლოდ 10%-ით ხსნის მოცემული დამოუკიდებელი ცვლადები (R-squared = 0.1028). გამოვლინდა რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადებია ეთნიკურობა, ოჯახური მდგომარეობა, რეგიონი, ერთდღიანი ვიზიტების განხორციელება. მონაცემეთა შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეთნიკურად ოსები შიდა ვიზიტებს სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით ყველაზე ხშირად შიდა ქართლში ახორციელებენ. გამოკითხულ ოს მოგზაურთა 37% ერთხელ მაინც ყოფილა შიდა ქართლში.

დიაგრამა 14: შიდა ქართლის მონახულების მაჩვენებელი ეთნიკური ჯგუფების მიხედვით



ოჯახური სტატუსი მნიშვნელოვნი განმსაზღვრელი ცვლადია შიდა ქართლის მონახულების თვალსაზრისით. გამოკითხულ არარეგისტრირებულ ქორწინებაში

მყოფთაგან პროცენტულად ყველაზე მეტი მოგზაურობს შიდა ქართლში. სხვა ოჯახური სტატუსის მქონე შიდა ტურისტთა საშუალოდ 6-8% სტუმრობს შიდა ქართლს, ხოლო არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ტურისტებში ეს მაჩვენებელი 17%.

დიაგრამა 15: შიდა ქართლის მონახულების მაჩვენებელი ოჯახური სტატუსის მიხედვით



შიდა ქართლის მონახულების ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის რეგიონის ფაქტორი. ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ადგილობრივ მოსახლეობაშია. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხულ ვიზიტორთა 12.7% სტუმრობს შიდა ქართლს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გურიის რეგიონშია.

დიაგრამა 16: შიდა ქართლის მონახულების მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით



სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი ცვლადებია ასაკი, სქესი, განათლებისა და შემოსავლების დონე. ვიზიტორ მამაკაცთა დაახლოებით 7% სტუმრობს შიდა ქართლს, ხოლო ქალებში ეს მაჩვენებელი 6.4%-ს შეადგენს, თუმცა ეს ორი სიდიდე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დიაგრამა 17: შიდა ქართლში ვიზიტი გენდერულ ჭრილში



ასაკობრივ კატეგორიებში შიდა ქართლის მონახულების მაჩვენებელი უმნიშვნელოდ განსხვავდება. ახალგაზრდა და შუახნის მოსახლეობაში უფრო მაღალია შიდა ქართლის მონახულების მაჩვენებელი. გამოკითხული 15-30 წლის მოსახლეობის 7%

სტუმრობს შიდა ქართლს, ხოლო 71 წელს გადაცილებულ ვიზიტორთა მხოლოდ 6% ჩადის შიდა ქართლში.

დიაგრამა 18: შიდა ქართლში ვიზიტის მაჩვენებელი ასაკობრივ ჭრილში



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლის რეგიონს არ უჭირავს კონკრეტული ნიშა შიდა ტურიზმის კუთხით. იგი ერთნაირად მიმზიდველია სხვადასხვა ასაკის, შემოსავლებისა და განათლების მქონე ადამიანებისთვის. ამის ფონზე, ლოგიკურია რომ ადგილობრივი და მოზობელი რეგიონების მაცხოვრებლები წარმოადგენენ ძირითად ვიზიტორებს. მოდელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ხარისხობრივი მიგნებები რასაც ეხება აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი.

3.2. შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების პოტენციალი

შიდა ქართლს საკმაოდ სოლიდური ტურისტული პოტენციალი გააჩნია. მხარეში შემავალ ოთხივე მუნიციპალიტეტში (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური) არსებობს არაერთი ბუნებრივ- კულტურულ-ისტორიული თუ რელიგიური ღირებულების მქონე ძეგლი. აქედან გამომდინარე, რეგიონის გრძელვადიანი განვითარებისათვის ტურისტული პოტენციალი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი.

ბოლო წლების დინამიკის მიხედვით შიდა ქართლის რეგიონში ტურისტებისა და ვიზიტორების ნაკადები საგრძნობლადაა გაზრდილი, რაც დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.[29] თუმცა, აღსანიშნავია რომ ტურისტული ობიექტების დამთვალიერებელთა დიდი ნაწილი ვიზიტორები არიან და არა ტურისტები, რასაც თავის მიზეზები გააჩნია (ერთდღიანი ვიზიტორები, განთავსების საშუალებებისა და საწოლების მცირე რაოდენობა და სხვ.) აღსანიშნავია, რომ ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობის მატების განმაპირობებელ ფაქტორთა შორის პირველ რიგში საჭიროა:

- რეგიონულ დონეზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები;
- ზოგადად ქვეყანაში მოსალოდნელი საფრთხეების პრევენცია;
- ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით სპეციალური სიუჟეტები საქართველოზე მსოფლიოს წამყვან ტელეკომპანიებში;
- კარგად განვითარებული აგრარული სექტორი და სხვ.

ბუნებრივია, შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით სოფლის მეურნეობას განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მცირე საოჯახო მეურნეობებში დაახლოებით რეგიონის მთლიანი მოსახლეობის 80%–ია (254 000 კაცი) დასაქმებული.[30]

დიაგრამებში 2.1 და 2.2 -ში ნაჩვენებია, რომ 2013 – 2014 წწ გამოკვეთილი ტემპით იწარმოება სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ვითარდება სასოფლო – სამეურნეო ნათესი ფართობები. ბოსტნეულის ნათესებმა 5.4 ატას ჰექტარს მიაღწია. განვითარდა მემცენარეობა, მეხილეობა. უპირატესად იწარმოება ვაშლი 67,2 ატასი

[29] http://www.gnta.ge/upload/file/2010_%E1%83%AC.pdf

[30] **Irakli Merkvilishvili**,*Agriculture development in Shida Kartli*, June2011.

ტონა (2014 წლის მონაცემებით). ამ პერიოდში გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები, რაც განთავსების საოჯახო ტიპის სასტუმროების ქსელის გაზრდასთან ერთად, ავითარებს რეგიონის ეკონომიკას, ზრდის დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის აქტივობას ტურიზმის სფეროში, მათ შემოსავლებს, იწვევს სეზონური მიგრაციის კლებას და განაპირობებს ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას [77].

სასოფლო სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები შიდა ქართლის რეგიონში (1000ჰა) დიაგრამა 2.1.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცემულ პერიოდში ხილის წარმოების მაჩვენებლებს შორის დიდი უპირატესობით იწარმოება ვაშლი. რაც შეეხება ატმის წარმოებას, ამ ბოლო პერიოდში შიდა ქართლში შეინიშნება მისი კლების ტენდენცია.

დიაგრამა 3.13 ხილის წარმოება 1000 ტონა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ქართლის რეგიონის სოფლის მეურნეობაში მეტ-ნაკლებად მიღწეული წარმატებების მიუხედავად, უნდა შევეხოთ სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: [29]

- სასოფლო-სამეურნეო კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების არსებობა;
- სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო სისტემის განუვითარებლობა;
- სარწყავი სისტემის გაუმართაობა;
- ნაკვეთებთან მისასვლელი შიდა გზების მოუწესრიგებლობა;
- ადგილობრივ ფერმერების მხრიდან ახალი ტექნოლოგიებისადმი გარკვეული უნდობლობა, რაც ხელს უშლის ახალი ჯიშების დანერგვას;
- ხარისხიანი სათესლე მასალებისა და შხამ - ქიმიკატების ხელმიუწვდომელობა;
- შიდა ქართლის რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განუვითარებლობა, მათ შორის ხილის ჩირის მასშტაბური წარმოება, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა დასავლეთის ქვეყნებში;
- ადგილობრივი ფერმერებისათვის მუნიციპალურ დონეზე სასოფლო-სამეურნეო სფეროში არსებულ სტატისტიკური მონაცემების ხელმიუწვდომლობა;
- ძალზე მწირია მცირე ფერმერთა (კოოპერირების) გაერთიანებების პრაქტიკა;

- არ ხდება სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების მუდმივი შესწავლა-ანალიზი. [25]

სპეციალური განხილვის საგანს წარმოადგენს რეგიონის საგზაო ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება სახელმწიფოებრივ გზებს, რომელიც შიდა ქართლის ტერიტორიაზე გადის საკმაოდ მოწესრიგებულია, ხოლო მუნიციპალური გზები ოთხივე რაიონში აუცილებლად და დროულად მისახედია, რამეთუ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სოფლებშია გაბნეული უნიკალური, ჩვენამდე შემორჩენილი სხვადასხვა დროის უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ტერიტორია მდიდარია ლამაზი ბუნებრივი და არქიტექტორული ლანდშაფტებით, მთებით, მდინარეებით, ტბებით და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლის რეგიონს ტურიზმის განვითარების დიდი პერსპექტივა გააჩნია, არსებული პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილია ათვისებული, დანარჩენი კი აუთვისებელი და გამოუყენებელია. მოსასწესრიგებელია ტურისტული ინფრასტურქტურის ძეგლებთან მისასვლელი გზები, გზებზე რუკების და აბრების განთავსება, კულტურულ-მოსასვენებელი და კვების ობიექტების გზამკვლევები და ა.შ. რაც ართულებს ამ ტერიტორიების გამოყენებას ტურისტული დანიშნულებით.

უაღრესად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საკითხი. ამ პრობლემის გადაწყვეტა სრულიად შესაძლებელია სახელმწიფოებრივი მიდგომით. ნაბიჯ-ნაბიჯ, განუწყვეტელი ტემპით უნდა ხდებოდეს მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარი, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების განმაპირობებლი ყველა ნაკლოვანი მხარის გამოსწორება, გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლით ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტებთან, კულტურის ძეგლებთან, ტაძრებტან, არქიტექტორულ კომპლექსებთან და ა.შ. [24] მისასვლელი გზების ეკოლოგიურად მდგრადი ქსელის პროექტის შემუშავება და განხორციელება. სასტუმროების, საოჯახო სასტუმროების, მათშორისი დამაკავშირებელი გზების, განთავსების საშუალებებში შესაბამისი კომფორტული პირობების შექმნისათვის, კვების ობიექტების ხარისხიანი საკვებით მომარაგების, დასვენების ადგილების კულტურული კეთილმოწყობის, ხელნაკეთი ნივთების ტრადიციის ეფექტური აღორძინებისათვის განუწყვეტელი თავდაუზოგავი მიზანმიმართული მუშაობა. ამ საკითხების გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს კომპლექსური, პერსპექტივაში ერთიანი ხედვის ჭრილში. ამ სამუშაოების დროს აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს მიწის, ჰაერის, წყლის, ფლორის, ფაუნის კადასტრის ცვლის

მონიტორინგ. გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რათა გრძელვადიან პერიოდში თავი არ იჩინოს გაუთვალისწინებელმა ჩავარდნებმა, შეფერხებებმა. უნდა ხდებოდეს ტურისტული ინფრასტრუქტურის მარკეტინგული დანიშნულების სამსახურების ყველა ნიუანსის სწორი შეფასება და მომგებიანი მოთხოვნა-მიწოდების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს თავისთავად იძლევა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საშუალებას. ამავე დროს, საოჯახო სასტუმროების რაოდენობის ზრდა, ტურისტული ცენტრების შექმნა, კვებისა და დასვენების ობიექტების სრულყოფა, ახალი მარშრუტებისა და ბიზნეს იდეების შემოთავაზება (მოსახლეობის აქტიური ჩართულობით) იქნება რეგიონში შემოსავლების, მოსახლეობის დასაქმების, ტურისტული ნაკადების სამომავლო ზრდის და საერთოდ რეგიონის მაღალი ეკონომიკური განვითარების საწინდარი. [29]

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ გორსა და ქარელის რაიონებში ხალხური რეწვა პრაქტიკულად არ არის განვითარებული. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა ხაშურის და კასპის მუნიციპალიტეტებში, სადაც წარმოებული ძირითადი პროდუქცია იყიდება საავტომობილო გზების გასწვრივ.

შიდა ქართლის რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეების, აგრეთვე შესაძლებლობებისა და საფრთხეების წარმოსაჩენად გამოვიყენეთ SWOT ანალიზის მეთოდი, რომელმაც დაგვანახა, რომ მიუხედავად რეგიონის დიდი ტურისტული პოტენციალისა, ჯერ კიდევ არ ხდება ამ პოტენციალის სრული გამოყენება.

S – ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
• მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა; • მრავალფეროვანი ლანდშაფტი და ეკოსისტემების ნაირსახეობა; • ტრადიციული ხალხური რეწვის კერების არსებობა; • შიდა ქართლის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება;	• შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში კერძო ტურისტული სააგენტოების არარსებობა; • კოორდინაციის დაბალი ხარისხი დედაქალაქში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არსებული ტურისტული ობიექტებს შორის; • ტურისტული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავების საკითხი; • მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პერიფერიული გზების მოუწესრიგებლობა; • სანიშნე დაფების და ქუჩების ნიშანდების საერთაშორისო ენაზე არარსებობა;

	• ტრანსპორტის განრიგის საერთაშორისო ენაზე არ არსებობა; • მომსახურების ობიექტებში ენობრივი ბარიერის არსებობა; • გასართობი ადგილებისა და ობიექტების სიმცირე; • განთავსების საშუალებების ნაკლებობა.
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
• აუთვისებელი ტურისტული დანიშნულების ადგილები; • შიდა ქართლის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება; • ტურისტული ნაკადების ზრდის მაჩვენებელი; • შიდა ქართლის ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობა.	• რეგიონში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარება; • ინვესტიციების არასტაბილურობა; • რუსული აგრესიის მოსალოდნელი საფრთხე.

ცნობილია, რომ საქართველოს ყველა რეგიონი გამოირჩევა თავისი უნიკალური განსაკუთრებულობით, დამახასიათებელი ფლორით, ფაუნით, ჰავის თავისებურებებით, მრავალფეროვანი ბუნებრივი, კულტურული და არქიტექტორული ლანდშაფტებით, ისტორიულ – კულტურული ძეგლებით, კოშკებით, ტაძრებით, მონასტრებით, ნაკრძალებით, ჩანჩქერებით, მდინარეებით, ტბებით, სამკურნალო დანიშნულების მინერალური წყლებით და სამკურნალო ტალახებით, კარსტული მღვიმეებით და სხვ. მიუხედავად ამისა, დღესაც არ არის მრავალი მაღგანი ჩართული ტურისტულ მარშრუტებში, ან თუნდაც ერთი რეგიონის ტურისტული დანიშნულების ობიექტი არ არის ჩართული სხვა რეგიონის ტურისტული მარშრუტის სქემაში.

მაგალისთისათვის შეგვიძლია შემოგთავაზოთ შიდა ქართლის უაღრესად მიმზიდველი ტურისტული დანიშნულების მქონე ობიექტები, რომელთაგან ნებისმიერი მათგანის ჩართვა საქართველოს სხვა, ნებისმიერი რეგიონის ტურისტულ მარშრუტში ეფექტურად გაზრდიდა ტურისტების დაინტერესებას, რამეთუ მათ მიეცემათ უნიკალური საშუალება გაეცნონ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის

მრავალი პარამეტრების მიხედვით არსებულ, როგორც მკვეთრ განსახვავებულობას, ისე მათი ერთიანობის მახასიათებლებს.

ქალაქ გორის ტერიტორიაზე მდებარეობს გვიანდელი ფეოდალური ხანის, ნატეხი ქვით ნაგები ერეკლეს აბანო, რომლის კონსტრუქციის ნაწილები: კედლების კუთხეები, შეისრული თაღები, ნახევარსფერული გუმბათები და სასინათლო ხვრელები აგურით ნაწყობი. აბანო შედგება ორი სათავსოსგან, რომელთაც სამხრეთიდან ცალ-ცალკე შესასვლელები გააჩნია. აბანოს აღმოსავლეთ კედელში მოგვიანებით კიდევ ერთი კარი გაუჭრიათ. სათავსები გადახურულია შეისრულ თაღებზე დამყარებული გუმბათით. აღმოსავლეთ სათავსის გუმბათში გაჭრილია შვიდი წრიული ხვრელი, ხოლო დასავლეთში ოთხი. სათავსებს ყოფს 1 მეტრი სიმაღლის გადამღობი კედელი, რომელშიც გაჭრილია ორი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა ხვრელი. მსგავსი ხვრელებია აღმოსავლეთ სათავსის კედელშიც. [35]

გორის მუნიციპალიტეტში ტურისტებმა შეიძლება მოინახულონ ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ვარიანი); ნ. ლომოურის სახლ-მუზეუმი (სოფ. ძევერა); ს. მაკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; ამილახვრებისა და მაჩაბლების ყოფილი სასახლეები (XIX ს.); გორის და შინდისის ციხეები; ვერეს, აჩაბეთის და სევერის ციხეები; კულტურის და დასვენების პარკები; გ. ერისთავის სახელობის დრამატული თეატრი და სხვ.

ამავე მუნიციპალიტეტში არის შემდეგი ღირსშესანიშნაობები: ჩანჩქერი (თხილნარის ხეობაში, სოფელ ბიისთან); 60 მეტრიანი ჩანჩქერი ატენის ხეობიდან მეშვიდე კილომეტრზე, რომელიც 4 თვის მანძილზე გაყინულია და საუკეთესო საშუალებაა რეგიონში ალპინიზმის განვითარებისათვის; თბილი წყლები – ატენიდან მეთექვსმეტე კილომეტრზე, ბიისში 1000 მეტრის სიმაღლეზე, რომელიც სამკურნალო ტურიზმის განვითარების საუკეთესო საშუალებაა; “ჯამჯამა” – ულამაზესი მწვერვალი ატენიდან 30 კილომეტრის დაშორებით, 2200 მეტრ სიმაღლეზე, რომელიც აგრეთვე საუკეთესო საშუალებაა ალპინიზმის განვითარებისათვის. [35]

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასოცზე მეტი ანტიკური, ბრინჯაოს ხანის, ადრეული და გვიანი შუა საუკუნეების პერიოდის ტაძრები, ციხეები, ციხეთა კოშკები, გალავნების ნაშთები და სხვ. არის შემორჩენილი.

ვერესციხე, ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, მდებარეობს მდინარე ვერეს ხეობაში. ანსაბლის ცენტრში VII საუკუნის სამნავიანი ბაზილიკაა აღმართული. აქვს შესასვლელები სამი მხრიდან. ბაზილიკის ნავები გამოყოფილია სვეტების ორი წყვილით. შეინიშნება XI საუკუნის დროინდელი კაპიტალური შეკეთების კვალი, განსაკუთრებით ფასადებზე. მონასტრის ქვემოთ, კლდოვან ქედზე IX – X საუკუნის ციხის ნანგრევებია. ციხე ნაგებია რიყის ქვით, ნაგებობა დაზიანებულია. ერდობებზე 4 - 5 მეტრის სიმაღლეზე სემორჩენილია კლდეები. ციხის აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეები მთავრდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის მქონე კოშკებით. აღმოსავლეთის კოშკიდან გადარჩენილია მხოლოდ კონტური. ციხის ეზოში დიდი წყალსაცავია. ციხე სტრატეგიული მნიშვნელობისაა, საიდანაც მოსჩანს ატენის ხეობა და გორი მისი მიდამოებით. ვერეს ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიები შედიოდა თბილისის საამიროში და ატენის ციხესთან ერთად მონაწილეობდა ქართლის შემოერთებისსათვის წარმოებულ ბრძოლაში. [35]

ვერეს ციხეზე მისასვლელი გზა სოფელი ატენიდან იწყება და მიუყვება ვერეს ხევს, ამიტომ ძეგლამდე ავტომობილით მისვლა შეუძლებელია (მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომობილით არის შესაძლებელი), შესაბამისად ძეგლამდე მისვლა ჩვეულებრივ ფეხით ან ცხენით ხორციელდება.

საყოველთაოდ ცნობილია ტურიზმის ეფექტური განვითარებისათვის სასტუმრო ინდუსტრიის სრულყოფის მნიშვნელობა. სასტუმრო უნდუსტრიას შეადგენს კოლექტიური და ინდივიდუალური განთავსების სხვადასხვა საშუალებები: ტურისტული ბანაკები, სასტუმროები, მოტელები, საოჯახო სასტუმროები და სხვ.

გორის მუნიციპალიტეტში სასტუმროების მხრივ სრულიად არასახარბიელო მდგომარეობაა. გორში არსებობს მხოლოდ სამი კოლექტიური განთავსების სასტუმრო: “ვიქტორია”, “გორი”, “ინტურისტი” და ორი კერძო საოჯახო სასტუმრო. ამ სასტუმროებში ერთობლივად მხოლოდ 72 ადამიანის მიღებაა შესაძლებელი:

- სასტუმრო ვიქტორია – 16 ნომერი, 32 ადამიანი;
- სასტუმრო გორი – 8 ნომერი და 1 ლუქსი, 20 ადამიანი;
- სასტუმრო ინტურისტი - 8 ნომერი და 1 ლუქსი, 20 ადამიანი;

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ სასტუმროთაგან ვერც ერთი ვერ სთავაზობს სტუმრებს ხარისხიან მომსახურებას. სასტუმროებს "ვიქტორიას" და "გორს" გააჩნიათ გათბობისა და კონდიცირების მოწესრიგებული სისტემები, საკონფერენციო დარბაზი, კაფე – ბარი და უზრუნველყოფს მხოლოდ საუზმით. შასტუმრო "ინტურისტში" მხოლოდ ლუქსის ტიპის ნომერია უზრუნველყოფილი ცხელი წყლით.

ტურიზმში კვების საკითხს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. კვების სპეციფიკა, ეროვნული სამზარეულო ადგილობრივი კულტურის და სტუმრთმასპინძლობის შემეცნების მნიშვნელოვანი ელემენტია. ჩვეულებრივი და აუცილებელი მოთხოვნების გარდა კვება განიხილება, როგორც გართობის და ადგილობრივი ტრადიციის გაცნობის საშუალება. გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი კვების შისტემა მოიცავს: რესტორნებს, ბარებს, კაფეებს, სასადილოებს და სწრაფი კვების სხვა დაწესებულებებს. ამ მხრივ გორში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, რადგან არსებულ სხვდასხვა ტიპის კვების ობიექტებში, რესტორნებში, ლუდის ბარებში და სხვ. შესაძლებელია ქართული მრავალფეროვანი ტრადიციული კერძების და ადგილობრივი სასმელების დაგემოვნება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ ობიექტზე მომსახურების დონე ვერ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, რისთვისაც უნდა ტარდებოდეს თანამსრომლების სათანადო ტრენინგები; მათი ჩაცმულობისათვის უნდა შემუშავდეს სპეციალური ფორმები; ყურადრება უნდა მიქცეს კერძების გაფორმების მეთოდოლოგიას.

უდიდეს ინტერესს იწვევს ტურისტებში გორის მუნიციპალიტეტში არსებული მრავალი ისტორიული და კულტურული ძეგლი, კოშკები, ტაძრები, ქვით ნაგები ციხე – კოშკები, ციხე – სიმაგრეები, მთებსა და სოფლებში უხვადაა წარმოდგენილი ნასოფლარები. ოფიციალური მონაცემებით (კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო) ამ რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის 136 ძეგლია, რომელთაგან 53 უშუალოდ გორში მდებარეობს. [35]

გორიდან სამი კილომეტრის მანძილზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მთაზე შემორჩენილია XVII საუკუნეში ნაგები გორიჯვრის არქიტექტორულ – ისტორიული ძეგლი გალავნით. დღემდე შეუსწავლელია ამ ნაგებობის ორი სართული, თუმცა აღსანიშნავია ძეგლზე დამონტაჟებული დეკორატიული განათება, რაც ღამით

ქალაქიდან სესანიშნავ ვიზუალურ ეფექტს ქმნის. ცენტრალური გზიდან ძეგლთან მიმსასვლელი კილომეტრნახევრიანი გზის მონაკვეთი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას. აგრეთვე კეთილმოუწყობელია ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაც. ძეგლთან ახლოს მდებარე ეგრედწოდებული სამსხვერპლოს ტერიტორია დაბინძურებულია. ქართული ტრადიციის თანახმად ადგილობრივი მოსახლეობა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას სწირავს მსხვერპლს, რის შემდეგ არ ხდება დასუფთავება, რაც ანტისანიტარიას განაპირობებს. მოსახლეობას ამ მხრივ მეტი კულტურა მოეთხოვება, ხოლო მუნიციპალიტეტმა ჯეროვანი ყურადღება უნდა გამოიჩინოს აღნიშნულ ტერიტორიაზე დასუფთავების უზრუნველსაყოფად, კერძოდ დააწესოს და მკაცრად გაატაროს კანონით დაწესებული (და თუ არ არსებობს ასეთი კანონი წინადადებით შევიდეს პარლამენტში ყველა შესაძლო სანქციის შესაბამისი კანონმდებლობით უზრუნველყოფას) სანქციების, აკრძალვების, ჯარიმების და ა.შ. ეფექტური ქმედება. [35]

ტურისტული დანიშნულების ამ რეგიონში გამოირჩევა კურორტი "გორიჯვარი". აღიარებულია ამ კურორტის უნიკალური სამკურნალო მინერალური – სააბაზანე წყლები, რომლითაც მკურნალობენ: [35]

- ქრონიკულ ართრიტებს (ინფექციური, რევმატიული, ტრამვული და ენდოკრინილი წარმოშობის);
- პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებს (ნევრიტები, ნევრალგიები, რადიკულიტები და სხვ.);
- ნერვული სისტემის ფუნქციურ დაავადებებს;
- ტრომბლოფლებიტებს;
- ანგიონევროზებს;
- ჰიპერტონული დაავადების I სტადიას;
- კარდიოსკლეროზებს;
- მსუბუქი წარმოშობის სპონდილოზნებს;
- საშვილოსნოს და მისი დანამატების ქრონიკულ ანთებად პროცესს.

სამწუხაროა და დაუშვებელია, რომ ასეთი უნიკალური კურორტი დღეს უფუნქციოდ არის დარჩენილი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე კლდეში ნაკვეთი სამი უმნიშვნელოვანესი და უმშვენიერესი დიდი ძეგლია დაცული: უფლისციხე, ვარძია და გარეჯი. ანტიკურობით განსაკუთრებით გამოირჩევა უნიკალური უფლისციხე, არქეოლოგიური გათხრები მომწმობს, რომ უფლისციხე, როგორც კლდეში ნაკვეთი სამოსახლო, 2000 წლით უფრო ადრე წარმოიქმნა ვიდრე ვარძია და 1500 წლით ადრე ვიდრე გარეჯი. [35]

თავისი უბადლო არქიტექტურული ბრწყინვალებით გამორჩეული უფლისციხე დაუფარავ აღტაცებას იწვევს და ხიბლავს მნახველებს. უფლისციხე გორიდან მეთორმეტე კილომეტრზე, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს, კვერნაკის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ადვილად დასამუშავებელ ქვიშაქვის მასივში, უკავია 95 ჰა ფართობი. უფლისციხე შედგება სამი უბნისაგან და შეიცავს ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტიკური ხანის შიდა ქალაქისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ კომპონენტებს: რამდენიმე შესასვლეს, ზღუდეს, თხრილებს, გვირაბს, წყალსადენს და წყალსაწრეტების არხების მნიშვნელოვან ქსელს. სრულიად ნათლად იკვეთება, რომ უფლისციხე უძველესი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო, რომ აქ განვითარებული იყო მევენახეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობდა და მეურნეობის სხვა დარგები. ყოველივე ამას მოწმობს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი მასალები, როგორიცაა აგრარული კულტების სალოცავი, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ქვის, ძვლის, თიხისგან ნაკეტები მრავალფეროვანი, მხატვრული სინატიფის მქონე სამკაულები; გამოვლინდა კლდეში ნაკვეთი საწნახელები, ვაზის სასხლავი დანები, რკინის სახნისი და სხვ. [35]

უფლისცხის ჩრდილოეთით, შვიდასი - რვაასი მეტრის დაშორებით, ამაყად წამოჭიმულა კლდეკარი (ათი მეტრი სიმაღლის და სამი-ოთხი მეტრით სიგანეში). იგი ჩვ. წ. აღრიცხვამდე VI – V საუკუნეებშია გამოკვეთილი და კავკასიის უძველეს ძეგლებს შორის, ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. კლდეკარი შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო – სატრანზიტო გზის მონაკვეთია. ქალაქის შედარებით შემაღლებულ ადგილზე დგას აგურით ნაშენი IX – X ს. სამნავიანი ბაზილიკა. [35]

უფლისციხის მიმართულებით, გარდა მუზეუმ – ნაკრძალისა, ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაციისათვის შემდეგი მიმზიდველი და მნიშვნელოვანი

ისტორიულ – კულტურული ობიექტებია: ავკეთი (ქვახვრელი); ბამბების ნამოსახლარი; კილაანთ ეკლესია; კლდის წყაროს ნამოსახლარი; კლდის ფარეხი; ღვთისმშობლის ეკლესია; ყათლანის ხევის ნამოსახლარი და სხვ. ამრიგად, უფლისციხე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული, პერსპექტიულად ტურისტული დანიშნულების ობიექტები რეგიონში ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაფართოების და მაღალ დონეზე განვითარების უაღრესად მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ხოლო თვით უფლისციხე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. [35]

გორის ციხე პირველად ისტორიულ წყაროებში VII-ე საუკუნეებში მოიხსენიება. გორის ციხის ადგილას, ძვ. წ. აღრიცხვის პირველი ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში, ძლიერი ციხე-სიმაგრე ყოფილა, რომლის გარშემო მოსახლეობა ცხოვრობდა. გორის ციხე დგას ქალაქის ცენტრში, კლდოვან ბორცვზე. გორის ციხე ერთ-ერთი უძლიერესი და კარგი კონსტრუქციის არქიტექტურული ძეგლია მთელი საქართველოს მასშტაბით. გორის ციხის მნიშვნელოვანი ნაწილი განვითარებულ ფეოდალურ ხანას განეკუთვნება, ნაწილი კი – XVII საუკუნუს შუა ხანებს. გორიც ციხე განლაგებულია ზედა პლატოზე მდებარე – ოვალური ციტადელის სახით და დასავლეთ ფერდობზე ცხრაკარის სახით. ციტადელის აღმოსავლეთ მონაკვეთებში XI – XII საუკუნის დროინდელი მცირე ეკლესიის ნანგრევებია. უაღრესად დიდი იყო გორის ციხის, როგორც სტრატეგიული დანიშნულების მქონე ნაგებობის მნიშვნელობა, რამეთუ მისი დაუფლება ნიშნავდა ბატონობას მთელს შიდა ქართლზე. [35]

სანაქებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ციხსეთან მისასვლელი გზა მოსაფალტებულია და კარგ მდგომარეობაშია. ამასთან, 2007 წელს დაიგო ფეხით ასავლელი დანიშნულების ქვაფენილი, რაც უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა დიდ ნაკლად ჩაითვლება ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სპეციალური, ტურიზმის შემდგომ განვითარების უზრუნველმყოფი აუცილებელი (კაფე-ბარები, დასავნებელი ადგილი, სუვენირების, ტურისტული დანიშნულების ჯიხურების, იმპროვიზირებული სანახაობებისათვის) აუცილებელი შესაბამისი ობიექტების არარსებობა. გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მოუწესრიგებელია ძველი ქალაქის ამსახველი იერსახე და სხვ.

რაც შეეხება ატენის სიონს, ის გორიდან 12 კილომეტრის მანძილზეა. ძეგლამდე მისასვლელი გზა მოასფალტებულია, გზაზე დადგმულია ძეგლის მიმართულების

საგზაო ნიშნები. გორიდან ძეგლამდე მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, როგორც გორი ატენის, ასევე გორი ბოშურის მიმართულებით. აქაც გვაქვს ნაკოლვანი მხარე – გზაზე არ არის განათების სისტემა, რაც მუნიციპალიტეტის და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (გარკვეულ შემთხვევებში) არასაკმარისად კოორდინირებულ ურთიერთობაზე მიუთითებს. ატენის ხეობა განსაკუთრებით მიმზიდველია ეკოტურიზმისა და კულტურული ტურიზმის მოყვარულთათვის. ამ ხეობაში 76 ისტორიული და კულტურული ძეგლილა. ულამაზესი ბინება, შესანიშნავი ხედები და განსაკუთრებით გოგირდოვანი წყლები უფრო მიმზიდველს ხდის ატენის ხეობას. სიონის ტაძრიდან 5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფელი ბიისი, რომელიც განთქმულია სამკურნალო დანიშნულების გოგირდოვანი წყლებით. უდავოა, რომ ასეთი ადგილის რეკლამირება, კეთილმოწყობა და ტურისტების ინფორმაციით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს ხეობაში მომგებიანი სამკურნალო ტურიზმის განვითარებას. შიდა ქართლის ტერიტორიები საკმაოდ მდიდარია სამონადირეო – სარეწაო რესურსებით, თევზსარეწი ადგილებით, რომელთა ათვისება ტურისტული დანიშნულებით მეტად აქტუალურია. [35]

ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნების ძეგლებიდან აღსანიშნავია რამდენიმე ტბა, მათგან: ბატეთის ბუნებრივი ტბა, ოქროსოფლის და ბებნისის ხელოვნური ტბები. ბუნების ძეგლებიდან აღსანიშნავია ასევე კარსტული მღვიმე, აბუხალოს და თრეხვის გამოქვაბულები. აბუხალოსთან არის 25მ. სიმაღლის ჩანჩქერი, რომელიც ულამაზესი და საინტერესო ძეგლია. [35]

ტურისტული მიზნით გამოიყენება მდინარე ძამას ულამაზესი ხეობა, ასევე უძველესი ისტორიული სოფლების რუისისა და ურბნისის ტერიტორიები უამრავი ეკლესია – მონასტრებით. საინტერესოა ასევე ტურისტული პოტენციალის მხრივ ხვედურელას ხეობა განუმეორებელი ლანდშაფტებით. ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია 1720 ისტორიული ექსპონანტი. ქარელის მუნიციპალიტეტში, გორთან შედარებით, უფრო მეტი ეკლესია-მონასტრებია (131), მათგან 34 მამათა და 10 დედათა მონასტერია. [35]

ეკლესიებიდან აღსანიშნავია ღვთისმშობლის სახელობის 13 ეკლესია, რუისის კვირაცხოვლობის ეკლესია, კეხიჯვრის წმ. სამების ეკლესია, ქარელის ყოვლაწმინდა სამების საკათედრო ტაძარი, ურბნისის საკათედრო ტაძარი და წმინდა ნინოს ეკლესია, ქარელის სამების საკათედრო ტაძარი და მრავალი სხვა. დანართებში №3 და №4

წარმოდგენილია კასპისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები, როგორც ადამიანების, ისე ბუნების მიერ შექმნილი ძეგლები. შიდა ქართლის ტერიტორიაზე, კერძოდ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მინერალური წყლებით მდიდარი ცნობილი კურორტები დაბა სურამი და ქვიშხეთი. [35]

დაბა სურამი – კლიმატური ტიპის კურორტი სულფიდური მინერალური წყლებით, მდებარეობს ლიხის ქედის სამხრეთ კალთებზე, ქ. ხაშურის ჩრდილო დასავლეთით 4 კმ-ზე, ორი მნიშვნელოვანი გზის გასაყარზე, ზღვის დონიდან 900-1000 მეტრზე. ის, სარკინიგზო ხაზით, დაკავშირებულია ხაშურთან. სურამი სამთო-კლიმატური კურორტია. დაბა სურამში მოედინება მდ. სურამულა, რომელიც სათავეს იღებს ლიხის ქედის აღმოსავლეთით. გავრცელებულია ფიჭვნარ-ნაძვნარი სარტყელი. 1948 წელს სურამი გამოცხადდა რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად. იგი გამოირჩევა სამკურნალო მინერალური წყლების არსებობით. კერძოდ, სამკურნალოდ გამოიყენება ბუნებრივი გოგირდის მინერალური წყლები. აქ არის ლესია უკრაინკას სახელობის სახლ-მუზეუმი, მე-11 საუკუნის ისტორიული ძეგლი სურამის ციხე და ეკლესია; ქვიშხეთი – კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი სულფიდური წყლის ტიპით. მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 730 მეტრზე, რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 10 კმ-ით. იგი სამთო კლიმატური კურორტია, მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, შეფენილია ლიხის ქედზე. იგი მთლიანად მოქცეულია წიწვოვან-ნაძვნარ და შერეული ტყის შუაგულში. ქვიშხეთი ოდითგანვე ცნობილია საკურორტო ზონად. ქვიშხეთში მდებარეობს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი. მრავლად არის ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, ეკლესიები. აქაური კლიმატი განსაკუთრებით სასარგებლოა მოზარდებისათვის. მდიდარია წყაროსა და მინერალური წყლებით. [35]

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 30-მდე მნიშვნელოვანი ისტორიული და კულტურული ობიექტი მდებარეობს, რაც ტურისტებისთვის მნიშვნელოვანი ინტერესის წყაროა. ესენია: ხოვლე – ბალნეოლოგიური კურორტი ართროლოგიური სამედიცინო პროფილით, სულფიდური მინერალური წყლის ტიპი. მდებარეობს ზღვის დონიდან 780 მეტრზე. ბუნებრივი მნიშვნელობის სამკურნალო საშუალებაა გოგირდოვანი წყალი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ფუნქციონირებდა გოგირდოვანი წყლების ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი. შეზონური კურორტია 1 თვის განმავლობაში. ახალქალაქი – მდებარეობს ზღვის დონიდან 1040 მეტრზე.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია მაღალი მთის კლიმატი. გოსტიბე – პროფილაქტიკური, პულმინოლოგიური, ნევროლოგიური სამედიცინო პროფილით. მდებარეობს ზღვის დონიდან 1400 მეტრზე. მთის კურორტზე მკურნალობის ძირითადი საშუალებაა სამკურნალო თვისებების მქონე ჰავა. რკონი – ზღვის დონიდან მდებარეობს 950 მეტრის სიმაღლეზე, მაღალი ჰაერის გამო სასარგებლოა ბავშვებისა და მოზარდებისათვის, ამიტომ აქ ფუნქციონირებდა ს/ს „კასპიელექტროაპარატის“ დასასვენებელი სახლი ხის კოტეჯებით, რომელიც იყო კეთილმოწყობილი. დროთა განმავლობაში კოტეჯები დაზიანდა და საჭიროებს შეკეთებას, იგი ისევ ს/ს „კასპიელექტროაპარატის“ განკარგულებაშია. გარიყულა – ზღვის დონიდან მდებარეობს 470 მეტრის სიმაღლეზე, იგი განსაკუთრებით სასარგებლოა ასთმით დაავადებულთათვის. [35]

გარდა ზემოთაღნიშნულისა, შიდა ქართლის სხვადასვა ტერიტორიები მდიდარია ასევე სამონადირეო-სარეწაო რესურსებით, ხოლო მდინარეებთან ახლოს წყლის რესურსებთან ერთად თევზსარეწი ადგილები. მდ. თეძმის ხეობაში სამოჭალო – რკონის ხეობაში არსებობს სამონადირეო სახლი; კავთურის ხეობა, გოსტიბის მთა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვა ადგილები სამონადირეო ტურიზმისათვის სასარგებლო კომპლექსის მოწყობის საშუალებას იძლევა. ამასთან, სამონადირეო მეურნეობის შექმნა მხარის ფლორისა და ფაუნის დაცვისა და მის შემდგომი მდგრადი განვითარების საფუძველი იქნება. ასეთია შიდა ქართლის კულტურული ობიექტების დამახასიათებელი ძლიერი მხარეები.

რა ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის? ეს ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- რეგიონის ტერიტორიაზე სავალალო მდგომარეობაა დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თვალსაზრისით;
- რეგიონი განიცდის გართობისა და დასვენების ობიექტების დეფიციტს;
- მოსაწესრიგებელია ტურისტული დანიშნულების ობიექტების არეალში საპირფარეშოებით უზრუნველყოფა;
- აუცილებელია რეგიონში ჰოსპიტალური სექტორის მოწესრიგება;

- რეგიონში გამონაკლისების გარდა მოუწესრიგებელია შიდა გზები, რაც თავის მხრივ აფერხებს ტურისტების გადაადგილებას ტურისტული დანიშნულების ობიექტებთან;
- რეგიონში ნაკლებად დამაკმაყოფილებელია მომსახურების სფეროს საქმიანობა;
- რეგიონის ვაჭრობის სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება ძალიან დაბალია და კლების ტენდენციით ხასიათდება (დაახლოებით 200 ლარი); [28]
- ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რეგიონში არ ხდება რესურსების სწორად გამოყენება, მათი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ჩართვა;
- რეგიონში ტურიზმის სფეროში არ არიან საკმარისი კომპეტენტური კადრები, რისთვისაც აუცილებელია შეიქმნას თანამედროვე სასწავლო პროგრამები და ადგილობრივ აკადემიურ პერსონალთან ერთად საჭიროა შესაბამისი სფეროს უცხოელი ექსპერტების მოწვევა და სხვ.;
- რეგიონის უმაღლეს სასწავლებლებში აუცილებელია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო და ტურიზმის მიმართულებით;
- შიდა ქართლის რეგიონის არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს საკემპინგე ადგილები, სადაც ტურისტები შეძლებდნენ რამდენიმე დღით განთავსებას;
- მინიმალური სტანდარტებით და მომსახურების დაბალი ხარისხისთ ხასიათდება შიდა ქართლის რეგიონში არსებული სასტუმროები და ე.წ. “გესთჰაუზები”;
- აუცილებლად უნდა აღინიშნოს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში არ ფუნქციონირებს არცერთი ტურისტული სააგენტო. მოგზაურობის კოორდინაციას უზრუნველყოფს თბილისში მოქმედი ტურისტული სააგენტოები, ამის გამო ვერ ხდება შიდა ქართლში არსებული ობიექტების სრულფასოვნად და ჯეროვნად ათვისება და შესაბამისად, ტურისტული დანიშნულების ახალი ობიექტების ჩართვა სასურველ ტურისტულ მარშრუტებში;
- სავალალოდ დაბალია კოორდინაციის ხარისხი თბილისში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და შიდა ქართლის რეგიონში არსებული

ტურუსტული ობიექტების წარმომადგენლებს შორის, რის შედეგადაც ტურისტთა ნაკადები სტუმრობენ მხოლოდ ცალკეულ ტურისტულ ობიექტებს და ვერ ხერხდება რეგიონის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენება. ამიტომ აუცილებელია აქტიურად ამოქმედდეს სახელმწიფოებრივი სისტემური მიდგომა რეგიონში და საერთოდ ქვეყანაში, ტურიზმის ინფრასტრუქტურის ყველა არსებული პრობლემის დადებითად გადასაწყვეტად.

აღნიშნული პრობლემები არამარტო შიდა ქართლში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც აღინიშნება. მაგალითად, რიგ რეგიონებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ცენტრალიზებული გატანის არასებობა რეგიონების ტერიტორიიდან, მოსახლეობას იძულებულს ხდის ნარჩენების გადასაყრელად გამოიყენონ მდინარეები, მდინარის ხეობები, უკონტროლოდ დარჩენილი ადგილები, რაც ქმნის უსუფთაობის, ანტისანიტარიის პირობებს, გარემოს უქმნის ეკოლოგიურ საფრთხეს. პრობლემის წინასე დგას დაბინძურებული ტერიტორიის მოსახლეობა, შინაური და გარეული ცხოველები, თევზები. ბინძურდება მდინარეთა ჰიდროსფერო.

მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, შიდა ქართლის რეგიონს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. აქ შეიძლება განვითარდეს ეკოტურიზმის სხვადასხვა სახეობა, ექსტრემალური ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, კულტურულ-დასასვენებელი ტურიზმი, აგროტურიზმი, ღვინის ტურიზმი, არქეოლოგიური ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი და სხვ.

სხვადასხვა ტურისტული სააგენტოების მეშვეობით შიდა ქართლს (დაუზუსტებელი ინფორმაციით) სტუმრობდა 25-30 ათასამდე ტურისტი. 2011 წლის აპრილში ქ. გორში გაიხსნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი. 2011 წლის აპრილიდან, ამავე წლის სექტემბრის ჩათვლით, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გორის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს 5000 – მდე ვიზიტორი ესტუმრა. თუ მანამდე ტურისტების ინტერესში მხოლოდ ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის და უფლისციხის კომპლექსის მონახულება იყო, გორში საინფორმაციო ტურისტული ცენტრის გახსნამ ტურისტებს ყველანაირი ინფორმაციის მიღების საშუალება მისცა რეგიონის ტერიტორიაზე არსებული სხვა კულტურული ძეგლებისა და მრავალფეროვანი სანახაობების შესახებ. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ტურიზმის საინფორმაციო

ცენტრის სტუმრები ხშირად გამოთქვამენ გარკვეულ შენიშვნებს ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით რეგიონში, კერძოდ: [34]

- გასართობი ადგილების და ობიექტების სიმცირე;
- ადგილობრივი ტურისტული სააგენტოების არარსებობა;
- საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა;
- მომსახურების დაბალი ხარისხი;
- ტურისტულ ობიექტებში ენობრივი ბარიერის პრობლემა;
- ტრანსპორტის განრიგის საერთაშორისო ენაზე არარსებობა.

ტურიზმის განვითარებისათვის შიდა ქართლის რეგიონში არაერთი მნიშვნელოვანი პირობა არსებობს: ჩვენამდე შემორჩენილი სხვადასხვა დროის უამრავი კულტურული ძეგლი, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდეობარეობა, მდიდარი ბუნებრივი რესურსები და სხვ. სამწუხაროდ რეგიონში ტურიზმის განვითარების დიდი და მრავალფეროვანი პოტენციალი გამოუყენებელი და აუთვისებელია. საჭიროა ტურისტებისათვის რუკებისა და აბრების განთავსება გზებზე, კულტურული და დასასვენებელი, კვების ობიექტების მითითებით. ტურიზმისათვის აუცულებელი კვებისა და დასვენების ობიექტების, საოჯახო სასტუმროების, კულტურულ ძეგლებთან ტურისტული ცენტრების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, მათი შემოსავლების ზრდისა და ტურიზმის შემდომი განვითარების ერთ-ერთი პირობაა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლის რეგიონი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, მრავალფეროვანი ბუნებით და არსებული (და ასათვისებელი) ტურისტული ობიექტების ისტორიული მნიშვნელობით, რეგიონის სწორად დაგეგმილი სტრატეგიით და კოორდინირებული საქმიანობით, გახდება ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონი საქართველოში.

3.3. შიდა ქართლის რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსების გამოვლენა და მისი რაციონალური გამოყენება

ჩვენს მიერ განხილული რეგიონის ისტორიული, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ფაქტორები და მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ შიდა ქართლს გააჩნია უდიდესი პოტენციალი ტურიზმის ყველა მიმართულების განსავითარებლად.

აუცილებელია ეკონომიკური განვითარების კომპონენტების გათვალისწინება, როგორც რეგიონული, ისე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის. ეს კომპონენტებია: [28]

- ტურიზმის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- მიწის რესურსების მართვის გაუმჯობესება;
- რეგიონული და ადგილობრივი სტატისტიკის სრულყოფა-განვითარება;
- საინვესტიციო და საკონსულტაციო ცენტრების შექმნა;
- რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;
- რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სესხის აღების წესის საკანონმდებლო დარეგულირება კაპიტალის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისათვის;
- ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების მიზნით ექსპორტის ხელშეწყობა;
- რეგიონის ბრენდის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- გათანაბრებითი სატრანსფერო სისტემის დახვეწა და მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების შემუშავება;
- სატრანსპორტო სისტემის განვითარება;
- რეგიონის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტყის რესურსების ინვენტარიზაცია და ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

აღნიშნული სტრატეგია გულისხმობს, რომ ტურიზმის განვითარებისასთვის რეგიონში აუცილებლად უნდა აღინუსხოს მასში არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტები (შენობა-ნაგებობები); აგრეთვე დეტალურად უნდა აღინუსხოს ტურიზმის ცალკეული დარგების: ეკოტურიზმის, კულტურული ტურიზმის, რეკრეაციული და სხვა ტიპის ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო არსებული ბუნებრივი და სხვა

რესურსები და ამ ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე შეიქმნას ტურიზმის განვითარების სტრატეგია; უნდა შემუშავდეს რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის აუცილებელი პირობები, მათ შორის: საგზაო, სატრანსპორტო, ტურისტთა ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება. ტურისტულ ობიექტზე დაშვების საინფორმაციო დაფების განთავსება და სხვ., რაც ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების ზრდას. [28]

ტურიზმის განვითარებისათვის გამოიკვეთა პირველი რიგის პრიორიტეტები – ინფრასტრუქტურის განვითარება და მშენებლობის ხელშეწყობა: საინფორმაციო ინფრასტრუქტურა და საინფორმაციო კამპანია; საბანკო ინფრასტრუქტურა; ტურისტული მარშრუტების მომზადება; კომუნიკაცია კერძო სექტორთან; საგზაო ინფრასტრუქტურა; ნარჩენების მართვა; ხალხური რეწვის ხელშეწყობა; კომუნიკაცია კერძო სექტორთან: [29]

- საინფორმაციო ინფრასტრუქტურა – აუცილებელია გზებზე დამონტაჟდეს ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის, აგრეთვე ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნები, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. საჭიროა მუნიციპალური ტრანსპორტისთვის განკუთვნილ გაჩერებებზე განთავსდეს ტრანსპორტის მოძრაობის განრიგის ამსახველი დაფები (რაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ);
- საინფორმაციო კამპანია – შიდა ქართლის რომელიმე მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ტურისტული გამოფენის მოწყობა, სადაც მიწვეული იქნებიან ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ტურისტული სააგენტოები, უცხო ქვეყნების საელჩოს წარმომადგენლები და ტურიზმით დაინტერესებული სუბიექტები. ამასთან, საჭიროა ეროვნულ დონეზე შემუშავებულ იქნას სპეციალური, რეგიონის პოტენციალთან დაკავშირებული, სატელევიზიო რგოლები, რაც მოემსახურება რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას და აქცენტირებული იქნება ძირითადად ადგილობრივ ტურისტებზე (რაშიც აქტიურად უნდა ჩაერთოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რეგიონული ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა);

- საბანკო ინფრასტრუქტურა – ტურისტების საბანკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელი პირობაა საბანკო სექტორის მეტად განვითარება; დამატებითი ბანკომატების დამონტაჟება რეგიონის რაიონულ ცენტრებში (ღონისძიებაში უნდა ჩაერთოს ადგილობრივი ხელისუფლება და საბანკო სექტორი);
- ტურისტული მარშრუტის მომზადება – აუცილებელია რეგიონის მასშტაბით დამუშავდეს, შეივსოს არსებული ტურისტული მარშრუტები საფეხმავლო და ველური ტურიზმისათვის (ღონისძიებაში უნდა ჩაერთოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება);
- კომუნიკაცია კერძო სექტორთან – საჭიროა უფრო მეტი კოორდინაციის და აქტიური კომუნიკაციის უზრუნველყოფა ტურისტულ სააგენტოებსა და რეგიონში არსებულ ტურსიტულ ობიექტებს შორის. ამისათვის აუცილებელია რეგიონში რამდენიმე ტურისტული სააგენტო ფუნქციონირებდეს, რადგან დღეისათვის ტურისტული ნაკადების შემოდინება სპონტანურად ხორციელდება, რასაც ორგანიზებული ხასიათი უნდა მიეცეს რეგიონის დროსა და სივრცეში (უნდა ჩაერთოს რეგიონული ხელისუფლება და მუნიციპალიტეტები ტურისტულ კომპანიებთან ერთად);
- საგზაო ინფრასტრუქტურა – საჭიროა გაგრძელდეს ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია და საფეხმავლო ბილიკების გაჭრა ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით (ღონისძიებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს ცენტრალური ხელისუფლება და მუნიციპალიტეტები ერთობლივად);
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა – უნდა გაგრძელდეს მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგების და მელიორაციის სისტემების რეაბილიტაცია; უნდა გადაწყდეს წყლის უწყვეტი მიწოდების პრობლემა; მელიორაციის სისტემის რეაბილიტაციის დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას ის ადგილები და ტერიტორიები, სადაც მეტად არის აგრარული ინდუსტრიის განვითარების პოტენციალი (ამ ღონისძიებებში უნდა ჩაერთოს ცენტრალური ხელისუფლება რეგიონულ ხელისუფლებას და დონორ ორგანიზაციებთან ერთად);

- სანიტარული ინფრასტრუქტურა – რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ტურისტულ ობიექტებთან საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა (უნდა უზრუნველყოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ);
- ნარჩენების მართვა – აუცილებელია მოეწყოს თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელი. ნარჩენების გატანის მომსახურებამ უნდა დაფაროს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრები, არამედ მასში შემავალი სოფლებიც (ღონისძიება უნდა გატარდეს რეგიონული ხელისუფლების და მუნიციპალიტეტების აქტიური ხელმძღვანელობით);
- ხელოვნური რეწვა – ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მუნიციპალიტეტებთან ერთად აუცილებლად უნდა იმუშაონ ადრე არსებული ხელოვნური რეწვის მიმართულებების აღდგენაზე და დღეს არსებული ხელოვნური რეწვის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე პროდუქციის რეალიზების მოწესრიგებაზე. უნდა შეიქმნას ტურისტების ნაკადებზე გათვლილი სუვენირების მუდმივმოქმედი გამოფენა-გაყიდვის ვიზუალურად მიმზიდველი ობიექტები.

დამატებითი პრიორიტეტია ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა, კერძოდ: ბანკების მხარდაჭერა, ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდა, გადასახდების ადმინისტირების გამარტივება, ახალი ბაზრების მოძიების ხელშეწყობა, პროექტების შედგენაში კონსულტაციების გაწევა, სახელობო და პროფესიული განათლების მხარდაჭრა, მომსახურების სექტორის ხელშეწყობა: [29]

- ➢ ბანკების მხარდაჭერა – სესხების გაცემის რთული ადმინისტრირება მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ბიზნესის განვითარებისათვის. სესხის გაცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე კომპანიებისა და საოჯახო სასტუმროების ქსელის გაფართოებისთვის. ბანკებში, საბანკო პროდუქტების, კერძოდ კი სესხების შემუშავების გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება, არა მხოლოდ გაზრდიდა კომპანიების მიერ სესხების ან მსგავსი სერვისების, როგორიცაა ლიზინგი, გამოყენებას, არამედ, ასევე იქნებოდა გრძელვადიანი სტრატეგია სესხის აღებასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირების კუთხით (ღონისძიებაში უნდა ჩაერთონ

რეგიონული ხელისუფლება და რეგიონში მოქმედი საფინანსო ორგანიზაციები);

- ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდა – სასურველია მთავრობამ, ბიზნესის სხვადასხვა სექტორში მოახდინოს სუბსიდირება, რაც უფრო მასშტაბური უნდა გახდეს, რათა განხოციელდეს ფინანსური რესურსების მიმართვა ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად (ღონისძიებაში უნდა ჩაერთოს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე საფინანსო ორგანიზაციები);
- გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება – რეგიონისთვის მნიშვნელოვანია ბიზნესისადმი ხისტი პოლიტიკის გატარების გამო არ მოხდეს საფრთხის განცდის ზრდა. შესაბამისად, აუცილებელია ლიბერალური საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმების შემოღება (ღონისძიების გატარება ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, უნდა ჩაერთოს საკანონმდებლო ხელისუფლება, ფინანსთა სამინისტრო და ბიზნეს ომბუდსმენი);
- ახალი ბაზრების მოძიების ხელშეწყობა – აუცილებელია საზღვარგარეთ მოძიებულ იქნას ახალი, დამატებითი ბაზრები, რათა ადგილობრივმა მეწარმეებმა შეძლონ წარმოებული პროდუქციის მეტი ოდენობით რეალიზება. აუცილებელია ბიზნეს-ფორუმების და გამოფენების მოწყობა (ღონისძიება უნდა განახორციელოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, საზღვარგარეთ მოქმედ საქართველოს საელჩოებთან ერთად და რეგიონულმა ხელისუფლებამ ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით);
- პროექტების შედგენაში კონსულტირება – რეგიონულმა ხელისუფლებამ კონსულტირება უნდა გაუწიოს ადგილობრივ ხელისუფლებას რეგიონში განსახორციელებელი პროექტების შედგენაში, ხოლო ცენტრალურმა ხელისუფლებამ სათანადო მხარდაჭერა უნდა განახორციელოს დამუშავებული პროექტების დასაფინანსებლად);
- სახელობო და პროფესიული განათლების მხარდაჭერა – აღნიშნული უნდა გაკეთდეს პროფესიულ სასწავლებლებსა და დამსაქმებლებს შორის დიალოგის წახალისებით; ახალი კურუკულემების განვითარებით და

ადექვატური საწავლო პირობების შექმნით. უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი პროფესიების მხარდაჭერა, როგორიცაა გიდი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; ოფისის მენეჯერი; მცხობელი; მზარეული; დურგალი; ელექტრიკოსი და სხვ.;

- მომსახურების სექტორის ხელშეწყობა – აუცილებელია მომსახურების სფეროში დასაქმებული პერსონალის (განსაკუთრებით სასტუმროებსა და რესტორნებში) კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც ტექნიკური კუთხით, აგრეთვე ინგლისური და რუსული ენის გამართულ, საკომუნიკაციო დონეზე შესწავლის მიმართულებით (აღნიშნულ ღონისძიებებში უნდა ჩაერთოს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები).

2015-2017 წლებისათვის, მიღებულ იქნა საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიზნები, ამოცანები, შესაბამისი პრიორიტეტები და ღონისძიებები; ამასთან დაადგინა საჭირო პირობები ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. [29]

რეგიონული პოლიტიკა, პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც კოორდინირებული და კონცენტრირებულია რეგიონალურ დონეზე. პროგრამა ეფუძნება განვითარების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, მათ, შესაბამისად, ქვეყნის მდგრად რეგიონულ განვითარებაზე მი

მართული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ გადანაწილებას. ეს პროგრამა მომზადდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 სექტემბრის №1315 განკარგულების საფუძველზე. პროგრამის მომზადებაში ჩართული იყვნენ შესაბამისი სამინისტროები და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია. ამ პროგრამის შემუშავება და განხორციელება მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე თანამშრომლობის ღონისძიებებისათვის, აგრეთვე ევროკავშირის საბიუჯეტო და სექტორული დახმარების პროგრამის ფარგლებში. ამ პროგრამის ეფექტური ამოქმედება პირდაპირ პასუხობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებისა და ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული

შესაბამისი დებულებების განხორციელების მიზნებს. ადრინდელ პროგრამასთან შედარებით ამ პროგრამაში ასახულია ბევრად უფრო კომპლექსური და კოორდინირებული მიდგომები, რაც საქართველოს იმ სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების უფრო მეტ ჩართულობასა და თანამშრომლობას მოითხოვს, რომელთა საქმიანობაშიც ეფექტური გავლენა უნდა მოახდინონ ქვეყნის შემდგომ რეგიონულ განვითარებაზე [29].

პროგრამაში წარმოდგენილია საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკა და მისი განხორციელებისათვის აუცილებელი საკვანძო პრიორიტეტები შესატყვისი ღონისძიებებით. პროგრამა იწყება შესავალით, რომელშიც მიმოხილულია რეგიონული განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობა და, შესაბამისად გამოვლენილია ძირითადი საჭიროებები. ხოლო №2 დანართში მოცემულია სპეციალური სახელმძღვანელო ფორმა პროგრამის პრიორიტეტებისა და პროგრამული ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგის ხელშეწყობისათვის. [29]

ყურადღება გასამახვილებელია ორ ზოგად, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. როგორც ცნობილია, 2012 წლის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების შედეგად, არჩეული იქნა ახალი ხელისუფლება, რასაც მოჰყვა სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კორექტირება როგორც საერთო დონეზე (მაგ., ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის), ასევე კონკრეტულ დარგებთან და სექტორებთან მიმართებაში (მაგ., სოფლის მეურნეობა, განათლება - მათ შორის პროფესიული სწავლების ჩათვლით, ჯანდაცვა, დასაქმება და სხვ.). შესაბამისად დაიწყო ახალი პოლოტიკის შემუშავება, როგორც რეგიონულ და ადგილობრივ განვითარებასთან მიმართებაში, ასევე დაიწყო ზრუნვა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალი ეროვნული პლატფორმის შემუშავებისათვის. [29]

2013 წლის აგვისტოში საქართველოსა და ევროკავშირს შორის დამთავრდა ასოცირების შეთანხმებაზე წარმოებული მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები, რამაც, 2013 წლის ნოემბერში მხარეებს მისცა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების შესაძლებლობა. 2010 წელს სრგსს-ის მიღების შემდეგ (რომელიც ისახავდა 2009 წლის და უფრო ადრინდელი პერიოდის ანალიზს), საქართველოს ყველა რეგიონისათვის შემუშავდა რეგიონული განვითარების სტრატეგიები, რომლებიც მოწონებული იქნა შესაბამისი რეგიონული საბჭოების და საქართველოს რეგიონული განვითარების კომისიის მიერ და 2013 წლის სექტემბერში

დამტკიცდა საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით. ამგვარი „ქვემოდან ზემოთ" დაგეგმვის შედეგები მოითხოვდა მათ გათვალისწინებასა და ასახვას ახალ პროგრამებში. [29]

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

1. ამ პროგრამის შემუშავების პირველი ეტაპისათვის საწყის წერტილს წარმოადგენდა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია (სრგსს). თუმცა გარემოებები – საქართველოს პოლიტიკის ფართო კონტექსტი და საკუთრივ პოლიტიკა – მნიშვნელოვნად შეიცვალა და განვითარდა აღნიშნული სტრატეგიის მიღების შემდეგ, რამაც ლოგიკურად განაპირობა ევროკავშირის სტანდარტებთან მაქსიმალურად მორგებულ ახალ რელობაზე გადასვლა და მასთან დაახლოებული პროგრამის მომზადება.
2. ახალი პროგრამის ფარგლებში უმნიშვნელოვანეს გასათვალისწინებელ საკითხს წარმოადგენდა რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფართო მიზანი. ეს პროგრამა ეფუძნება და დიდწილად შესაბამისობაშია ევროკავშირის პოლიტიკის (რეგიონებს შორის უთანაბრობის შემცირება) გამოცდილებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათასწლეულის განმავლობაში ეს პოლიტიკა საგრძნობლად განმტკიცდა – პირველად 1990-იან წლებში, რათა დახმარება გაეწიათ შედარებით ნაკლებად განვითარებული წევრი ქვეყნებისათვის, ხოლო მოგვიანებით კი გამოეყენებინათ ახალი წევრი ქვეყნების მიმართ, მათი გაწევრიანების შემდგომ არსებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ამასთანავე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რომ პროგრამა ნაწილობრივ მაინც ყოფილიყო ორიენტირებული კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის მიმართულებაზეც, როგორც უთანასწორობის შემცირების, თუ განვითარების უფრო ფართო საჭიროებების უზრუნველყოფის საშუალებაზე. ასეთი მიდგომები სავსებით თავსებადია, რამდენადაც, ხშირ შემთხვევაში, ორივე ამოცანის გადაჭრა იდენტური აქტივობებით არის შესაძლებელი. ამ ორ მიდგომას შორის განსხვავებაზე აქცენტების დასმა, ან მათი კომბინირებული გამოყენებისას, არ გამოირიცხება გარკვეული დაზუსტების აუცილებლობა – თუ რომელი მიდგომა ემსახურება უკეთ რეგიონების

განვითარების საჭიროებებს დროის კონკრეტულ პერიოდში. სწორედ ასეთი მიდგომის ხედვა იყო გასათვალისწინებელი ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში. მთლიანობაში ეს პროგრამა მაქსიმალურად მორგებულია და პასუხობს საქართველოს რეგიონული განვითარების სპეციფიკურ, მის ყველაზე კრიტიკულ, როგორც პირველად და გადაუდებელ საჭიროებებს. საქართველო ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანასთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია, ამიტომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შედარებით (როგორც უთანაბრობის შემცირებით, ასევე კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნებისათვის), მისი ძირითადი ინფრასტრუქტურის და მდგრადი მომსახურების უზრუნველყოფის განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უფრო მეტი რესურსების გამოყენება. [28]

საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებში, კონკურენტუნარიანობის საკითხის გადაჭრა, ხშირ შემთხვევაში დიდწილად ეროვნულ დონეზე ხდება. თუმცა შესაბამისი პოლიტიკის მხარდაჭერა სათანადოდ ხორციელდება აგრეთვე სუბნაციონალურ დონეებზეც. ამ კონკრეტული პროგრამის პრიორიტეტები და ღონისძიებები უფრო უთანაბრობების შემცირებაზე და მხოლოდ ნაწილობრივ, ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხარდაჭერაზე არის კონცენტრირებული. აღნიშნული სრულიადაც არ გულისხმობს შემდგომ წლებში საქართველოს რეგიონების განვითარებისათვის კონკურენტუნარიანობის საკითხის ნაკლებ პრიორიტეტულობას. [28]

ფრიად ყურადსაღებია კომპლექსური გამოწვევები და მათზე გრძელვადიანი ხედვა, რაც გულისხმობს ეკონომიკური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს და მზარდ ფაქტორს – ბიზნესის მხარდაჭერის კომპლექსურ სერვისებს: კვლევების ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ინოვაციები. ეს სერვისები არსებითია აგრეთვე ევროკავშირის წევრ განვითარებულ ქვეყნებთან თუ რეგიონებთან არსებული განსხვავებების შემცირებისათვის. საქართველოს რეგიონები უკვე წამყვან მოთამაშეებად არიან გადაქცეული საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად, რადგანაც ექსტერნალიები და მზარდი უკუგება - როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ძირითადი მამოძრავებელი – სწორედ რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე წარმოიშობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2002 წლიდან ევროპის კავშირის საბჭოს მიერ კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა განიხილება, როგორც ევროპის განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი, რომელიც

საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა მისწრაფებები როგორც გათანაბრების პოლიტიკის, ასევე ცოდნაზე დამყარებული მაღალეფექტიანი ეკონომიკური განვითარების მეშვეობით, როგორც ეროვნულ, ისე სუბეროვნულ დონეზე. [28]

შიდა ქართლის ტერიტორია გამოირჩევა მომხიბვლელი ლანდშაფტებით, მრავალრიცხოვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლებით და ღირსშესანიშნაობებით, რაც ტურისტული სექტორის განვითარების ძირითადი საფუძველია. მიუხედავად რეგიონში არსებული მდიდარი და მრავალფეროვანი ტურისტული დანიშნულების ადგილებისა, მუნიციპალიტეტის მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ ტურიზმის პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული. დაბალია კოორდინაციის ხარისხი დედაქალაქში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და რეგიონის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებს შორის. მოსაწესრიგებელია ასევე ტურისტული მარშრუტები.

ამრიგად, ზემოთ ხსენებული პროგრამის, რეგიონის ტურისტული სექტორის პოტენციალის, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში არსებული ნაკლოვანებებისა და სხვ. გათვალისწინებით, შევიმუშავეთ ტურიზმის ძირითადი მიმართულებები, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია შიდა ქართლის მუნიციპალიტეტში.

ასე მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტში არსებული პოტენციალის მიხედვით ტურიზმი შეიძლება განვითარდეს შემდეგი მიმართულებით:

- ეკოტურიზმი;
- აგროტურიზმი;
- სასოფლო ტურიზმი;
- ღვინის ტურიზმი;
- საკურორტო ტურიზმი;
- რელიგიური ტურიზმი;
- ექსტრემალური ტურიზმი;
- სამკურნალო ტურიზმი.

ამასთან, გორის მუნიციპალიტეტში, მისი ღირსშესანიშნაობებიდან გამომდინარე სამი ძირითადი ტურისტული მარშრუტი გამოიკვეთა: ტურისტული მარშრუტი (გორის ციხე - სტალინის სახლ – მუზეუმი -კურორტი გორიჯვარი); მდინარე ტანას ხეობა; უფლისციხის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ყოველ ტურისტულ მარშრუტზე გვხვდება გარკვეული ნაკლოვანი მხარეები, ამიტომ შევეცადეთ შეგვემუშავებინა ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით, რომელთა შეთავაზებასაც დეტალური ინფორმაციისა და ღირებულების წარმოდგენამდე ჩვენ ვაპირებთ ტურისტებისათვის, აგრეთვე ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის ტურისტული სააგენტოებისათვის თავიანთ ტურისტულ მარშრუტებში ჩასართავად. სწორედ კვლევის შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებებზე გავამახვილოთ თქვენი ყურადღება.

გორის ციხე ჯერ კიდევ მხოლოდ გარედან დათვალიერების ობიექტს წარმოადგენს ტურისტებისათვის. ხოლო ტურისტების უფრო ეფექტური მოზიდვის მიზნით აუცილებლობას წარმოადგენს ამ ისტორიულ-კულტურული ძეგლის ფუნქციონალური დატვირთვა. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- უპირველეს ყოვლისა არსებული ტურისტული ნაკადების შენარჩუნების, ხოლო შემდგომში მათი ზრდის მიზნით უნდა ჩატარდეს მოკლევადიანი ღონისძიებები, რომლებსაც წინ უნდა უძღოდეს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება;
- გენერალური გეგმის საფუძველზე, გორის ციხის ძველ ისტორიულ უბანში (ნ. ლომოურის, ბ. ჯუღაშვილის, ა. წერეთლის, გარსევანიშვილის ქუჩებზე) უნდა ჩატარდეს სარესტავრაციო სამუშაოები: ფასადების აღდგენა ძველი არქიტექტურული სტილის დაცვით; ფასადებისათვის სასურველია გამოყენებული იქნას თლილი ქვები ან ძველი აგურის იმიტაციის მქონე ფილები; აუცილებელია გაკეთილშობილებული და შენარჩუნებული იქნას ხის აივნები; უნდა მოხდეს ქუჩებისა და ტროტუარების მოკირწყვლა.
- ეკლესიის მხრიდან უნდა მოხდეს ციხეზე ცენტრალური ამოსასვლელის გაჭრა; მის მიმდებარე ფიჭვნარში დამატებითი ხეების დარგვა; დასვენების ადგილის ორგანიზება; მოსასვენებელი სკამების დადგმა.
- გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე დასვენების ადგილების ორგანიზებასთან ერთად (იხ. წინა პუნქტი) უნდა დაიდგას მსუბუქი კონსტრუქციის კაფე-ბარები და სუვენირების სარეალიზაციო ჯიხურები;

- ციხესთან უნდა აშენდეს არქიტექტურულად ლამაზი ადმინისტრაციული და დაცვის შენობა. ხოლო ციხის სამხრეთ მხარეს აუცილებელია მოეწყოს საჩვენებელი ლამაზი უბანი (სიღნაღის მსგავსად);
- ესთეტიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ციხის ასასვლელთან არსებული სარიტუალო სახლის სხვაგან გადატანა;
- გორის ციხის შესასვლელში და დარბაზებში უნდა განთავსდეს სპეციალური მანიშნებელი და საინფორმაციო დაფები, სადაც მოცემული იქნება ციხის შესახებ არსებული ისტორიული ინფორმაცია (შესაბამისი წყაროებით), ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგები;
- გორის ციხის წყლის ძველ რეზერვუარში უნდა განთავსდეს ეთნოგრაფიული მუზეუმი. ამ რეზერვუარში მცირედი რეკონსტრუქციის შედეგად უნდა მოეწყოს საგამოფენო დარბაზი, სადაც უნდა მოხდეს ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატების განთავსება;
- აუცილებელია გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება და კეთილმოწყობა, რაც გულისხმობს მთელი ტერიტორიის დასუფთავებას (მოიცავს ძველი წყლის რეზერვუარს და ცხრაკარაზე ჩასასვლელ ბილიკს); აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საკმაო რაოდენობით ნაგვის ურნების განთავსება და საპირფარეშოების მოწყობა;
- გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა განხორციელდეს ქონების გამიჯვნა; მესაკუთრეების დადგენა, რათა მოხდეს ინვესტორის მოსაზიდად შესაბამისი შეთავაზების მომზადება.

ი. ბ. სტალინის მუზეუმში ტურისტული ნაკადების გასაზრდელად, აუცილებელია შეიქმნას ტურისტებისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი გარემო:

- მოწესრიგდეს მუზეუმის ფასადი;
- მუზეუმის კოშკზე უნდა ჩაისვას მინები;
- მოეწყოს მუზეუმის ეზო და მოწესრიგდეს ქვაფენილი;
- ტურისტებისათვის მოეწყოს საპირფარეშო;
- მუზეუმის მოედნის უკანა მხარეს მოეწყოს საბჭოთა პერიოდის სტილისათვის დამახასიათებელი ინტერიერი და კაფე-ბარი;
- საექსპონატო დარბაზებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია დასავენებელი სავარძლების განთავსება;

- მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში უნდა განთავსდეს ცნობილი მოღვაწეების ექსპონატები.

ამ ღონისძიებების ჩატარება გაცილებით უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის ტურისტებისათვის გორის ციხეს, რადგანაც მათ მიეცემათ არა მარტო ქალაქისა და ძეგლის ისტორიის უკეთ გაცნობის საშუალება, არამედ ეთნოგრაფიული ექსპონატების საკუთარი თვალით ხილვის შესაძლებლობა. შედეგად აუცილებლად გაიზრდება ამ ძეგლის მიმართ ინტერესი და, შესაბამისად, გორის ციხეზე ტურისტებისა და დამთვალიერებლების ნაკადი.

გორიჯვარი არის ქ, გორთან ახლოს მდებარე ისტორიული ადგილი, რომლის ქალაქიდან დანახული ხედი საოცრად მიმზიდველია ტურისტებისათვის, განსაკუთრებით პილიგრიმული ტურით დაინტერესებულთათვის. ამდენად როცა განვიხილავთ გორს, აუცილებლად უნდა განვიხილოთ გორიჯვარიც. გორიჯვარის ტურისტული პოტენციალის გაზრდისათვის აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ქალაქის ხედის მხარეს ჭოგრიტის დაყენება, რათა გარკვეული საფასურის (მაგ., ლითონის ერთლარიანი) გადახდით მნახველებმა შეძლონ ქალაქის, მდ. ლიახვისა და მტკვარის შესართავის, უფლისციხის სამონასტრო კომპლექსის, აგრეთვე სხვა ლამაზი სანახაობების დათვალიერება; შემოსული თანხები კი მოხმარდეს ეკლესიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას;
- უკიდურესად აუცილებელია ეკლესიის შესასვლელთან არსებული შესაწირის (სასაკლაოს) მოშორებით გადატანა და იქ არსებული უსიამოვნო გარემოს მოწესრიგება;
- გორიჯვრის გზის მიმართულებით მონაკვეთზე საჭიროა გზის ორენოვანი (ქართული-ინგლისური) მაჩვენებლის დაყენება;
- საჭიროა გორიჯვართან მისასვლელი გზის მოწესრიგება, მისი ზედა ფენის მოხრეშვა, ხოლო ქვედა ნაწილების შეკეთება. შესაძლებელია სრულიად ახალი ასასვლელი გზის გაყვანაც გორაკის უკიდურესი მარჯვენა მხრიდან.

კურორტი გორიჯვარი, როგორც დამსვენებლების განტვირთვისა და დასვენების საუკეთესო საშუალება, ქალაქთან სიახლოვის გამო აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული ტურისტული დანიშნულების მიზნებისათვის. მისი რეალურად ამოქმედების საშუალებად კი ჩვენ გვესახება კურორტის მესაკუთრეებისათვის

ინვესტორების მოძიებაში აქტიური დახმარება. კურორტ გორიჯვრის რეალურად ამოქმედებისათვის საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ინვესტორთა დაინტერესება კურორტით და ამ თვალსაზრისით მეპატრონისათვის მხარდაჭერის გაწევა;
- საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მიყვანა კურორტის მიმდებარე ტერიტორიამდე;
- გორიჯვრის მიმართულების გზაზე და უშუალოდ კურორტთან საინფორმაციო დაფების განთავსება;
- აუცილებელია გორიჯვართან მისასვლელი გზის მოწესრიგება, მისი ზედა ფენის მოხრეშვა, ხოლო ქვედა ნაწილების შეკეთება. შესაძლებელია სრულიად ახალი ასასვლელი გზის გაყვანაც გორაკის უკიდურესი მარჯვენა მხრიდან.

ტურიზმის განვითარების პოტენციალი მდ. ტანას ხეობაში, სადაც კარგად არის წარმოდგენილი ბუნებრივი და კულტურულ-არქიტექტურული ძეგლების ჰარმონიულად შეთავსებული ურთიერთობა. ამ ხეობაში დიდი პოტენციალია განვითარდეს ტურიზმის შემდეგი სახეობების მიმართულებები:

- ღვინის ტურიზმი;
- პილიგრიმული ტურიზმი;
- კულტურული ტურიზმი;
- სოფლის ტურიზმი;
- ეკოტურიზმი;
- სამკურნალო ტურიზმი;
- კემპინგი, ქარავანინგი;
- სათავგადასავლო ტურიზმი;
- ექსტრემალური ტურიზმი

ამისათვის აუცილებელია ხეობაში მოეწყოს ტურისტული კომპლექსი, საიდანაც მოხდება ტურისტული მიმართულებების განხორციელების ორგანიზება ზემოთხსენებული სახეობების მიხედვით. ტურისტული კომპლექსის მოწყობაში მოიაზრება სასტუმროს ტიპის განთავსების ადგილები და კემპინგები, რისთვისაც გორის მუნიციპალიტეტის მიერ უნდა გამოიყოს შესაბამისი ტერიტორია.

კემპინგის განვითარების კუთხით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

- მუნიციპალიტეტის მიერ საჭირო ტერიტორიის გამოყოფა, რომელიც მუდმივად მზად იქნება კემპერების მისაღებად;
- კემპინგის ადგილების შერჩევისა და კეთილმოწყობის შემდგომ საჭიროა მათი აღნიშვნა მუნიციპალიტეტის კულტურულ რუკაზე და ასევე, შესაბამისი ნიშნების (კემპინგის ადგილის აღმნიშვნელი) ცენტრალურ მაგისტრალებზე განთავსება;
- კემპინგის სიახლოვეს სასურველია იყოს სასურსათო მაღაზია ან კაფე-რესტორანი;
- აღნიშნული ტერიტორიის კეთილმოწყობა, რაც გულისხმობს საკემპინგო ტერიტორიის დენის წყაროთი და სასმელი წლით მომარაგებას, განათებით უზრუნველყოფას და ტერიტორიაზე სველი წერტილების მოწყობას.

ცნობილია, რომ ტანას ხეობაში მრავალი ეკლესია-მონასტერია, რომელთა შორის აღსანიშნავია ატენის სიონი, დედათა მონასტერი და მრავალი სხვ. რომელიც თავისი ისტორიული და რელიგიური მნიშვნელობით უდიდეს სიწმინდეებს წარმოადგენენ. გარდა ამისა, არსებობს ხეობიდან მდ. ძამას ხეობაში გადასასვლელი საფეხმავლო გზა. მდ. ძამას ხეობაშიც ასევე მრავალი მოქმედი ქრისტიანული ძველი ეკლესია-მონასტერი მდებარეობს და ამ მხრივ ტანას ხეობა მომლოცველობითი (პილიგრიმული) ტურიზმით დაინტერესებულ პირებს ძალიან მიმზიდველ სანახაობას ჰპირდება. [35]

ტანას ხეობა გამორჩეულია აქ გავრცელებული ვაზის ჯიშებით: „ატენურით", „გორული მწვანეთი" და სხვ., რომლებისგანაც მზადდება შამპანიურის ღვინო-მასალა. აღსანიშნავია, რომ ხეობაში არსებობს ატენის ღვინის ქარხანა, რომელიც ძალიან მიმზიდველია დაინტერესებულ პირთათვის. [35]

აღსანიშნავია, რომ ტანას ხეობაში, სოფელ ბიისში არსებობს სამკურნალო ტურიზმის მიმართულების განვითარებისათვის გოგირდოვანი წყლების რესურსი. მართალია, სამწუხაროდ, დღესდღეისობით იქ ინფრასტრუქტურა მოშლილია, მაგრამ ინვესტორების მოძიების და შესაბამისი ინვესტიციების განხორციელების (წყლის დებეტის, გეოგრაფიული მდებარეობის და იქ არსებული სუფთა ჰაერის გათვალისწინებით) შემთხვევაში სოფელ ბიისს თავისი მონაცემებით აქვს

შესაძლებლობა ქვეყნის მასშტაბით გადაიქცეს სამკურნალო ტურიზმის ერთ-ერთ ძლიერ ცენტრად.

ტანას ხეობაში არის ერთ-ერთი უნიკალური ჩანჩქერი, რომელიც ზამთარში იყინება და წარმოიქმნება ყინულოვანი კლდე, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს მეკლდეურთა, მთასვლელთა და ექსტრემალური ტურიზმით დაინტერესებულ პირებში. აღნიშნულ ყინულზე ყოველწლიურად იმართება შესაბამისი მინი-ტურები.

ამრიგად, ტანას ხეობას დიდი პოტენციალი გააჩნია ექსტრემალური ტურიზმის, მეკლდეურების და მთასვლელების გულის მოსაგებად. შესაბამისად პოპულარიზაციის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია ამ მიმართულებით ტურისტთა ნაკადების გაზრდა, რისთვისაც აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- აუცილებელია სრულად აღიწეროს ტანას ხეობაში არსებული კულტურულ-ისტორიული და სხვა ტურისტული ობიექტები, მოხდეს მათი რუკაზე დატანა, ხოლო ეს ინფორმაცია უნდა განთავსდეს ხეობის გზის გასწვრივ საინფორმაციო აბრების სახით. აგრეთვე დაიბეჭდოს ეს ინფორმაცია და გავრცელდეს შესაბამისი ბუკლეტებისა და ბროშურების სახით გორის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში და ტანას ხეობაში არსებულ ტურისტულ კომპლექსში;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ატენის სიონიდან ბოშურამდე;
- ხეობის გაზიფიცირება;
- ატენის სიონამდე გარე განათების სისტემის მოწყობა;
- ტურისტული საინფორმაციო ნიშნების მოწყობა;
- მოეწყოს ტურისტული ბილიკები ტანას ხეობაში არსებულ ტურისტულ ობიექტებამდე და დატანილ იქნას ეს ინფორმაცია შესაბამის რუკებზე და ხეობის გზამკვლევზე.

ხეობის ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულყოფისათვის გამიზნული ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები თავისთავად ლიგიკურად, ნათლად ავლენს ჩასატარებელ ღონისძიებათა პირველადობის და თანმიმდევრულობის შესაძლო ვარიანტებს.

ტურიზმის განვითარების პოტენციალი უფლისციხის მიმართულებით

უფლისციხის მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საინტერესო ტურისტული მარშრუტია. იგი თავისი უნიკალურობით – უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლით იზიდავს უამრავ დამთვალიერებელსა და ტურისტს. ეს

მარშრუტი მოიცავს: ქვახვრელის კლდეში ნაკვეთ კვირაცხოვლის ეკლესიას, ყვავების საყდარს, ყათლანის ხევის და სალიძვლის ნამოსახლარებს, ღვთისმშობლის ეკლესიას და სხვა ისტორიულ ძეგლებს. სრულიად შესაძლებელია ამ მარშრუტის მეტად დატვირთვა, რისთვისაც აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ვინაიდან მარშრუტი მოიცავს სხვადსხვა მიმართულებით განფენილ მრავალ ისტორიულ ძეგლს და ერთ დღეში მათი მონახულება შეუძლებელია, ამიტომ, აუცილებელია, პირველ რიგში, შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც გულისხმობს დასასტუმროს მშენებლობას და დასვენების ზონის ზონის კეთილმოწყობას, კემპინგის მოწყობას უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც მოგვცემს საშუალებას აქ შეიქმნას აღნიშნული მარშრუტის ცენტრი.
- აუცილებელია მუზეუმ-ნაკრძალამდე მისასვლელი ცენტრალური მაგისტრალის განათება;
- უნდა მოხდეს უშუალოდ უფლისციხის ძეგლის დეკორატიული განათება, რაც კარგ ვიზუალურ და სარეკლამო ეფექტს შექმნის ტურისტებისათვის.;
- უფლისციხის ტურისტული მარშრუტი იძლევა სათევზაო – მდ. მტკვრისა და ნადარბაზევის ტბის სიახლოვის გამო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების საშუალებას;
- რადგან აქ ძალიან დიდი პოტენციალი არსებობს არქეოლოგიური გათხრების თვალსაზრისით, ამიტომ არქეოლოგიით დაინტერესებული ტურისტების მოსაზიდად აუცილებელია აღდგეს არქეოლოგიური გათხრები;
- უნდა მოხდეს აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ამისათვის აუცილებელია დაინერგოს საოჯახო სასტუმროების სტანდარტები, სოფლის მოსახლეობას უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები, თუ როგორ უნდა მოაწყონ საოჯახო სასტუმროები აგროტურიზმით დაინტერესებული ტურისტების მისაღებად და განსათავსებლად ისე, რომ გათვალისწინებული ჰქონდეთ ადგილობრივი სტუმარ-მასპინძლობა და ტრადიციები.

გორის მუნიციპალიტეტში ტურიზმის ინფრასტრუქტურაში არსებული პრობლემების წარმოსაჩენად, ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა მუნიციპალიტეტის, როგორც ერთიანი ორგანიზმის SWOT ანალიზი, ანუ მისი ძლიერი დასუსტი მხარეების იდენტიფიკაცია, აგრეთვე შევეცადეთ განგვესაზღვრა შესაძლებლობები, პერსპექტივები

და მოსალოდნელი საფრთხეები. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა მოგვეხდინა მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნებისა და პრიორიტეტების ფორმულირება, იმის გათვალსწინებით, რომ დასახული ქმედებები მიმართული ყოფილიყო სუსტი მხარეების აღმოფხვრასა და სავარაუდო საფრთხეების განეიტრალებაზე. ამიტომაც შევეცადეთ, რომ SWOT ანალიზი ყოვლისმომცველი ყოფილიყო.

ძლიერი მხარეები – S	**სუსტი მხარეები – W**
• მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა (დედაქალაქთან და საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალთან სიახლოვე და ხელსაყრელ სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებაროება); • სტალინის დაბადების ადგილის და შესაბამისად მისი სახლ-მუზეუმის გორში მდებარეობა; • ეროვნული მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ძეგლების სიმრავლე და რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნება; • მდიდარი ბუნებრივი რესურსები: მდინარეები, ტბები, ლამაზი ლანდშაფტი, ბიო-მრავალფეროვნება, თერმული წყლები და ნაყოფიერი ნიადაგი; • განვითარებული სოფლის მეურნეობა (მეღვინეობა, მეხილეობა-მებაღეობა	• ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმწირე (სასტუმროების სიმწირე, კვების ობიექტების არადამაკმაყოფილებელი სტანდარტები და მომსახურების დაბალი დონე); • კომფლიქტურ ზონასთან სიახლოვე (ცხინვალიდან გორამდე 28 კმ-ია); • შეზღუდული ადგილობრივი ფინანსური და უცხოური ინვესტიციები. • ტურისტული მომსახურების არქონა (ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მუშაობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტის ტურისტული გზამკვლევები, არაა შემუშავებული კონკრეტული ტურისტული მარშრუტები); • კვალიფიციური კადრების სიმწირე (შესაბამისი

და მესაქონლეობა); • გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა; • ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა; • საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებების არსებობა (რაც საშუალებას იძლევა გადამზადდეს ტურიზმის სფეროში დასაქმებული კადრები).	კვალიფიკაციის მქონე გიდების არასაკმარისი რაოდენობა); • ქ. გორში გორის ციხის ძველი უბნის ნაგებობათა უკიდურესად ცუდი ფიზიკური მდგომარეობა (ამორტიზაცია); • ქ. გორში საპროექტო-სამშენებლო ნორმატივების არ არსებობა და შეუსაბამო მშენებლობები;
შესაძლებლობები – O • მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება; • მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტის ცენტრად ჩამოყალიბება; • ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების განვითარების გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია და შედეგად ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; • ადგილობრივი წვრილი სამეწარმეო საქმიანობის განვითარება (ხელნაკეთი ნივთებისა და სუვენირების წარმოება-რეალიზება); • მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სიღარიბისა და	**საფრთხეები –** T • კონფლიქტურ რეგიონში მდგომარეობის დაძაბვა; • ტურისტთა დიდი ნაკადების შედეგად გარემოს დაბინძურება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება; • ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დეგრადაცია და დაკარგვა; • ქ. გორის ისტორიულ უბანში ქაოტური მშენებლობები და ისტორიულ-არქიტექტურული სტილის დარღვევა; • არაპროფესიული მიდგომა (საპროექტო პრაქტიკის დაბალი დონე და დაბალი კვალიფიკაციის კადრების მონაწილეობა ისტორიულ

უმუშევრობის დონის შემცირება.	უბნების რეაბილიტაციაში); • ეკონომიკური უთანასწორობის გაზრდა და პერიფერიული დასახლებების იზოლაცია.

გორის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა კვლევამ და SWOT ანალიზმა გამოავლინა ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის აქტუალური მიმართულებები. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს ტურიზმის განვითარების შესამუშავებელ ქმედებათა გეგმას.

ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გასატარებელი ღონისძიებები – ტურიზმის ინფრასტრუქტურა გარკვეული სირთულის ფუნქციური სისტემაა. ეს სისტემა მოიცავს მრავალი სახის და სხვადასხვა სირთულის შემცველ კომპონენტებს, რომელთა შორის დროსა და სივრცეში ხორციელდება შერჩევითი ფუნქციურად გააქტიურებული კავსირები. სისტემის კომპონენტების სრულყოფა უზრუნველყოფს თვით სისტემის ერთიან განვითარებად ეფექტურ და მომგებიან მუშაობას. ამ კომპონენტთა რიცხვი მრავალია, მაგალითად განთავსების საშუალებები, სასტუმროები, ოტელები, კემპინგები, საოჯახო სასტუმროები, სატრანსპორტო საშუალებები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, გართობის, სპორტული, სამკურნალო, რელიგიურ-საკულტო, შემეცნებითი, საქმიანი და სხვა დანიშნულების ორგანიზაციების, ტუროპერატორული და ტურაგენტურული საქმიანობით დაკავებული, ასევე ტურისტულ-საექსკურსიო და გიდ-თარჯიმნების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართულ მუსაობას, ტურისტების ხარისხიან და ოპერატიულ მომსახურებას.

აღნიშნული მომსახურების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად გორის მუნიციპალიტეტში აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- აუცილებელია ქალაქში არსებული გასართობი ცენტრებისა და დასვენების ადგილების (პარკების, სკვერების, კინოთეატრების და საკონცერტო დარბაზების) კეთილმოწყობა;

- გორში აშენდეს შესაბამისი სტანდარტების მქონე სასტუმროები და მოხდეს კერძო პირების დაინტერესება საოჯახო სასტუმროების მოსაწყობად. ვინაიდან გორი უნდა გახდეს ტურისტული მარშუტის ერთ-ერთი ცენტრი, საიდანაც მოხდება ტურისტების განაწილება არამარტო გორის, არამედ შიდა ქართლის სხვა მუნიციპალიტეტების საექსკურსიო მარშრუტებზე სხვადასხვა მიმართულებით, პირველ ეტაპზე აუცილებელია სწორედ ტურისტების განთავსებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.
- აუცლიებელია ქალაქში საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა;
- ქალაქის შესასვლელთან და ცენტრალურ უბნებში აუცილებელია განთავსდეს ქალაქისა და მუნიციპალიტეტის რუკა, რომელზეც ნაჩვენები იქნება ყველა ღირშესანიშნავი ტურისტული ობიექტები, მათზე მისასვლელი გზები;
- ავტოსადგურზე, რკინიგზის სადგურზე და მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერების ადგილებზე აუცილებელია განთავსდეს ტურისტებისათვის ტრანსპორტის განრიგისა და მიმართულების მაჩვენებელი დაფები;
- ხელი შეეწყოს ისეთი დასასვენებლი ადგილის შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება ჩამოსული ტურისტებისათვის ინტერნეტ-მომსახურების ხელმისაწვდომობა;
- აუცილებელია მუნიციპალიტეტში არსებულ ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა;
- გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია და აუცილებელია ტანას ხეობიდან ბორჯომში გადასასვლელი გზის რეაბილიტაცია. აღნიშნული გზა არა მარტო დააკავშირებს ბორჯომისა და წალკის ტურისტულ ზონებს, არამედ იქნება ალტერნატიული გზა;
- მუნიციპალიტეტში არსებული გორის უნივერსიტეტისა და პროფ-სასწავლებლების ბაზაზე სასურველია მოხდეს ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე კადრების მომზადება-გადამზადება.

ტურისტების მეტად დაინტერესებისა და მოზიდვისათვის აუცილებელია აქტიური საინფორმაციო პიარ კამპანიის წარმოება, რაც უდაოდ გაზრდის გორის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ტურიზმის პოპულარიზაციას. ცუდად დაგეგმილმა და არათანმიმდევრულმა პიარ კამპანიამ შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს. ასეთი, აპრიორი უკუშედეგის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გორის საინფორმაციო ცენტრის

მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება და გორის მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია. ცენტრის უპირველესი ამოცანა იქნება უფრო პოპულარული და ინფორმაციული გახადოს მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოდან გორის მუნიციპალიტეტში შემოსული ტურისტები, გორის მარშრუტების დათვალიერებისა და დასვნების შემდეგ, ასევე დეტალურად აღნუსხული და მომზადებული მარშრუტებით გაემგზავრონ ქარელის, ხაშურისა და კასპის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

ქვემოთ გთავაზობთ აღნიშნული მუნიციპალიტეტების ტურისტული მარშრუტების დახასიათებას, საოჯახო სასტუმროებში 1-2 დღით განთავსებით და ადგილობრივი ნაკეთობების (სუვენირების) ტურისტებისათვის შეთავაზებით. ამის შემდეგ, სურვილისამებრ ტურისტები გაემგზავრონ მცხეთაში და შემდეგ თბილისში. ასევე თბილისიდან წამოსული ტურისტებს ტუროპერატორებმა უნდა შესთავაზონ შიდა ქართლის საინტერესო მარშრუტები, რაც აამაღლებს კოორდინაციის ხარისხს დედაქალაქში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებსა და შიდა ქართლში არსებული ტურისტული ობიექტების წარმომადგენლებს შორის.

კასპის მუნიციპალიტეტში, რომელიც მდიდარია ღირსშესანიშნაობებით, ადამიანისა და ბუნების მიერ შექმნილი შესანიშნავი ძეგლებით, ტურიზმი შეიძლება განვითარედეს შემდეგი მიმართულებებით:

- სამკურნალო ტურიზმი;
- ეკო-ტურიზმი;
- აგროტურიზმი;
- საცხენოსნო ტურიზმი;
- კულტურული ტურიზმი;
- ღვინის ტურიზმი;
- რელიგიური ტურიზმი;
- სასოფლო ტურიზმი.

კასპის მუნიციპალიტეტში მისი ღირსშესანიშნაობებიდან გამომდინარე გამოიკვეთა ორი ძირითადი ტურისტული მარშრუტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული

ტერიტორიული მარშრუტებისათვის აუცილებელია მთელი რიგი მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების ხარისხიან მომსახურებას.

I ტურისტული მარშრუტი - კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – ტურისტების მოსაზიდად აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- მოეწყოს მუზეუმის ეზო და მოწესრიგდეს შესასვლელი;
- მოწესრიგდეს მუზეუმის ფასადი;
- ტურისტებისთვის მოეწყოს საპირფარეშო:
- მუზეუმის უკანა მხარეს მოეწყოს კაფე-ბარი;
- სასურველია სუვენირების მაღაზიის მოწყობა.

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი – მოსაწესრიგებელია საგზაო ინფრასტრუქტურა, არ არის საპირფარეშო ტურისტებისათვის, შენობა საჭიროებს რემონტს. სასურველია ტურისტებისათვის კვების ობიექტის მოწყობა და სუვენირების მაღაზია. ივანე ჯავახიშვილის სახლ – მუზეუმი – მოსაწესრიგებელია ინფრასტუქტურა.

მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი - სამონასტრო კომპლექსი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში. ღვთისმშობლის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, თარიღდება XIII საუკუნით. ნაგებია კარგად დამუშავებული ბაზალტის კვადრებით. ფასადებში ჩართულია მწვანე ფერის ქვებიც. შესასვლელი ორი აქვს - სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ორივე შიგნიდან თაღოვანია, გარედან - ოთხკუთხა. გუმბათი აღმართულია აფსიდის კედლებსა და დასავლეთის წყვილ ბურჯზე.
ტურისტების მოსაზიდად აუცილებელია გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- დამონტაჟდეს ტაძრამდე მისასვლელ გზაზე ორ ენოვანი (ქართული-ინგლისური) აბრები, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურუსტებისათვის;
- როგორც კომპლექსის შიდა, ასვე გარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საზოგადოებრივი საპირფარეშოს აშენება;
- გიდების (მათშორის უცხოენოვანის) არსებობა;
- ტურისტებისათვის კვების ობიექტის მოწყობა და გარე პერიმეტრის განათება.

II ტურისტული მარშრუტი: სამთავისის ეკლესია - შუა საუკუნეების ქართული მართლმადიდებლური ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, დგას კასპის მუნიციპალიტეტის

სოფელ სამთავისში, მდინარე ლეხურის მარცხენა ნაპირზე. ტაძრამდე მისასვლელი გზა მოსაასფალტებელია, საჭიროა გარე განათების და ნაგვის ურნების მონტაჟი. ტერიტორიაზე არ არსებობს კვების ობიექტი და სუვენირების მაღაზია ტურისტებისათვის.

წმინდა ნინოს ეკლესია - ეკლესია კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორ კილომეტრზე, თხოთის მთაზე. თარიღდება VII-VIII საუკუნეებით. საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტურისტებისათვის მინიმალური პირობების შექმნა.

ერთაწმინდის ტაძრის კომპლექსი - წმინდა ევსტათის (ესტატეს) სახელობის XIII საუკუნის პირველი ნახევრის ეს ჯვარგუმბათოვანი ტაძარი დგას კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ერთაწმინდის ცენტრში. თლილი ქვით ნაგები დიდი ეკლესიის გუმბათი ორ თავისუფლად მდგარ ბურჯსა და ბემის კუთხეებს ეყრდნობა. საკურთხევლის ორივე მხარეს ორ სართულად განლაგებული კუთხის ოთახებია. [35]

ქვათახევის კომპლექსი - XII-XIII საუკუნეების ქართული მონასტერი. მდებარეობს ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხიდან 5 კმ-ზე, მდ. კავთურის სათავესთან. ქვათახევის სამონასტრო კომპლექსში შედის მთავარი ტაძარი, სატრაპეზო, კოშკი და სენაკები. [35] ქვათახევის კომლექსი გამოირჩევა უნიკალური ისტორიული ღირებულებით და ბუნების სილამაზით, თუმცა სრულყოფილად არ არის ათვისებული მისი ტურისტული პოტენციალი. კომპლექსი საჭიროებს მისასვლელი გზის მოწესრიგებას, განათებას, აგრეთვე ტერიტორიაზე არ არსებობს კვების ობიექტი, სუვენირების მაღაზია, საჭიროა საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობა. კომპლექსის ტერიტორიაზე სასურველია მოეწყოს საკემპინგე ადგილი ტურსტებისათვის.

რკონის კომპლექსი - ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩაჩუბეთის მიდამოებში, ნასოფლარ რკონის ტერიტორიაზე. თეძმის ხეობის ზედა ნაწილში. რკონის კომპლექსში შედის: ღვთისმშობლის ეკლესია, კარიბჭე, ეგვტერი, სამლოცველო, სატრაპეზო, კოშკი, სამრეკლო, ნათლისმცემლის ეკლესია კარიბჭით და ხიდი. რკონის კომპლექსი მნიშვნელოვანი ტურისტული დანიშნულების ადგილია კასპის მუნიციპალიეტში. [35] გამოირჩევა უნიკალური ხუროთმოძღვრებით და ბუნებით. ტერიტორია საუკეთესო ადგილია ტურისტებისათვის, როგორც კულტურული თვალსაზრისით, ასევე

საკემპინგე, საფეხმავლო, საცხენოსნო და ექსტრემალური ტურიზმისათვის. რკონის კომპლექსი საჭიროებს მისასვლელი გზის რეაბილიტაციას, ტურისტებისათვის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის, კვების ობიექტის და სუვენირების მაღაზიის მოწყობას.

იმისათვის, რომ უკეთ გასაგები ყოფილიყო კასპის მუნიციპალიტეტში ტურიზმის წინაშე არსებული პრობლემები, შევეცადეთ მოგვეხდინა მუნიციპალიტეტის, როგორც ერთიანი ორგანიზმის SWOT ანალიზი, ანუ მისი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიკაცია და განგვესაზღვრა შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები. ამ ანალიზიდან შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნებისა და პრიორიტეტების ფორმულირება. გარდა ამისა, დასახული ქმედებები უნდა ითვალისწინებდეს სუსტ მხარეებსა და საფრთხეებს, მათი აღმოფხვრისა და განეიტრალების ღონისძიებებს. ამიტომაც შევეცადეთ, რომ SWOT ანალიზი ყოვლისმომცველი ყოფილიყო. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი ტურიზმის თვალსაზრისით.

ძლიერი მხარეები – S	**სუსტი მხარეები – W**
• კასპის მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა (დედაქალაქთან და საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალთან სიახლოვე); • ეროვნული მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ძეგლების სიმრავლე და რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნება; • მდიდარი ბუნებრივი რესურსები: მდინარეები, ლამაზი ლანდშაფტი, ბიო-მრავალფეროვნება, თერმული წყლები და ნაყოფიერი ნიადაგი;	• კომფლიქტურ ზონასთან სიახლოვე; • კასპის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პერიფერიული გზების მოუწესრიგებლობა; • ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმწირე (სასტუმროების სიმწირე, კვების ობიექტების არადამაკმაყოფილებელი სტანდარტები და მომსახურების დაბალი დონე); • კასპის მუნიციპალიტეტის ტურისტული და სარეკრიაციო შესაძლებლობების

• განვითარებული სოფლის მეურნეობა (მეღვინეობა, მეხილეობა-მებაღეობა და მესაქონლეობა); • გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა; • ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა; • მრავალფეროვანი ლანდშაფტი და ეკოსისტემების ნაირსახეობა; • მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა; • ტრადიციული ხალხური რეწვის კერების სიმრავლე;	შეუსწავლელობა; • ტურისტული მომსახურების არქონა (ტურისტული საინფორმაციო ცენტრის არქონა, მუნიციპალიტეტის ტურისტული გზამკვლევები, არაა შემუშავებული კონკრეტული ტურისტული მარშრუტები); • შეზღუდული ადგილობრივი ფინანსური და უცხოური ინვესტიციები. • კვალიფიციური კადრების სიმწირე (შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გიდების არასაკმარისი რაოდენობა); • ქ. კასპის განვითარების გენერალური გეგმის არარსებობა; • განადგურებული ინფრასტრუქტურის ობიექტები; • დაზიანებული კულტურული ძეგლები და ობიექტები;
შესაძლებლობები – O • კასპის მუნიციპალიტეტის სარეკრიაციო-ტურისტული პოტენციალის კომპლექსური შესწავლა და მისი ოპტიმალური გამოყენებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;	**საფრთხეები – T** • კონფლიქტურ რეგიონში მდგომარეობის დაძაბვა; • ტურისტთა დიდი ნაკადების შედეგად გარემოს დაბინძურება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება;

• კასპის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება (მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე და რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნება იძლევა შესაძლებლობას ტურიზმი წარიმართოს მრავალი მიმართულებებით; • ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი ობიექტების საპილოტო პროექტების დამუშავება; • ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების განვითარების გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია და შედეგად ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; • ადგილობრივი წვრილი სამეწარმეო საქმიანობის განვითარება (ხელნაკეთი ნივთებისა და სუვენირების წარმოება-რეალიზება); • კასპის მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირება; • კასპის მუნიციპალიტეტის საკურორტო - ტურისტულ	• ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დეგრადაცია და დაკარგვა; • ტურიზმის ცალკეული სეგმენტების არათანმიმდევრული, ქაოტური განვითარება; • არაპროფესიული მიდგომა (საპროექტო პრაქტიკის დაბალი დონე და დაბალი კვალიფიკაციის კადრების მონაწილეობა ისტორიულ უბნების რეაბილიტაციაში); • ეკონომიკური უთანასწორობის გაზრდა და პერიფერიული დასახლებების იზოლაცია; • არახელსაყრელი ეკონომიკური ვითარება.

კომპლექსზე და მის ცალკეულ საინტერესო ობიექტებზე ინტერნეტგვერდის, სარეკლამო რგოლების მომზადება და გავრცელება; • ტურისტული ობიექტების მარშრუტიზირება.	

ამგვარად, კასპის მუნიციპალიტეტის მიმართ ჩატარებულმა SWOT ანალიზმა გამოავლინა ტურიტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის აქტუალური და უდაოდ საინტერესო მიმართულეებები. ამ კუთხით ჯერ-ჯერობით აუთვისებელი და აუმოქმედებელი მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალი და რეალურად მოსალოდნელი საფრთხეები.

ქარელის მუნიციპალიტეტში, რომელიც მდიდარია ღირსშესანიშნაობებით, ადამიანისა და ბუნების მიერ შექმნილი შესანიშნავი ძეგლებით, ტურიზმი შეიძლება განვითარედეს შემდეგი მიმართულებებით:

- ეკო-ტურიზმი;
- აგროტურიზმი;
- ექსტრემალური ტურიზმი;
- საკურორტო ტურიზმი;
- ღვინის ტურიზმი;
- რელიგიური ტურიზმი.

ქარელის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული, არქეოლოგიური, მატერიალურ- კულტურული ძეგლებით, რომელთაგან უმრავლესობა ეკლესია მონასტრები და პატარა საყდრებია. ქარელის მუნიციპალიტეტში მისი ღირსშესანიშნაობებიდან გამომდინარე გამოიკვეთა ორი ძირითადი ტურისტული მარშრუტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტერიტორიული მარშრუტებისათვის აუცილებელია მთელი რიგი მოკლე თუ გრძელვადიანი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტების ხარისხიან მომსახურებას.

სოფელი რუისი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, ცენტრალურ

საავტომობილო გზაზე ზღვის დონიდან 670 მეტრზე, რაიონული ცენტრიდან 7 კმ.-ზე. რუისი ქართლის ერთ-ერთი წამყვანი ეპარქიის ცენტრი იყო, იგი დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში, რუისი როგორც ეპარქიის ცენტრი პირველად მოხსენიებულია მე-V საუკუნეში, შემდგომ 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში. სოფელში მდებარეობს მრავალი მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლი, მათგან მნიშვნელოვანია სოფლის ცენტრში მდებარე ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი, კომპლექსში შედის:

ღთისმშობლის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, რომელშიც გაირჩევა რამდენიმე სამშენებლო ფენა, რომელთაგან უძველესი VIII-IX სს. განეკუთვნება. რუისში მდებარეობს აგრეთვე ხარების სახელობის ტაძარი (ადრ. ფეოდ. ხანა), წმ. დემეტრეს ტაძარი (ფეოდალური ხანა). ღვთისმშობლის ტაძარი (ძველი ფეოდალური ხანა). კვირაცხოვლობის ეკლესია (XVII-XIXს).

ურბნისი მდებარეობს მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 10 კმ.-ის მოშორებით, სოფელი გაშენებულია შუა საუკუნეების ურბნისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, როგორც არქეოლოგიური გათხრები ამტკიცებს ურბნისის ათვისება ხალხმა ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ. - ის II-I ათასწლეულში დაიწყო. ურბნისის მშვენებაა წმ. სტეფანეს სახელობის სამნავიანი ბაზილიკა, ურბნისის სიონად წოდებული. ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე არსებული ასომთავრული წარწერები V-VI სს.-ით თარიღდება.[31]

ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი ქარელიდან დაახლოებით 13 კმ. მანძილზე ძამის ულამაზეს ხეობაში, სოფელ ყინწვისთან მდებარეობს. კომპლექსი შედგება რამდენიმე ნაგებობისაგან. მთავარ ნაგებობას წარმოადგენს წმ. ნიკოლოზის სახელობის ცენტრალურგუმბათოვანი ტაძარი, რომელიც XII-XIII საუკუნეების მიჯნით თარიღდება. სოფელი სამწევრისი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რაიონული ცენტრიდან დაშორებულია 4,5 კმ.-ით, სოფლის სიძველეს ადასტურებს სოფელში მდგარი წმინდა ჯვრის ეკლესია, რომელიც VII საუკუნის I ნახევრით თარიღდება. ჯვრის მონასტერში ამჟამად მამათა, ხოლო ციხე-დარბაზში დედათა მონასტერია. გუგომის (ქოზიფას) ხუროთმოძღვრული კომპლექსი - მდებარეობს ძამას ხეობის სიღრმეში, ზღვის დონიდან 1400მ.–ზე. მთელი კომპლექსი, რომელშიც 5 ეკლესია შედის განლაგებულია მაღლობ ადგილას შუაგულ ტყეში. სარკის წმ. გიორგის სახ. მონასტერი - ქარელიდან დაახლოებით 12 კმ. მანძილზე სამხრეთით, თრიალეთის

[31] http://www.shidakartli.gov.ge

ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ტყის შუაგულში მდებარეობს სარკის ულამაზესი მონასტერი. ამჟამადაც მოქმედებს მამათა მონასტერი. დირბის ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი – მდებარეობს სოფ. დირბში რაიონული ცენტრიდან აღმოსავლეთით 16 კმ. მანძილზე. სოფ. დირბში არის აგრეთვე რამდენიმე ეკლესია- მონასტერი: წმ. გიორგის ზედაჯვრის ეკლესია (Xს.), წმ. გიორგის ეკლესია (განვ. ფეოდ. ხანა), ყველაწმინდის ეკლესია (XIXს.). [35]

ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს რამდენიმე ტბა, რომელიც მნიშვნელოვანია, ეკოტურიზმის, აგროტურიზმის, საკემპინგე და დასასვენებელი ტურიზმის განვითარებისთვის. მათგან აღსანიშნავია ბატეთის ბუნებრივი ტბა, ოქროსოფლისა და ბებნისის ხელოვნური ტბები. ბატეთის ტბა - მდ. ძამას ხეობის სიღრმეში, ქარელის რაიონული ცენტრიდან დაახლოებით 23 კმ.–ის დაშორებით. მდ. ძამას მარჯვენა ნაპირზე, წიფლნარ- თხილნარით შემოსილი ფერდობით გარშემორტყმულ ადგილზე მდებარეობს. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 1313 მ. სიმაღლეზე. ფართობი 2.65 ჰა. სიღრმე დაახლოებით 10-12 მ. ბინადრობენ ამფიბიები და იშვიათი ჯიშის ტრიტონები. შესაძლებელია ეკოტურიზმის, საკემპინგე დასასვენებელი ტურიზმის განვითარება. ბებნისის ორი ტბა - მდებარეობს რაიონულ ცენტრში. ქარელთან 1 კმ.–ში, სოფ. ბებნისის ტერიტორიაზე. ტბები არის ხელოვნური წარმოშობის. ერთი ტბის ფართობია 7.34 ჰა. ხოლო მეორე – 4.9 ჰა. სიღრმე დაახლოებით 5-6 მ.–ია. შესაძლებელია გასართობი, სანაოსნო, დაივინგის, სათევზაო და დასასვენებელი ტურიზმის განვითარება. ოქროსოფლის ხელოვნური ტბა - რაიონული ცენტრიდან 12-13 კმ.–ს მანძილზეა, ფართობით 1.36 ჰა. სიღრმე 3-4 მ. ტბა გარშემორტყმულია ტყით, შესაძლებელია დასასვენებელი, საკემპინგე ტურიზმის განვითარება. [35]

საუკეთესო ადგილები ქარელის მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად არის: მდ. ხვედურულას ხეობა ე.წ. წითელი ქვების ჩანჩქერი, ბებნისის ტბა, სოფ. ძაძვის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიები, შოთას წყარო, ბატეთის ტბა, ორთუბანი და სხვ.

გორის და კასპის მინიციპალიტეტებში ჩატარებული SWOT ანალიზის ანალოგიურად ჩავატარეთ ქარელის მუნიციპალიტეტში ტურიზმის წინაშე არსებული პრობლემების უკეთ შესწავლის მიზნით SWOT ანალიზი, ანუ მისი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიკაცია და შეეცადეთ განგვესაზღვრა შესაძლებლობები და

მოსალოდნელი საფრთხეები. SWOT ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნებისა და პრიორიტეტების ფორმულირება, ამასთან გავითვალისწინეთ დასახული მიზნების მისარწევად სუსტი მხარეებისა და შესაძლო საფრთხეების, მათი აღმოფხვრისა და განეიტრალების საჭირო ღონისძიებები. შევეცადეთ, რომ SWOT ანალიზი ყოვლისმომცველი ყოფილიყო. ქვემოთ მოცემულ ცხრილსი წარმოდგენილია ქარელის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი ტურიზმის თვალსაზრისით:

ძლიერი მხარეები – S	**სუსტი მხარეები – W**
• ქარელის მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა (საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალთან სიახლოვე); • ეროვნული მნიშვნელობის კულტურული და ისტორიული ძეგლების სიმრავლე და რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნება; • მდიდარი ბუნებრივი რესურსები: მდინარეები, ტბები, ლამაზი ლანდშაფტი, ბიო-მრავალფეროვნება, თერმული წყლები და ნაყოფიერი ნიადაგი; • განვითარებული სოფლის მეურნეობა (მეღვინეობა, მეხილეობა-მებაღეობა და მესაქონლეობა); • ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა; • მრავალფეროვანი ლანდშაფტი და ეკოსისტემების	• კომფლიქტურ ზონასთან სიახლოვე; • მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პერიფერიული გზების მოუწესრიგებლობა; • ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმწირე (სასტუმროების სიმწირე, კვების ობიექტების არადამაკმაყოფილებელი სტანდარტები და მომსახურების დაბალი დონე); • მუნიციპალიტეტის ტურისტული და სარეკრიაციო შესაძლებლობების შეუსწავლელობა; • ტურისტული მომსახურების არქონა; • შეზღუდული ადგილობრივი ფინანსური და უცხოური ინვესტიციები. • კვალიფიციური კადრების სიმწირე (შესაბამისი

ნაირსახეობა; • მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა; • ტრადიციული ხალხური რეწვის კერების სიმრავლე; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზების გარკვეული მონაკვეთი;	კვალიფიკაციის მქონე გიდების არასაკმარისი რაოდენობა); • ქ. ქარელის განვითარების გენერალური გეგმის არარსებობა; • დაზიანებული კულტურული ძეგლები და ობიექტები;
შესაძლებლობები – O • სასტუმრო ბიზნესის განვითარების პოტენციალი ტბების სიახლოვეს; • ქარელის მუნიციპალიტეტის სარეკრიაციო-ტურისტული პოტენციალის კომპლექსური შესწავლა და მისი ოპტიმალური გამოყენებისათვის რეკომენდაციების შემუშავება; • ქარელის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება; • ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი ობიექტების საპილოტო პროექტების დამუშავება; • ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების განვითარების გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია და შედეგად ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის	**საფრთხეები – T** • კონფლიქტურ რეგიონში მდგომარეობის დაძაბვა; • ტურისტთა დიდი ნაკადების შედეგად გარემოს დაბინძურება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება; • ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დეგრადაცია და დაკარგვა; • ტურიზმის ცალკეული სეგმენტების არათანმიმდევრული, ქაოტური განვითარება; • არაპროფესიული მიდგომა (საპროექტო პრაქტიკის დაბალი დონე და დაბალი კვალიფიკაციის კადრების მონაწილეობა ისტორიულ უბნების რეაბილიტაციაში); • ეკონომიკური უთანასწორობის გაზრდა და პერიფერიული

მიმზიდველი გარემოს შექმნა; • ადგილობრივი წვრილი სამეწარმეო საქმიანობის განვითარება (ხელნაკეთი ნივთებისა და სუვენირების წარმოება-რეალიზება).	დასახლებების იზოლაცია; • არახელსაყრელი ეკონომიკური ვითარება.

ქარელის მუნიციპალიტეტის მიმართ SWOT ანალიზმა გამოავლინა ტურიზმის კუთხით განსახორციელებელი პოლიტიკის აქტუალური მიმართულებები, ჯერ-ჯერობით აუმოქმედებელი პოტენციალი და რეალური საფრთხეები. ჩვენი აზრით, მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია და იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს ტურიზმის განვითარების შესამუშავებელ ქმედებათა გეგმას.

ხაშურის მუნიციპალიტეტი - მდიდარია კულტურული მემკვიდრეობით. აქ დაახლოებით 180 - მდე ძეგლია დაფიქსირებული. ეს ისტორიისა და კულტურის სხვადასხვა დროის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებია. მათ შორის:

ხაშურის ციხე-კოშკი - არქიტექტურული ძეგლი აგებულია XVIII სს.-ში.

სურამის კოშკი (საჯვარე) - არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს იტრიის დასავლეთით 100მ.-ზე. აგებულია XVI-XVII სს. - ში. ოთკუთხაა (4,45X4,3მ.). ნაგებია ნატეხი რიყის ქვით.

სურამის ციხე - არქიტექტურულ-ისტორიული ძეგლი მდებარეობს დაბის სამხრეთით მდ. სურამულას ნაპირზე. კომპლექსში შედის გალავანი, ციხე, წმ. გიორგის ეკლესია, სასახლე. ციხე აგებულია XII-XIII სს.- ში.[32]

დაბა სურამი - კლიმატური ტიპის კურორტი სულფიდური მინერალური წყლებით. მდებარეობს ლიხის ქედის სამხრეთ კალთებზე, ქ. ხაშურის ჩრდ-დას-ით 4 კმ.-ზე ორი მნიშვნელოვანი გზის გასაყარზე. ზღვის დონიდან 900-1000 მეტრზე. აქ არის ლესია უკრაინკას სახელობის სახლ-მუზეუმი, მე-11 საუკუნის ისტორიული ძეგლი „სურამის ციხე“ და ეკლესია. [35]

ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი - ისტორიული მონუმენტური ძეგლი. ლარისა კოსაჩი (1871-1913) სურამში ცხოვრობდა. ამჟამად მოქმედი სახლ-მუზეუმია, რომელიც წარმოადგენს ქართველ და უკრაინელ ხალხთა საუკუნებრივ მეგობრობის ძეგლს.

[32] http://www.shidakartli.gov.ge

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი - ისტორიული ძეგლი მდებარეობს სოფ. ქვიშხეთში. აგებულია XIX-XX სს, სახლი ორსართულიანია, მეორე სართული შემკულია ხის ჭვირული ორნამენტებით, 1933 წელს სახლი გადაეცა მწერალთა კავშირს. ამჟამად იწოდება, როგორც დ. ყიფიანის სახლ-მუზეუმი.

წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია - ეკლესია აშენებულია XVI-XVII სს.-ში, ხოლო შეკეთებულია გვიან ფეოდალურ ხანაში. დარბაზულია (10,4X6მ.). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ფასადებზე მკაფიოდ ჩანს დიდი ნატეხი ქვით ნაწყობი ორი პარალელური სარტყელი. კედელი მიწიდან სარტყელამდე რიყის ქვისაა, ხოლო მის ზემოთ ნატეხი ქვის. აღ. და დას. ფასადებზე სარკმლებს ზემოთ გამოყვანილია თითო ჯვარი.

კვირაცხოველის ეკლესია - არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს დაბის ჩრდილო-დასავლეთით. აგებულია 1998 წელს. გუმბათოვანი ეკლესია სამრეკლო (წმინდა გიორგის ეკლესია) - არქიტექტურული. ძეგლი დგას დაბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. თარიღდება XVIII-XIX სს.

ლუმბო - ალის დასახლებაში შემავალი სოფელია. არქიტექტურული ძეგლი დგას მდინარე ჭერათხევის ხეობაში, სოფელ ალიდან 15 კმ.-ზეა. ულუმბოს ეკლესია ღვთისმშობლის სახელითაა ცნობილი, შენობის სამხრეთის შესასვლელის თავზე მხედრული წარწერა მიგვანიშნებს, რომ ეკლესია 1871 წელს აღუდგენიათ ულუმბოს მონასტრის ადგილზე. აქ ახლა ულუმბოს მამათა მონასტერია. [35]

ქვიშხეთი - კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი სულფიდური წყლის ტიპით. მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 730 მეტრზე, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 10 კმ.-ით. იგი სამთო კლიმატური კურორტია, მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, შეფენილია ლიხის ქედზე. იგი მთლიანად მოქცეულია წიწვოვან-ნაძვნარ და შერეული ტყის შუაგულში. ქვიშხეთი ოდიდგანვე ცნობილია საკურორტო ზონად. ქვიშხეთში მდებარეობს დ. ყიფიანის სახლ-მუზეუმი. დასვენების პერიოდია ივნისი, ივლისი და აგვისტო. ტერიტორიაზე მრავლად არის ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, ეკლესიები.

ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვის გზები – შიდა ქართლში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების აკუმულირებისათვის ორი გზა გამოიკვეთა:

1. ადგილობრივი ფინანსები – სახელმწიფო ბუჯეტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი;
2. საერთაშორისო საფინასო და დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული ფინანსები.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს პრიორიტეტს ტურიზმის განვითარება წარმოადგენს [15] და, ამასთან ეს მისი კომპეტენციაა, მიუხედავად იმისა რომ ამისთვის არსებობს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომელსაც გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსების მოძიების ძირითადი ბერკეტი და შიდა ქართლში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის უნარი, ამ მიმართებით მას უფრო მეტი მოეთხოვება. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს:

- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის დაფინანსება;
- გამოფენების, სიმპოზიუმების და სხვა პიარ ღონისძიებების დაგეგმვა, ჩატარება და ტურისტების მოზიდვა;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაინტერესება ტურიზმის განვითარებაში რესურსების ჩადებით;
- საერთო სახელმწიფოებრივი დანიშნულების ობიექტების მოვლა-პატრონობა და ამ ობიექტებზე მეტი რესურსების დახარჯვა.

მართალია ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არ შეიძლება პირდაპირი გზით ტურიზმის განვითარების დაფინანსება, მაგრამ მუნიციპალიტეტს წარმატებით შეუძლია დააფინანსოს ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებები, კერძოდ განავითაროს შემდეგი ადგილობრივი ინფრასტრუქტურა:

- შეაკეთოს და განაახლოს მისასვლელი გზები ტურისტულ ობიექტებამდე;
- აღჭურვოს გზები მონიშვნებით და მაჩვენებლებით;
- პერმანენტულად განახორციელოს ნარჩენების გატანა;
- ტურისტული მარშრუტები და ტურისტული დანიშნულების ადგილები უზრუნველყოს გარე განათებით.

მუნიციპალიტეტებს ბუნებრივია ტურიზმიდან არაპირდაპირი სარგებელი ექნება და ეს უნდა იყოს სწორედ მისი ტურიზმით დაინტერესების უმთავრესი საფუძველი: განვითარებული ტურიზმი ავითარებს სასტუმროებს, კვების ობიექტებს და ტურიზმთან

დაკავშირებულ სხვა სექტორებს, რომლებიც ქონების გადასახადს გადაიხდიან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნით ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, აუცილებელია დააინტერესონ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის გამრავალფეროვნებისა და განვითარებისათვის, რისთვისაც აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება: შეისწავლონ დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტები და გააკეთონ კონკრეტული შეთავაზებები პროექტების სახით, რათა დონორებმა დააფინანსონ ცალკეული ღონისძიებები; მნიშვნელოვანია რეგიონში საჩვენებელი ტურის მოწყობა ტურისტული დანიშნულების ადგილებში, სადაც დაინტერესებული დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ ადგილზე გაეცნონ რეგიონის ტურისტულ პოტენციალს და სხვ.

დასკვნა და რეკომენდაციები

შიდა ქართლის რეგიონის ტურისტული პოტენციალის ანალიზმა, ვიზიტორთა აზრის გამოსაკითხად ჩატარებულმა ანკეტურმა კვლევამ, ასევე, ფოკუს-ჯგუფებთან და მოსახლეობასთან ინტერვიუებმა დაგვანახა, რომ მხარეში საკმაოდაა გადასაწყვეტი პრობლემები, აუთვისებელი მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები ტურიზმის განსავითარებლად. ამასთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა:

- შიდა ქართლის ცალკეულ მუნიციპალიტეტებში დეტალურად უნდა აღირიცხოს არსებული ბუნებრივი და კულტურული ობიექტები, მატერიალურ-ტექნიკური მონაცემთა ბაზა, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას ტურიზმის განვითარების პერსპექტიული სტრატეგიული გეგმა;
- მხარის ტურიზმის მატერიალურ, შრომითი და ფინანსური რესურსების მიზანმიმართულად გამოსაყენებლად, უნდა მოწესრიგდეს ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის წესი.
- ტურიზმის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მაქსიმალური ეფექტის მისაღებად საჭიროა ცალკეულ მუნიციპალიტეტებში რესურსების გადანაწილება და მათი პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში ცალკეული მუნიციპალიტეტების ცხოვრების დონის გამოსათანაბრებლად და ტურიზმის ინფრასტრუქტურის (ძეგლებთან მისასვლელი გზების, სასტუმროების, საოჯახო სასტუმროების და ა.შ.) გასაუმჯობესებლად საჭიროა რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვა, უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობების განაწილება ადგილობრივ დონეზე. ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების განსავითარებლად დაფინანსების შიგა და გარე წყაროების მოზიდვა;
- ტურისტებისათვის ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მისაწოდებლად ყურადღება უნდა მიექცეს ცალკეულ მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის განვითარებას, კერძოდ სარწყავ სისტემებს და ირიგაციას;

- დროულ ყურადღებას საჭიროებს მუნიციპალიტეტების კულტურულ-ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებთან მისასვლელი შიდა გზების მოწესრიგება, გზებზე პიქტოგრამების დაყენება, ასევე სანიტარული კვანძების მოწყობა;
- ქარელის, კასპის და ხაშურის მუნიციპალიტეტებში საოჯახო სასტუმროების მოსაწყობად, უნდა აღიწეროს სასტუმროს შესაფერისი მოსახლეობის კუთვნილი შენობები. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა უნდა დაეხმაროს მოსახლეობას როგორც იაფი კრედიტის მიღებაში, ასევე საჭირო ინსტრუქტაჟისა და სწავლების თვალსაზრისით;
- აუცილებელია დედაქალაქსა და შიდა ქართლის ტურობიექტებს შორის კოორდინაციისა და ურთიერთკავშირის დასამყარებლად ორმხრივი მიმართულებით ტურისტული ნაკადების წარმართვა, ასევე ოთხივე მუნიციპალიტეტში შეიქმნას ტურისტული სააგენტოები ან ტურისტული ცენტრები, რომლებიც ტურისტებს დაეხმარება მუნიციპალიტეტებში არებული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად, ასევე საოჯაო სასტუმროებში განსათავსებლად;
- შიდა ქართლის რეგიონში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში აუცილებელია, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე ტურიზმის მიმართულებით, განსაკუთრებით უცხო ენების გაძლიერებული სწავლება, აგრეთვე, თანამედროვე მოთხოვნებზე აგებული პროგრამების შემუშავება და პოტენციურ დამსაქმებლებთან აქტიური კომუნიკაცია და კოორდინაცია. ასევე საჭიროა თანამშრომლობა შესაბამის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, უცხოელ ექსპერტებთან და კურსდამთავრებულთა სტაჟირება შესაბამისი სფეროს დაწესებულებებში;
- შიდა ქართლის მთლიანი ტერიტორია მდიდარია არამარტო ისტორიულ-კულტურული ძეგლებით, არამედ ულამაზესი ლანდშაფტითა და ბუნებით, სადაც აუცილებელია ე.წ. კემპინგების მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით, სადაც ჩამოსულ ტურისტებს საშუალება ექნებათ მიიღონ შესაბამისი სერვისები;
- შიდა ქართლის ყველა მუნიციპალიტეტში მოსაწესრიგებელია დასუფთავების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, რაც განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა სოფლის მოსახლეობისთვის;

- დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე შიდა ქართლის რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში შესაძლებელია განვითარდეს ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: სამკურნალო ტურიზმი, ეკოლოგიური და კულტურული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი, სოფლის ტურიზმი, ღვინის, პილიგრიმული და არქეოლოგიური ტურიზმი, ასევე ექსტრემალური ტურიზმი. ამისათვის საჭიროა ისეთი ტურისტული ოპერატორებისა და სააგენტოების შექმნა, რომლებიც იზრუნებენ ტურიზმის აღნიშნული მიმართულებების მიხედვით ტურისტული მარშრუტების შექმნაზე, როგორც შიდა, ისე უცხოელი ტურისტებისთვის.
- მეტი ძალისხმევაა საჭირო საინფორმაციო სერვისების განვითარების, პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების კუთხით. აუცილებელია კავშირების გაძლიერება სახელმწიფო, კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის, რაც საშუალებას მოგვცემს მოვამზადოთ შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები ამ მიმართულებით;
- ყურადღება უნდა გამახვილდეს ეკონომიკური, მიწათსარგებლობის და ზონებად დაყოფის, ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების, სოციალური სერვისების განვითარების საკითხებზე. ტურიზმის ინდუსტრიის ინტერდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე, ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს დაგეგმვის პროცესში სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტების ჩართვა, მაგალითად, ეკონომისტები, მარკეტოლოგები, ლანდშაფტის დიზაინერების, სოციოლოგების, ადამიანური რესურსების მენეჯერების, ეკოლოგების, არქიტექტორების, არქეოლოგების და სხვა;
- შიდა ქართლის რეგიონს არ უჭირავს კონკრეტული ნიშა შიდა ტურიზმის კუთხით. იგი ერთნაირად მიმზიდველია სხვადასხვა ასაკის, შემოსავლებისა და განათლების მქონე ადამიანებისთვის. ამის ფონზე, ლოგიკურია რომ ადგილობრივი და მოზობელი რეგიონების მაცხოვრებლები წარმოადგენენ ძირითად ვიზიტორებს. გამოყენებულმა მოდელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ხარისხობრივი მიგნებები რასაც ეხება აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე ლამარა, “ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში” II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2011.
2. გოგორიშვილი ირინა, საერთაშორისო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2002.
3. გულუა ეკატერინე, არღუთაშვილი ვალერი, „ინოვაციური მენეჯმენტის აქტუალური მიმართულებები ტურიზმის სფეროში”, III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2012.
4. გველესიანი რევაზ, „ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთობის პრობლემები”, ეკონომიკა და ბიზნესი, იანვარი-მარტი №1, 2015 წელი.
5. გველესიანი რევაზ, „თანამიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების სოციალური ტექნიკა”, ეკონომიკა და ბიზნესი, ნოემბერი-დეკემბერი №6, 2013 წელი.
6. გველესიანი რევაზ, „ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები”, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი 2010.
7. გველესიანი რევაზ, „პროცესის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების თავისებურებანი”, ეკონომიკა და ბიზნესი, იანვარი-თებერვალი №1, 2011.
8. გველესიანი რევაზ, გოგორიშვილი ირინა, ეკონომიკური პოლიტიკა, უნივერსალი, 2008.
9. გველესიანი რევაზ, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბილისი, 1999
10. ერქომაიშვილი გულნაზი, „ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში”, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2010.

11. ერქომაიშვილი გულნაზი, „ტურიზმის პოლიტიკა და ტურისტული ბიზნესი საქართველოში", II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2011.
12. ერქომაიშვილი გულნაზი, საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, თბილისი, 2016.
13. ლეკაშვილი ეკა, „საერთაშორისო ტურისტული ბიზნესი და სოციალური გლობალიზაციის ტენდენცია, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2011.
14. მარგველაშვილი მაია, ტურიზმის ეკონომიკა, თბილისი, 2012წ.
15. მესხია იაშა, „საქართველოს ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტიული განვითარების ორიენტირები", III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2012.
16. მესხია იაშა, „ტურიზმის განვითარების სტრატეგია საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების სისტემაში", II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2011.
17. მესხია იაშა, გველესიანი ელისო, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი, 2010.
18. მეტრეველი მარინა, ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, პირველი გამოცემა, თბილისი, 2011.
19. მეტრეველი მარინა, ტურიზმში არსებული მდგომარეობა და განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2008.
20. ხარაიშვილი ეთერი, საქართველოს აგროტურისტული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2010.
21. ხოხობაია მერაბ, ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები, ეკონომიკა და ბიზნესი, ნოემბერ-დეკემბერი №6, 2014 წელი.
22. „საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ"
23. „საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ"

24. ანალიტიკური კვლევა გორის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის შესახებ და გორის ტურისტული განვითარების სტრატეგია, გორი 2008 წ.
25. საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საგადამხდელო ბალანსი 2015.
26. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2012 წელი.
27. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2015 წელი.
28. შიდა ქართლის რეგიონალური განვითარების სტრატეგია, 2012–2014 წლები.
29. შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2014–2021 წლები.
30. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და განვითარების გეგმა გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტებში.
31. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა, 2012.
32. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, საქ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2014წ.
33. ტურიზმის სტატისტიკური ანგარიში 2014 წლის IV კვარტალი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.
34. ტურიზმის სტატისტიკური ანგარიში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2013 წელი.
35. რუიზან მექვაბიძე, გორი და გორის რეგიონი (ტურისტული გზამკვლევი), 2009 წელი.
36. Международный туризм, Воскресенский В.Ю., http://tourlib.net/books_tourism/voskresensky.htm 2010г.
37. УПРАВЛЕНИЕ РАЗВИТИЕМ ТУРИЗМА В РЕГИОНЕ, ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ РОССИЙСКОЙ АКАДЕМИИ НАУК, 2008.
38. Влияние туризма и рекреации на региональное развитие, Полесская О.П., Брянский государственный университет, Россия 2009 г.
39. Afrodita Borma, Models of Tourist Development in the Context of Regional Development, University of Oradea Faculty of Economics, 2012.
40. Beech John and Chadwick Simon Tourism Management –, FT Prentice Hall, 2006.

41. Crotti Roberto, Misrahi Tifany, The Travel & Tourism Competitiveness Index, T&T as a Resilient Contribution to National Development, World Economic Forum, 2015.
42. Goeldner Charles R, Ritchie J.R,Tourism, Principles, Practices, Philosophies, John Wiley, 2012.
43. Jeffries David, Governments and Tourism, Butterworh-Heinemann, 2001.
44. Michael Porter, Clusters and the New Economics, Harvard Business Review.
45. Pike Andy, Rodriguez-Pose Andres, Tomaney John, Local and Regional Development, By Routledge, 2006.
46. Scarpino Michelle, Tourism System: An Analysis of the Literature for Improved Substantial Development, Cooperative Research Center, 2009.
47. Vanhove Norbert, The Economics of Tourism Destinations, Elsevier, 2005.
48. Cooper, C. (ed.) Progress in Tourism, Recreation and Hospitality, London: Belhaven Press, 1991.
49. Dwyer, L., Forsyth, P. and Spurr, R. Evaluating tourism's economic effects: new and old approaches. Tourism Management, 2004.
50. Crouch Geoffrey I, Modelling Destination Competitiveness, Copyright CRC for Sustainable Tourism , Pty Ltd 2007.
51. D.Ramos Alejandro, S.Jimenez Pablo, Tourism Development: Economics, Management and Strategy, Nova Science Publishers, Inc. New York, 2008.
52. Dwyer Larry and Spurr Ray, Tourism Economics Summary, Stcrc Centre for Economics and Policy, 2009.
53. Getz, D. (1991). Festivals, Special Events and Tourism. New York. Van Nostrand Reinhold.
54. Ganchev, O. (2000). Applying Value Drivers to Hotel Valuation. Cornell Hotel and Restaurant Administration Quarterly, Oct.
55. Giaoutzi, Maria and Nijkamp Peter (2006). Tourism And Regional Development: New Pathways. Ashgate Publishing.
56. Godschalk, D. and Brower, D. (1979). Constitutional Issues in Growth Management. Washington: Planners Press.
57. Gray, H.P. (1970). International Travel International Trade. Lexington: Heath Lexington Books.
58. Hawkins, C.J. and Pearce, D.W. (1971). Capital Investment Appraisal. London: Macmillan.
59. Hefner, F. (2001). The cost–benefit model as applied to tourism development in the state of South Carolina, USA. Tourism Economics, 2.

60. Heerschap, N. (1999).The employment module for the Tourism Satellite Account of the OECD. Tourism Economics, 5.
61. Mintel (2003). Hotels in Australia. Travel & Tourism Analyst, Aug.
62. Mishan, E. J. (1994). Cost–Benefit Analysis. London: Routledge.
63. Mathieson, A. and Wall, G. (2003). Tourism: Economic, Physical and Social Impacts. London: Longman.
64. Mihalic,T. (2002).Tourism and economic development issues. In R.Sharpley and D. Telfer (eds), Tourism and Development. Concepts and Issues. Clevedon: Channel View Publications.
65. S. Medlik (ed.), Managing Tourism. Oxford: Butterworth-Heinemann. Archer,B. (1995). Importance of tourism for the economy of Bermuda. Annals of Tourism Research, 4.
66. Mules, T. and Faulkner, B. (1996). An economic perspective on special events. Tourism Economics, 2.
67. Ryan, C. (1996). Event impact measurement in Auckland, New Zealand. Tourism Economics, 2.
68. Ryan, C. (1998). Economic impacts of small events: estimates and determinants– a New Zealand example. Tourism Economics, 4.
69. Ryan, C. and Lockyer, T. (2001).An economic impact case study: the SouthPacific Masters' Games. Tourism Economics, 3.
70. Raybould, M. and Mules, T. (1999). A cost–benefit study of protection of the northern beaches of Australia's Gold Coast. Tourism Economics, 5.
71. Rushmore, S. (1992). Seven current hotel-valuation techniques. Cornell Hotel and Restaurant Administration Quarterly, Aug.
72. Ritchie, J.R.B. and Crouch, G. (2003). The Competitive Destination. A Sustainable Tourism Perspective. Wallingford: C.A.B. International.
73. Sharpley, R. (2002). Tourism: a vehicle for development. In R. Sharpley and D. Telfer (eds), Tourism and Development. Concepts and Issues. Clevedon:
74. M.Morisson Alastain, Hospitality and Travel Marketing, 2009.
75. 79. Sharpley, R. and Telfer,D. (eds) (2002). Tourism and Development. Concepts and Issues. Clevedon: Channel View Publications.
76. Thomas, B. and Townsend, A. (2001). New trends in the growth of tourism employment in the UK in the 1990s. *Tourism Economics*, 3.
77. Tisdell, C. (ed.) (2000). *The Economics of Tourism*, Vol. 2, Part 1. Cheltenham: Edward Elgar Publishing.

78. Tribe, J. (2012). *The Economics of Leisure and Tourism.* Oxford: Butterworth- Heinemann.
79. Telfer, D. (2002a). The evolution of tourism and development theory. In R. Sharpley and D. Telfer (eds). *Tourism and Development. Concepts and Issues.* Clevedon: Channel View Publications.
80. Telfer, D. (2002b). Tourism and regional development issues. In R. Sharpley and D. Telfer (eds), *Tourism and Development. Concepts and Issues*. Clevedon: Channel View Publications.
81. Vanhove, N. (1986). Tourism and regional economic development. In J. Paelinck (ed.), *Human Behaviour in Geographical Space, Essays in Honour of L.H. Klaassen*. Cheltenham: Gower.
82. Vanhove, N. (1997). Mass tourism – benefits and costs. In S. Wahab and J. Pigram (eds), *Tourism, Development and Growth*. London: Routledge.
83. Vanhove, N. (1999). *Regional Policy:A European Approach*. Cheltenham: Ashgate.
84. Vanhove,N. (2003). Externalities of sport and tourism investments, activities and events. In P. Keller and T. Bieger (eds), *Sport and Tourism*. AIEST, Congress, Athens, 2003. St-Gall: AIEST.
85. Vanhove. N. (2010). The Economics of Tourism Destinations, London, Routledge.
86. Vaughan, R. (1977). *The Economic Impact of the Edinburgh Festival*. Edinburgh: Scottish Tourist Board.
87. Williams, A. and Shaw, G. (eds) (1988). *Tourism and Economic Development: Western European Experiences*. London: Belhaven Press.
88. Wood, R. (1992). Hospitality industry labour trends: British and international experience. *Tourism Management*, 3.
89. WTTC Travel & Tourism Economic Impact 2015, Georgia.
90. Travel and Tourism Economic Impact. 2012 World.– World Travel and Tourism Counsel 2012 http://www.wttc.org/site_media/uploads/downloads/world2012.pdf
91. Sustainable Tourism for Development, Guidebook, Enhancing Capacities for Sustainable Tourism for Development in Developing countries, Unwto, 2013.
92. Tourism statistics and Tourism Satellite Account (TSA) – UNWTO 2012.
93. Economic Impact of Tourism Industry, International Journal of Business Management, 2011 206-215Pg.
94. Vacationscape. Clare Gunn. Washington, DC: Taylor & Francis. 1997.
95. Managing Protected Areas in the Tropics, MacKinnon et al., IUCN, Gland, Switzerland.
96. Tourism Planning: An Integrated and Sustainable Development Approach, Edward Inskeep. New York: Van Nostrand Reinhold, 1991.

97. Sustainable Tourism Development in UNESCO Designated Sites in South-Eastern Europe, UNESCO Regional Bureau for Science and Culture in Europe, 2013.

ვებ-გვერდები:

1. http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
2. http://geostat.ge/?action=page&p_id=304&lang=geo
3. www. matsne.gov.ge
4. www.wttc.org
5. www.unwto.org
6. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e]
7. http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=44]
8. http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=43]
9. http://apa.gov.ge/
10. http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement-2013_en.htm
11. http://police.ge/ge/useful-information/statistics/sazghvris-kvetis-statistika
12. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=488
13. http://www2.unwto.org/
14. http://wttc.org/
15. http://www.shidakartli.gov.ge

1. **თქვენი ასაკი**

---

2. **სქესი**

---

3. **გამოკითხვის ადგილი**

---

4. **გამოკითხულთა შემადგენლობა რეზიდენტი/არარეზიდენტი**

---

5. **ვიზიტის მიზანი**
- ❖ ქართული სამზარეულო და ღვინო
- ❖ ისტორიული და კულტურული ძეგლები
- ❖ სტურათმოყვარეობა
- ❖ ბუნება და მთები
- ❖ სხვა

6. **ტურიზმის რომელ სახეობას ანიჭებთ უპირატესობას?**
- ❖ კულტურული ტურიზმი
- ❖ ეკოტურიზმი
- ❖ სათავგადასავლო ტურიზმი
- ❖ პილიგრიმული ტურიზმი
- ❖ სხვა

7. **თქვენი ვიზიტის ხანგრძლივობა რეგიონში**
- ❖ 1 დღე
- ❖ 2-3 დღე
- ❖ 1 კვირა
- ❖ სხვა

8. **სად აპირებთ ღამის გათენებას?**
- ❖ საოჯახო სასტუმროში
- ❖ სასტუმროში
- ❖ საკემპინგე ადგილზე კარვებით
- ❖ ჯერ არ გადამიწყვეტია
- ❖ დედაქალაქში
- ❖ სხვა

9. **რამდენად დამაკმაყოფილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურა რეგიონში?**

- ძალიან კარგი
- კარგი
- საშუალო
- ცუდი
- ძალიან ცუდი
- სხვა

10. ჩამოთვალეთ 2 ძირითადი შენიშვნა ტურისტულ ინფრასტუქტურაზე და მომსახურების ხარისხზე

1. ----------

2.----------

11. რის გამოსწორებას ურჩევდით ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებს რეგიონში? (სასტუმრო, რესტორანი და სხვ.).

---

12. ვინ გირჩიათ გორში ჩამოსვლა?

- ტურისტულმა კომპანიან
- ინტერნეტში მოვიძიე ინფორმაცია
- მეგობრამა
- სხვა

13. გაუწევთ თუ არა რეკომენდაციას ქალაქ გორს როგორც ტურისტულ დანიშნულების ადგილს?

დიახ არა

14. რომელი ტურისტული ობიექტები დაათვალიერეთ, ან აპირებთ რომ დათვალიეროთ?

- სტალინის სახლ-მუზეუმი
- გორის ციხე
- უფლისციხე
- ატენის სიონი
- სხვა

15. აპირებთ თუ არა შიდა ქართლის სხვა ქალაქის (კასპი, ქარელი, ხაშური) დათვალიერებას?

- დიახ
- არა
- არ მაქვს ინფორმაცია

16. გეგმავთ თუ არა განმეორებით ჩამოსვლას გორში?

- დიახ
- არა
- ჯერ არ მომიფიქრებია
- სხვა

1. ისურვებდით თუ არა, რომ თქვენი მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები ჩართული იყოს რეგიონის საექსკურსიო მარშრუტებში?

დიახ არა

2. **ხართ თუ არა მზად შესთავაზოთ საკუთარი სახლი ტურისტს ღამის გასათევად?**

დიახ არა

3. საოჯახო სასტუმროს მოსაწყობად ფინანსური დახმარებისათვის ვის მიმართავთ?

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტს
- ადგილობრივ ბანკს
- საკუთარ ბიუჯეტს

4. რამდენი ადამიანისგან შედგება თქვენი ოჯახი?

---

5. გაქვთ თუა რა შესაძლებლობა ტურისტს შესთავაზოთ ადგილობრივი ნაწარმი, ხელნაკეთი ნივთები?

დიახ არა